

ჯალანდა გურიამი	2	ბახმარო	21
ანხორ გოთუა	3	უკრაინაში გაზრდილი ლეილა ნაქაშიძის ისტორია	24
მილოცვები	7	პავლე ინგოროყვამ ძველი ქართული სანოტო სისტემა გაშიფრა	26
როგორ გაჩნდა პირველი ქართული ყურნალი გურულებზე	8	საქართველო - რეგიონული და ევრაზიული ცენტრი	28
მიეცით საკუთარ თავს ბედნიერების უფლება	9	პიუროკრატის ბნელ დერეფნებში	30
წინა საახალწლო სამზადისი გურიამი	10	ორ ქვეყანას შორის უმსულოტაციები გრძელდება	31
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ 2015 წლის ბიუჯეტი გასვლით სხდომაზე დაამტკიცა	11	დაუვინყარი საიუბილეო საღამო	32
ლოანჩხეთის საკრებულომ 2015 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა	12	წარმატებული გამოფენა	32
ჩოხატაურის საკრებულოს სხდომა	13	ფილოსოფია მუდმივი ახლის ძიებაა	33
ჩვენ ერთი გუნდი ვართ, გადაწყვეტილებებს ერთად ვიღებთ...	14	სახალხო თეატრები ჩემი ტყვილია	34
ხელოვნური გათოვლიანება	15	მკვლევლობის ვერსია	35
არის წარმატება ბედნიერება?!	16	ანხორ ერქომაიშვილის გამონათქვამები	36
2008 წლის ომის დროს გოგა ასკურავას საქართველოს ლევიტანს უწოდებდნენ	17	გურული ხუმრობები	36

<p><b>დაფუძნებელი — ანა თონაძე</b>  <b>მთავარი რედაქტორი — ლელა სურგავა</b>                  მისამართი: თბილისი, ვ.გაბაშვილის 5 №38                  ტელ: 558 25 65 50; 555 55 98 44; 790 46 48 01                  ელფოსტა: <a href="mailto:Guriaregion14@mail.ru">Guriaregion14@mail.ru</a></p>	<p><b>კვირფასო კვითხეა!</b>                  მოგვანოდეთ თქვენი პუბლიკაციები, მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ თქვენი პრობლემები და მოგვიყვით საინტერესო ამბები. გაითვალისწინეთ, მონოდებული მასალის ყურნალში განთავსება ფასიანია.</p>
---	---


რედაქციაში შემოსული მასალების სიუხტაზა ჰასუს აზაბს ავტორი, ხოლო სარედაქცია ბაქსა ჰასუსისგაბალობა რედაქციის შამაჰითს ეანსრაბა.

# ხალხს ურიაში

ქართული ფოლკლორი წარმოადგენს ქართველი ხალხის თავისებური ყოფაცხოვრებისა და მსოფლშეგრძნების მხატვრულ ასახვას. ქართული ფოლკლორი, პოლიფონიური სიმღერა დაუფინყარ შთაბეჭდილებას ტოვებს ნებისმიერი ეროვნების ადამიანში. ქართულ ხალხურ სიმღერებში აღიბეჭდება არა მარტო ერის სულიერი სამყარო, არამედ მისი ორიგინალური მუსიკალური აზროვნების თვითმყოფალობაც.

ჩვენამდე მოღწეულ ძველებურ სიმღერებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი შრომის სიმღერებს, რაც მოწმობს ქართველი ხალხის შრომისმოყვარეობას, ერთობლივი მუშაობის, ეკონომი ური წყობისა და სამეურნეო მოღვაწეობის სხვადასხვაგვარ ფორმებს.

ქართულ სახალხო-რელიგიურ დღესასწაულებს შორის მნიშვნელოვანია ადგილი ეთმობა ძველი წლის გაცილებისა და ახალი წლის დადგომის ცერემონიალს. ახალი წლის შეხვედრას საქართველოში გარკვეული წესი ჰქონდა, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა ელემენტებს: თოფის გასროალს, ჩიჩილაკს, მეკვლეს, საახალწლო სუფრას და ლექს-სიმღერებს. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი მიიჩნეოდა მომდევნო წლის განმავლობაში ბედნიერებისა და მატერიალური კეთილდღეობის განმსაზღვრელად.



ქართული სამზარეულო ერთ-ერთი უმდიდრესია მთელ მსოფლიოში. ქართული სუფრა სასმისების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ყანწის გარეშე წარმოუდგენელია სადღესასწაულო სუფრა: ქორწილი, ნათლობა, ძველი წლის გაცილებისა და ახალი წლის შემობრძანება... არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ქართველები განსხვავებულ სასმისებს ჯერ კიდევ ლეგენდარული კოლხეთისა და იბერიის სამეფოების არსებობის პერიოდიდან იყენებდნენ.

საქართველოში სუფრის კულტურა ათასწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა. ქართული სუფრა წარმოუდგენელია თამადის გარეშე, მასპინძელი თამადად ირჩევის პატივსაცემ ადამიანს, თამადას გურული დიალექტით ტოლიბაში ჰქვია. თამადა სუფრის თადარიგის მცოდნედ და მჭერმეტყველად ითვლება. სუფრის დანიშნულების მიხედვით, თამადას ევალება ტრადიციული სადრეგრძელოების წარმოქმნა. სადრეგრძელოების ხასიათი, რაოდენობა და თანმიმდევრობა ლამის კანონიკის რანგშია აყვანილი. ყოველივეს გათვალისწინებით თამადად შეიძლება ითქვას, რომ ქართული სუფრა ქრისტიანული ლიტურგიის ანალოგიაა.

გურულებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დღეს წარმოადგენდა და დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს ქრისტიანობის ბრწყინვალე დღესასწაული. სპეციალურად ამ დღეს ცხვება ნახევარმთვარის ფორმის ღვეძელი: პუ-

რის ცომში მოთავსებულია ყველი და მოხარშული კვერციბი. ქალები ქათმის კვერცხს წინასწარ ხარშავდნენ და შესაბოლად ოჯინდლაზე ამაგრებდნენ. ოჯახში იმ რაოდენობის ღვეძელს ამზადებდნენ, რამდენი წვერიც იყო. სტუმრისთვის სპეციალურად დიდი ზომის ღვეძელი ცხვებოდა.

ოჯახის უფროსი მამაკაცი წინა დღით რცხილის ხის შეშას ჭრიდა (კალანდა დღეებში აუცილებელი იყო რცხილის შეშა ამ დღეს „ცხემლა ჭრის სალამოსაც“ უწოდებენ), კეცი აუცილებლად რცხილის ნაკვერჩხალზე უნდა გახურებულიყო. წინა სალამოს ოჯახის დედაქალი აცხობდა ღვეძლებს, მაგრამ სანამ წირვა არ დასრულდებოდა და ცისკრის ვარსკვლავი არ ამობრწყინდებოდა, ღვეძელს პირს არავინ დააკარებდა.

დღით პატარებს ბებიამ მუცლის გალოცვის რიტუალს ჩაუტარებდა. გაუჭრელი კვერცხით გამოცხვარ ღვეძელს წელზე შემოავლებდა თან ლოცავდა. ღვეძელი გურიაში მხოლოდ ქრისტიანობას ცხვებოდა.

მკვლევარ-ეთნოგრაფების ნაშრომების მიხედვით, კალანდა დილას (14 იანვარი) ოჯახის უფროსი მამაკაცი ჩიჩილაკით ხელში დაიძახებს – გაგვიღეთ კარი! დიასახლისის შეკითხვაზე – რა მოგაქვს?

კაცი პასუხობს – წმიდა ბასილე მობრძანდება, მოაქვს კაცთა მშვიდობა, თეთრი და საქონელი მრავალი. ამას გაიმეორებენ სამჯერ, შემდეგ შედიან სახლში, შეაქვთ გობზე დალაგებული ღორის თავი, დოქით ღვინო, ჩიჩილაკი, ღომის მარცვლით სავსე ქოთანს, შუაში ნახევრად ჩაფლული კვერცხით.

მთავარი საზეიმო ცერემონიალი სახლის ირგვლივ შემოვლის რიტუალი იყო: ოჯახის უფროსი მამაკაცი წინ მიდიოდა ხელში ჩიჩილაკით, უკან მიჰყვებოდნენ ოჯახის წევრები, ბავშვების ჩათვლით, ვისაც ღომის მარცვლიანი ქილა ეჭირა, მარცვლებს აბნევდა ძირს, ამ რიტუალით ყველაფრის გამრავლების სურვილს გამოხატავდა. მესამედ შემოვლის შემდეგ ჩიჩილაკს გამოსაჩენ ადგილას კიდებდნენ. მამაკაცები იწყებდნენ ლოცვას. ოჯახის უფროსი სთხოვდა წმიდა ბასილე მღვდელმთავარს დამდეგი ახალი წელი სამშობლოსათვის, თავისი სოფლისათვის და ყველა ოჯახისათვის ბედნიერი იყოს. მან ყველას მოუტანოს ჯანმრთელობა, კეთილდღეობა, ყველა საქმეში წარმატება და სიმდიდრე. მამაკაცი ლოცვის დროს ღვინოს ასხამდა მინაზე და საკმეველს აკმევდა (ნაღვერდალზე ყრიდა), თან საფერხავ გობს ატრიალებდა ღომის მარცვლებს აბნევდნენ, შემდეგ მოჰყვებოდა თოფის სროლა და იწყებოდა ცეცხლისათვის ახალი წლის მილოცვა, რადგან რიტუალი ყველა ოჯახში უნდა იმართებოდა, თოფის სროლაც ერთმანეთს ემთხვეოდა, ექო ხევებში გადადიოდა და დღესასწაულიც თან გადაჰქონდა.

ნათია კალანდაძე

# ანზორ კოიყა

## ილია მეორეს



მადლობელი ვართ, სხვას აღარ ველით,  
ჩვენთვის უკვე ხართ ვალდობდილია,  
ქართული რწმენის ერთგული მცველი,  
ღმერთმა გაცოცხლოს დიდხანს ილია.

დაბადების დღეს გილოცავთ გულით,  
ღმერთმა გაცოცხლოს ასი წელია,  
შენი ღოცვებით და წმიდა სულით,  
ერს გაუმრავლდეს რწმენის დღეინა.

წრფელი სული და ჯანმრთელი გული,  
მართლმადიდებლის რწმენა ძლიერი,  
მუდამ დაგლოცავს შენი ერთგული,  
ქვეყნის ზატრიარქს, ქართველი ერი.

## თამარიანი

მეფე თამარი, ტანადი, ლამაზი, ნაკუთებიანი;  
მშვენიერით - მსგავსი მთვარისა, სიბლით კი საოცრიანი;  
სატრფო საჭურჭლად ბნელადმის, უცხო და იერიანი;  
ღაწვნი ღვთაებრივ სპეტაკანი, ვარდისაფრიანი;  
სიბრძნით და არსით შემეკული, ნათელი გონებიანი;  
ქედებით ლაღი, ამაჟი, სიტყვით კი ნანანარიანი;  
მისსავე საუკუნეში, ბრძენთა სადარი, ფხიანი;  
მომსმენი, თან მოსაუბრე, დაჯერებული, სმიანი;  
კეთილმორწმუნე ხელმწიფე, წმინდანი, გვირგვინიანი;  
ბუნებით გულმორწმუნე და იქვე შემწეწმინდებიანი;  
უპოვართ შემეწე, დამხმარე, ალაღი და სათრიანი;  
ხელოვანთათვის ხელშემწევე, მუდმივად მზრუნველიანი;  
ტაძრების, ეკლესიების უბადლო მშენებელიანი;  
ღიაცა ძალზედ უუვარდა საქმენი მამაციანი;  
ნადირობა და ჯირითი, მხედრობა ფარხმალიანი;  
ამასთანავე უუვარდა ხელსაქმე ღიაციანი;  
მატელის ჩეჩვა და ძაფისრთვა, ჭრა-კერვა ხალიხიანი;  
სიკვდილის ქამი რომ დაღვა, დალოცა ერი სვიანი;  
ვევლას უსურვა მშვიდობა, სიცოცხლე მრავალწლიანი;  
„ქრისტე ღმერთი ხარ მეუფე, ცისა და ამქვეყნიანის,  
გავედრებ ჩემს სამეფოსა, ვლოცულობ თვალცრემლიანი,  
ქართველ ერს, შენგან შექმნილსა, რწმენითა თავაზიანი.“  
\_სთქვა, აღესრულა თამარი ორმოცდასამიწლიანი,  
თავის ცხოვრებით ის დარჩა წმიდა, წარუძღვალკვლიანი;  
ჩვენ დაგვიტოვა ღოცვანი ზნეობრივ ადამიანის.

## შვიდგის ღოცვანი

### ღოცვები დილის 6 საათზე

უკვდავ სახელით მამის და ძისა,  
შეგონებითა თვით სულიწმიდა,  
დილით გვეწევა ქამი ღოცვისა,  
ღმერთო ძლიერო, დიდება შენდა.

ქვეყნის მეუფე, ნუგეშის მცემო,  
ჭეშმარიტების სულო ძლიერო,  
შენ ყოვლისადმი მადლისმცემელო,  
კეთილთ საუნჯე, გთხოვ, გვამძლიერო.

ღმერთო, სიცოცხლის მომინჯებელო,  
მოხვედ ჩვენს შორის და დაეძვიდრე,  
ყოველ ბიწის წმიდად მქცველო,  
შენ სახიერო, გთხოვთ, დაგვამკვიდრე.

წმიდაო ღმერთო, წმიდა ძლიერო,  
წმიდა უკვდავო, შეგვიწვალენით,  
წმიდაო ღმერთო, წმიდა ძლიერო,  
წმიდა უკვდავო, შეგვიწვალენით.

ძალა, დიდება, მამას და ძესა,  
სულიწმიდისა, ვიდრე ვსუნთქავდე,  
ღოცვანი უნდა ვაქციოთ წესად,  
უკუნიტიდან უკუნისამდე.

შეწვალებას ვთხოვთ წმიდა სამებას,  
ცოდვათა ჩვენგან გვიხსენ, გვიღვინე,  
გთხოვთ, რომ შეგვიხდეთ უსჯულოსანი,  
სიცოცხლისათვის გთხოვთ, მოგვეღვინე.

ძალა, დიდება, მამას და ძესა,  
სულიწმიდისა, ვიდრე ვსუნთქავდე,  
ღოცვანი უნდა ვაქციოთ წესად,  
უკუნიტიდან უკუნისამდე.

მამაო ჩვენი, ხარ ცათა შინა,  
ჩვენში წმიდას სახელი შენი,  
შენი სუფევა ამ ქვეყნისთვისა,  
არის მეოხე ჩვენი გამჩენის.

არსობის ჰური, რომ მოგვეც დღესა,  
თანანადებნი ჩვენ მოგვიტყვე,  
ჩვენც მივუტყვევებ მათ თანამდებთა,  
ასეთი ნებით ქვეყნად დაგვტოვე.

შეგთხოვთ, გვიხსენი ბოროტისაგან  
და ნუ შეგვიყვან განსაცდელშია,  
რადგან სუფევა მამა ღმერთისა,  
დამხმარე არის საწადელშია.



**ფსალმუნი 22**

უფალი მწუქმსავს, არა მაკლია,  
მწუანე მდელოზე მან დამამკვიდრა,  
წუალზე სასვენად მე გამომასარდა  
და მომაქცია ამ ქვეყნის მკვიდრად.

მწუქმსად მიმიძღვის სიმართლის გზასზე,  
ანრიდლთა შორის სიკვიდილისას,  
არ შევუმიდეთ, ვიფიქროთ ხალხზე,  
ვამოროთ ძალა ბოროტისას.

შენი არგანის და კვერთისაგან,  
მე გავზდი უკვე ნუგეშცემული,  
გავშალე ტახლა მაჭირველისა,  
უფალის სახლში დამკვიდრებული.

ზეთით გავზოხე მორჩილა თავი  
და სასუმელმან შენმა დამათრო,  
როგორც ურწუელმა წეალობა შენი,  
უფალო ჩემო, გთხოვ, არ დამაკლო.

ძალა, დიდება მამას და ძესა,  
სულიწმიდისა, ვიდრე ვსუნთქავდე,  
ლოცვანი უნდა ვაქციოთ წესად,  
უკუნიითიდან უკუნისამდე.

ალილუია, ალილუია,  
ალილუია, დიდება შენდა,  
ალილუია, ალილუია,  
ალილუია, დიდება შენდა.

ალილუია, ალილუია,  
ალილუია, დიდება შენდა,  
ღმერთო უკვდავო, დიდება შენდა,  
შენის ნებითა მრველი დამშვენდა.

უფალო ჩვენო, დიდება შენდა,  
სამკვიდრებელსა ვადიდებ შენსა,  
ძლევა ჯვართა ბარბაროსთ ზედა,  
შენ მოანიჭე კურთხეულ ერსა.

შენ დაიცავი, საფარველს ქვეშა,  
გაამთლიანე, გადაარჩინე,  
შენ, ჩემო ღმერთო, გლოცავ და გესავ,  
უბედურებსა გადაგვარჩინე.

**ლოცვები დილის 9 საათზე**

მამაო ჩვენო, სარ ცათა შინა,  
ჩვენში წმიდაა შენი სახელი,  
შენი სუფევა ამქვეყნისთვისა,  
არის მეოხე ჩვენი გამჩენის.

არსობის ჰური, რომ მოგვეც დღესა,  
თანანადებნი ჩვენ მოგვიტევე,  
ჩვენც მივუტევეთ მათ თანამდებთა,  
ასეთი ნებით ქვეყნად დაგვტოვე.

შეგ თხოვთ, გვისხენი ბოროტისაგან  
და ნუ შეგვიყვან განსაცდელშია,  
რადგან სუფევა მამა ღმერთისა,  
დამხმარე არის საწადელშია.

**ფსალმუნი 50**

მიწაღე ღმერთო, დიდ წეალობითა,  
შენგან ალაღად მოწოდებითა,  
შენით აღვსოცე უსჯულოება,  
რასაცა ვუწვი მოწონებითა.

ჩემს წინაშეა ეველა მათგანი,  
ჩემგან შენდამი შეცოდებანი,  
თუკი რამ ვცანი ბოროტებანი,  
გთხოვ, მანატო ეველა ცოდვანი.

მსურს, რომ განვმართლდე,  
სიტყვათგან ჩემთა,  
და ავიშორო ამით სასჯელი,  
ცოდვათა შინა მშვა მე დედაძა,  
ამიტომ განდა თვით განსასჯელი.

ჭეშმარიტებას თუ ვიმსახურებ,  
გამოცნადებულ, ფარულ სიბრძნისა,  
განწმენდისათვის წეალი მასხურეთ,  
რომ განვსაქტავდე მეტად თოვლისა.

უნდა მასმინო გალობა ტკბილი,  
რომ სინარული იგრძნოს სხეულმა,  
ამ ჩემს ცოდვებსა აქციე ზირი,  
არ ნახოს შვება, შენგან წეუელმა.

უსჯულოება ჩემგან აღსოცე,  
ჩემში კი წმიდა რწმენა დაჭბადე,  
სხეულში წრფელი სული ჩასახე,  
შენი ზირისგან გთხოვთ, ნუ განგვაგდებ.

შენგან მივიღებ სულიწმიდასა,  
მოცემს სინარულს მაცხოვრებისა,  
მსურს, დაგვიმტკიცო აზრი მთავრისა,  
რომ ვიგრძნო ძალა განარებისა.

გზაბნეულსა გზანი ვასწავლენე,  
შენკენ მოიქცა უღმერთონი ბევრი,  
უსისხლოდ ხსნისთვის ბევრი ვიწვადე,  
ღმერთო, შენა სარ სიცოცხლე ერის.  
ღმერთის სიუვარულს სიმართლე უნდა,  
მსურს, რომ გაუწეოთ ეველას ეს ნება,  
შენთვის სამსხვერპლს შეწირვა მსურდა,  
თუკი საკურთხეში ეს ჩამეთვლება.

მუდამ გვახსოვდეს, ღვთისადმი მსხვერპლი,  
არის მორწმუნე სული და გული,  
სხვა შესაწირით ღმერთიც ვერ შეცვლის,  
რადგან ეს არის დაწესებული.

უფალო, სიონს შენის ნებითა,  
ამ ჩანაფიქრსაც კეთილი უღვეს,  
ეველა მორწმუნის შემართებითა,  
ერუსალიმის აშენდეს ზღულე.

უფლისადმი ნამდვილი მსხვერპლი,  
რახეც შეიქმნა სანდო არაკი,  
შესაწირავი ეველა მორჩილის,  
საკურთხეველი განდა ზვარაკი.

ძალა, დიდება, მამას და ძესა,  
სულიწმიდისა, ვიდრე ვსუნთქავდე,  
ლოცვანი უნდა ვაქციოთ წესად,  
უკუნიითიდან უკუნისამდე.

ალილუია, ალილუია,  
ალილუია, დიდება შენდა,  
ალილუია, ალილუია,  
ალილუია, დიდება შენდა.

ალილუია, ალილუია,  
ალილუია, დიდება შენდა,  
ალილუია, ალილუია,  
შენი ნებითა ერი დამშვენდა.

შენ ღვთისმშობელო, ქალწულო წმიდავ,  
მადლით მოხილო დედაო ღვთისა,  
კურთხეული ხარ, ჩვენს დედად გწირავთ,  
როგორც მშობელსა ქრისტე ღმერთისა.

უფალო ჩვენო, დიდება შენდა,  
შენი საუფლოს წმიდა მფარველო,  
ღმერთო გვისხენი, გადაგვარჩინე,  
გაამთლიანე, გთხოვთ, საქართველო.

**ლოცვანი დღის 12 საათზე**

მამაო ჩვენო, სარ ცათა შინა,  
ჩემში წმიდაა სახელი შენი,  
შენი სუფევა ამ ქვეყნისთვისა,  
არის მეოხე ჩვენი გამჩენის.

არსობის ჰური, რომ მოგვეც დღესა,  
თანანადებნი რომ მოგვიტევე,  
ჩვენც მივუტევეთ მათ თანამდებთა,  
ასეთი უოფნით ქვეყნად დაგვტოვე.  
შეგ თხოვ, გვისხენი ბოროტისაგან  
და ნუ შეგვიყვან განსაცდელშია,  
რადგან სუფევა მამა ღმერთისა,  
არის დამხმარე საწადელშია.

**ფსალმუნი 90**

ღმერთის შეწევით დამკვიდრებულმა,  
რომ განისვენოს ღვთის საფარველში,  
შესთხოვოს უფალს მისმა მორჩილმა,  
რომ არ ჩაიგდოს თავი საფრთხეში.



კაცის იღლია, ფრთების საკრილი,  
საჭურჭლედ ალბათ არ გამოდგება,  
ამის დადგენა არის ადვილი,  
რადგან ეს არის ჭეშმარიტება.

არ შეგეშინდეთ ღამით ისრისა,  
იგი ხომ მხოლოდ დღისით იხვრისა,  
ღვაწლი, რომელიც ფრინავს დღისითა,  
არიდეთ ეშმაკს შუადღისითა.

არ მიეახლოს შენს სამეოფელსა,  
ანგელოზები გეგანან დამცველნი,  
შენს სავალ გზას წუთისოფლისა,  
მტრის შესამუსრად აღმართე ხელნი.

მარცხნივ დაუცნენ ათასეულნი,  
მარჯვენით შენგან კი ბუერეულნი,  
არ შეგხებია მათი სხეულნი,  
ისე შეიგრძენ თვალით ხილულნი.

იხილე ცოდვილთ მისაკებელნი,  
რამეთუ შენ სარ ჩვენი უფალი,  
შენ გამეოფინეს სავდრებულნი,  
მორჩილთა თხოვნა თავისუფალი.

უფრთხიდი, ფეხი არსად დააგდა.  
ვასილისკოსსა, ანდა ასნიტსა,  
ვეშაპის, ლომის დათრე უნვის გარდა,  
შენ სხვა უფლებას არვინ გაწვდისა.

რამეთუ, ღვთისგან ჩვენ გვევალება,  
დავისსნათ სულნი და დავიფართო,  
მრავალი წლების შექმლათ ტარება,  
ჩვენ თანადგომით რომ გავისაროთ.

ძალა, დიდება, მამას და ძესა,  
სულიწმიდისა ვიდრე ვსუნთქავდე,  
ლოცვანი უნდა ვაქციო წესად,  
უკუნიითიდან უკუნისამდე.

ალილუია, ალილუია,  
ალილუია, დიდება ღმერთო,  
ალილუია, ალილუია,  
ალილუია, დიდება ღმერთო.  
ალილუია, ალილუია,  
ალილუია, დიდება შენდა,  
ალილუია, დიდება ღმერთო,  
ღმერთო უკვდავო, დიდება შენდა.

გავვიღე კარი მოწვალეებისა,  
სარ კურთხეული ღვთისმშობელისა,  
ვიყოთ მორჩილნი, ძალად ღმერთისა,  
გვექნეს ცხოვრება ქრისტიანისა.

**ლოცვები დღის 3 საათზე**

მამაო ჩვენო, სარ ცათა შინა,  
ჩემში წმიდაა სასელი შენი,  
შენი სუფევა ამქვეყნისათვის,  
არის მეოხე ჩვენი გაჩენის.

არსობის ზური, რომ მოგვეც დღესა,  
თანანადებნი ჩვენ მოგვიტყვე,  
ჩვენც მივუტყვეოთ მათ თანამდებთა,  
ასეთი უოფით ქვეყნად დავტოვო.

შეგ თხოვთ, გვიხსენი ბოროტისაგან  
და ნუ შეგვიუვან განსაცდელშია,  
რადგან სუფევა მამა ღმერთისა,  
არის დამხმარე საწადელშია.

**ფსალმუნი 142**

ღმერთო ისმინე ჩვენი ლოცვანი,  
სადი, ჭეშმარიტ სიმაღლისანი,  
სწორად განსჯილი, შენს მონისანი,  
გამართლებული ცხოვრებისანი.

ამაჲ დროს სული მტრისგან დევნილი,  
თანაცხოვრებით დამდაბლებული  
და როგორც მკედარი ბნელში დასმული,  
ვრჩებით ამქვეყნად გაკუნებულნი.

ასეთ უოფაში ვართ დაცხადულნი,  
თან შეგვიძირწუნდა გულწრფელი სული,  
როგორც ქვეყანა, შენგან დაცული,  
მოაკლდა ჩვენს სულს, ვართ განწირული.

უფალო, ეველა, რაც სულს მოაკლდა,  
ველარ მიშეღის უკვე მომაკვდავს,  
შენგან თანგომის მაუწყე ვადა,  
ვიცით, ვერ ვცოცხლობთ ჩვენ მუდმივად.

გვსურს, მუდამ გვეკონდეს შენგან წყალობა,  
გვასწავლე გზანი შენკენ მავალი,  
ძალაღმა ღმერთმა რაც გვიწვალობა,  
არის სიცოცხლე და მომავალი.

რაკი ვისწავლეთ, ვოთ ნება შენი,  
რამეთუ შენ სარ უფალი ჩვენი,  
თან სახიერი ქვეყნად დამჩენი,  
მუდამ გვლოცავდეს სული გამჩენი.

შენ სახელისთვის, ღმერთო მაცხოვრე,  
უოველ ჭირისგან გვევ უვნებელი,  
შენი წყალობით შეგ მუსრო მტერი  
და ეველა ჩემი მაჭირვებელი.

ძალა, დიდება, მამას და ძესა,  
სულიწმიდისა, ვიდრე ვსუნთქავდე,  
ლოცვანი უნდა ვაქციოთ წესად,  
უკუნიითიდან უკუნისამდე.

ალილუია, ალილუია,  
დიდება შენდა, ალილუია, ალილუია,  
ალილუია, დიდება შენდა,  
ალილუია, ალილუია, ალილუია,  
დიდება შენდა, შენის ნებითა ერი დამშვენდა.

უფალო ჩვენი, დიდება შენდა,  
შენი საუფლოს წმიდა მფარველი,  
ღმერთო გვიხსენი, გადაგვარჩინე,  
გაამთლიანე, გთხოვთ - საქართველო.

**წმიდა ნინოს ტროპარი**

ანდრიას წმიდა მქადაგებელო,  
ნინო, ღვთის სიტყვის აღმსარებელო,  
ქართველთა სულის შემწვალებელო,  
ძალად ღმერთისთვის შემევედრებელო.

მარად ცოცხლობდეს ქართველთა გულში,  
შენი სახელი, ალალი წმიდა,  
დარწმუნებულნი შენს სივარულში,  
შენთვის ვლოცულობთ, სხვა აღარ გვინდა.

**ლოცვები საღამოს 6 საათზე**

მამაო ჩვენო, სარ ცათა შინა,  
ჩემში წმიდაა სასელი შენი,  
შენი სუფევა ამქვეყნისათვის,  
არის მეოხე ჩვენი გაჩენის.

არსობის ზური, რომ მოგვეც დღესა,  
თანანადებნი რომ მოგვიტყვე,  
ჩვენც მივუტყვეოთ მათ თანამდებთა,  
ასეთი უოფით ქვეყნად დავტოვო.

შეგ თხოვთ, გვიხსენი ბოროტისაგან,  
და ნუ შეგვიუვან განსაცდელში,  
რადგან სუფევა მამა ღმერთისა,  
არის დამხმარე საწადელშია.

**ფსალმუნი 69**

ღმერთო, მოხედე ჩვენს შეწევანსა,  
ჩვენთვის თანდგომა ნურვის უკვირსა,  
რცხვენოდეთ, ვინაც ეძებს ჩემს სულსა,  
ჩვენზედ იძახის მხოლოდღა ძვირსა.

შერცხვენილები ნუ გვეტყვის, ვაშა!  
ვინც მენთვის გალობს და არა ერთი,  
მუდამ მზადდა დღით თუ ღამითა,  
რომ ვადიაროთ: დიდი არს ღმერთი.

ვისაც კი უფარს შენი ცხოვრება,  
არ ვართ გლახაკნი, დაუდომილები,  
შეწევანს ვითხოვთ, ჩვენც გვეცხოვრება,  
შენა სარ მხსნელი კაცთ ცდომილების.

ძალა, დიდება, მამას და ძესა,  
სულიწმინდისა სანამ ვსუნთქავდე,  
ლოცვანი უნდა ვაქციო წესად,  
უკუნითიდან უკუნისამდე.

აღიღუპა, აღიღუპა, აღიღუპა,  
დიდება შენდა; აღიღუპა, აღიღუპა,  
აღიღუპა დიდება შენდა; აღიღუპა,  
აღიღუპა, აღიღუპა დიდება შენდა,  
შენ ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა,  
შენის დიდებით ერი დამშვენდა.

**წმიდა გიორგის ტროპარი**

მეფეთა უძლევეო წინამძღობლო,  
ტყვეთა მხსნელო და გლახაკთ მშველელი,  
შენის შეძლებით სხეულთ მკურნალო,  
ვევდრე ქრისტეს, რომ შეგვიწყალოს.

შენზედ ღოცულობს დღეს შენი მრევლი,  
დამწუნებულნი შენგან სიობლით,  
შენს სალოცავად ვეველა კუთხეში,  
ეკლესია დგას, წმიდა გიორგის.

**ლოცვები საღამოს 9 საათზე**

მამაო ჩვენო, ხარ ცათა შინა,  
ჩვენში წმიდაა სახელი შენი,  
შენი სუფევა ამქვეყნისთვისა,  
არის მეოხე ჩვენი გამჩენის.

არსობის ჰური რომ მოგვეცდეს დღესა,  
თანანადებნი ჩვენ მოგვიტყვე,  
ჩვენც მიუტყვებთ მათ თანამდებთა,  
ასეთი უოფით ქვეყნად დაგვტოვე.

შეგთხოვთ, გვიხსენი ბოროტისაგან  
და ნუ შეგვიყვან განსაცდელშია,  
რადგან სუფევა მამა ღმერთისა,  
არის მშველელი საწადელშია.

**ფსალმუნი 127**

ნეტარებაში არის ვეფლანი,  
ვისაც აქვთ შიში მაღალ ღმერთისა,  
ამ ნათელ გზაზე ღოცვით მავალნი,  
ნაკურთხი სულთ უფალს ერთვისა.

რომ სჭამო შენი შრომის ნაყოფი,  
ნეტარებდე და კეთილი გეზღოს  
და შენი ცოლი, როგორც ვენახი,  
ალამაზებდეს შენს სახლს და ეზოს.

შენი შვილები, ახალნერგები,  
მსგავსნი გემრიელ ზეთისხილისა,

ამ შენი ტაბლას ირგვლივ მსდომები,  
არის მშვენება შენი სახლისა.  
ასეთი მინდა მამაო, გაკურთხო,  
ღმერთის მოშიში, კარგი მშრომელი,  
ერუსალიმის წმიდა სიონის,  
და ისრაელის მანათობელი.

ძალა, დიდება, მამას და ძესა,  
სულიწმინდისა სანამ ვსუნთქავდე,  
ლოცვანი უნდა ვაქციო წესად,  
უკუნითიდან უკუნისამდე.

აღიღუპა, აღიღუპა, აღიღუპა,  
დიდება შენდა; აღიღუპა, აღიღუპა,  
აღიღუპა, დიდება შენდა; აღიღუპა,  
აღიღუპა, აღიღუპა დიდება შენდა,  
შენ ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა,  
შენის ნებითა ერი დამშვენდა.

უფალო ჩვენო, დიდება შენდა,  
შენი საუფლოს წმიდა მფარველი,  
ღმერთო გვიხსენი, გადაგვარჩინე,  
გამთლიანე, გთხოვ, საქართველო.

**ტროპარი წმიდა ნიკოლოზისა**

სარწმუნოების კანონისათვის  
ქცეულიყავი სიმშვიდის ხატად,  
რათა გექცია რწმენა ჩვენს წესად,  
ქრისტემ მოძღვარი შენში დანატა.

სამწესოს შენსა ჭკმანტიტებით,  
შეასწავლინე სიმდაბლე შენი,  
მღვდელთამთავარო წმიდა ნიკოლოზ  
ასე მივიღეთ თანდგომა თქვენი.

ქართველი მუდამ ღოცულობს შენთვის,  
ამ სიდიადეს შეჰმატე ერთიც,  
უფალს შესთხოვე წყალობა ჩვენთვის,  
რადგან ვართ შეილნი მაღალი ღმერთის.

**ლოცვა დამის 12 საათზე**

მამაო ჩვენო, ხარ ცათა შინა,  
ჩემში წმიდაა სახელი შენი,  
შენი სუფევა ამქვეყნისთვისა,  
არის მეოხე ჩვენი გამჩენის.

არსობის ჰური რომ მოგვეცდეს დღესა,  
თანანადებნი რომ მოგვიტყვე,  
ჩვენც მიუტყვებთ მათ თანამდებთა,  
ასეთი უოფით ქვეყნად დაგვტოვე.

შეგთხოვთ, გვიხსენი ბოროტისაგან  
და ნუ შეგვიყვან განსაცდელშია,

რადგან სუფევა მამაღმერთისა,  
არის დამხმარე საწადელშია.

**ფსალმუნი 133**

ვეველა მორწმუნე ვლოცულობთ ღმერთსა,  
მდგმურნი უფალის ეზო-სახლისა,  
სელთაღმურობილნი ვლოცულობთ ერთხმად,  
ვრჩებით ერთგულნი მამა-ღმერთისა.

ძალა, დიდება, მამას და ძესა,  
სულიწმინდისა სანამ ვსუნთქავდე,  
ლოცვანი უნდა ვაქციო წესად,  
უკუნითიდან-უკუნისამდე.

აღიღუპა, აღიღუპა, აღიღუპა,  
დიდება შენდა; აღიღუპა, აღიღუპა,  
აღიღუპა, დიდება შენდა;  
აღიღუპა, აღიღუპა,  
აღიღუპა, დიდება შენდა, შენ ღმერთო ჩვენო,  
დიდება შენდა, შენი ნებითა ეზო დამშვენდა.

იესო ქრისტე, შენ განუსვენე,  
ღმერთო ძლიერო წმიდათა შინა,  
ამ საუფლოში მიცვალებულთა,  
მარადიულად მიეცი ბინა.

სადაც არ სუფევს ამის შემდგომა,  
სულთქმა წუხილი, ურვა და ჭირი,  
აღარ სჭირდებათ მათ თანადგომა,  
არც ამ ცხოვრების დღენი დუსჭირი.

უნდა გვახსოვდეს ურადსაღებო,  
შუალამისას კაცის სტუმრობა,  
ხვდებით მღვიძარი? შენ ხარ ნეტარი,  
მძინარს ვურჩევდი, გამოღვიძებას.

შენ სულო ჩემო, რაკი იხილე,  
ნუ სჯი მძინარეს, ერუ ძილისაგან,  
უნდა შეუნდო და მოიხილო,  
არ განარიღო სასუფეველისგან.

უნდა შეგთხოვო, შენ ჩემო ღმერთო,  
მომართვის შემდეგ მუდამ გვიწყალებ,  
წმიდა ხარ, წმიდა, შენ ერთადერთო,  
ღვთისმშობლის რწმენით გთხოვ, შეგვიწყალებ.

ღმერთო ძლიერო დიდება შენდა,  
შენგან თანდგომით მსურს, გასახელო,  
ერის სიცოცხლე, ერთობა გვიინდა,  
გამთლიანე, გთხოვ – საქართველო.



სრულიად საქართველო, ოზურგეთელებს ვულოცავ შობა-ახალ წელს. ეკონომიკურ სიძლიერეს და წარმატებებს ვუსურვებ. ფეხბედნიერი იყოს 2015 წელი.

ანზორ ერქომაიშვილი.



შეკვეთილში საკონცერტო დარბაზის და ხუთი ვარსკვლავი პლიუსის მშენებლობებს ბატონი ბიძინას ძმა, ადიკო ივანიშვილი ხელმძღვანელობს.

ჟურნალ გურია REGION-ის ყოველთვის მხარში უდგას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს და ბევრ წარმატებას.

ჟურნალი გურია REGION

1946 წლის 9 თებერვალს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სურებში დავიბადე. ობლობაში გავიზარდე, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დეიდასთან, ბათუმში წავედი. ჩემ საყვარელ სოფელში ხშირად დავდივარ, ვერ გავძლებ, სურებს რომ არ მოვესიყვარულო. დედულეთში, სოფელ დაბლაციხეში წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი ავაშენე, დარწმუნებული ვარ ჩემ სოფელს შეენევა.



სრულიად საქართველოს ვულოცავ შობა-ახალ წელს, ქვეყანას წინსვლას ვუსურვებ, რაც შეიძლება მეტი ქარხნები და საწარმოები უნდა შეიქმნას, რომ ახალგაზრდები დასაქმდნენ. ქარმატების საიდუმლო მხოლოდ შრომაშია. დაუზარელი ადამიანისთვის გადაულახავი რუბიკონი არ არსებობს.

მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი, ჩოხოსანი, მწერალი, ბიზნესმენი, ბათუმის კოლორიტი პიროვნება – ჯონი ბარამიძე.

გილოცავთ 2015 წელს, სიკეთეს, სიხარულს, ხეავს და ბარაქას გისურვებთ, უფლის წყალობა არ მოგაკლდეთ ჩოხატაურელებო.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი ვიტალი ტყეშელიაძე.



შობა-ახალ წელს გილოცავთ ჩემო გურულებო და სრულიად საქართველო. ხეავი და ბარაქა არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს. იხარეთ და იბედნიერეთ.

დიდი სიყვარულით ჩოხატაურის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ სიხარულიძე.

გუკა ზედგინიძე გურიაში ერთადერთი ჰემოფილიით დავადებული ბავშვია. მას განსაკუთრებული ყურადღება და მკურნალობა ესაჭიროება. გუკა ძალიან ნიჭიერია, კარგად ხატავს. ჯანმრთელობას და ბედნიერებას ვუსურვებთ.



დემნა და გიორგი ჩიგოგიძეებს ვულოცავ ახალ წელს, ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს ვუსურვებ.

ვასილ ჩიგოგიძე



გილოცავთ შობა-ახალ წელს ჩემო ჩოხატაურელებო. გისურვებთ, რომ 2015 წელი თქვენი საუკეთესო სურვილების ასრულების წელი იყოს.

ჩოხატაურის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე მაია გიორგაძე



შობა-ახალ წელს ვულოცავ ჩოხატაურელებს და სოფელ ხევის მოსახლეობას. ხეავი, ბარაქა, გამრავლება, ეკონომიკური სიძლიერე და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, სოფელ ხევის მაჟორიტარი დეპუტატი გოჩა თოდრია.



# როგორ გაჩნდა პირველი ქართული ქარხანი გურულაზე



დედა სუბიძე

2014 წლის თებერვლიდან მკითხველს ახალი ფორმატის ჟურნალს გურია REGION-ს ვთავაზობთ. ჩვენ შემეცნებით-საგანმანათლებლო მიმართულება ავირჩიეთ, თუმცა თითოეული გურულის სოციალურ ყოფას უყურადღებოდ არ დავტოვებთ. გვსურს, საზოგადოებას ბევრი ნიჭიერი და წარმატებული ადამიანი გვააცნოთ. იუმორით გამოირჩეულ გურულებს ხალასი ურთიერთობები უნდა დაეუბრუნოთ.

როგორ გაჩნდა ჟურნალის დაფუძნების იდეა? მოულოდნელად ეს აზრი ანა თოხაძეს დაებადა, მითხრა – გურიაში ბევრი გაზეთი ვრცელდება, მაგრამ ჟურნალი არ გვაქვს, ამიტომ ჩვენ შევქმნათ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ანას მამას, შოთას და გარდაცვლილ ბიძას, თამაზის ყველა იცნობს, იშვიათად იპოვიან ახალგაზრდას, რომელიც მათი მოსწავლე არ იყო, ყველა სიამაყით აღნიშნავს – ჩვენ თოხაძეების აღზრდილები ვართ. ჩემთვისაც გურია უცხო არ არის, ზაფხულობით ჩოხატაური ერთადერთი დასასვენებელი ადგილი იყო. ბებია, ტატო ახალაძე ხუმრობით „დაჩნიკს“ მეძახდა.

ასე გაჩნდა პირველი ქართული ჟურნალი გურულაზე. პირველმა დაბრკოლებამ არ დააყოვნა და საბანკო სექტორში ერთ-ერთ მსხვილ მოთამაშეზე, ლიბერთი ბანკზე ხალხმა მწვავე რეაქცია ღიად გამოხატა – ვერაფერს აგისხნიან და დიდ პროცენტს ვიხდეთ, სამართალი აღარაა?! იქნებ დაგვებმართო ჟურნალისტიები და ვინმეს ხმა მიანდინოთ, რომ სესხებს პროცენტები დააკლონ, ხალხი გავიყიდეთ, სხვაგან ვერ მივიღოთ, მართო ეს ბანკია ჩოხატაურში. მართალია, მუნიციპალიტეტში ლიბერთის ფილიალი გარემონტებულია, თუმცა კითხვა ბანკს, რომელსაც საპენსიო სესხებზე საკმაოდ მაღალი პროცენტები აქვს,

როგორ იგებს ყოველ წელს საპენსიო ტენდერს? ვის მოუტანს სარგებელს ლიბერთის, თუ მოხუცს, ინვალიდს და უდედმამო ბავშვებს, რომლებიც პენსიას იღებენ? ბანკი ჯიუტად 24%-26% პროცენტზეა გაყინული. ამ კითხვებს სახელმწიფოს მესვეურებმა უნდა გასცენ პასუხი, რადგან სეხებზე მაღალი პროცენტები სხვადასხვა სამსახურში დასაქმებული ადამიანებისთვის, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის და პენსიონერებისთვის მძიმე ტვირთია. ბანკის სათაო ოფისში ჟურნალისტი ია ტაკიძის მიერ მომზადებული პუბლიკაციები პირად დაინტერესებად აღიქვას. იას შვილი, გუკა გურიაში ჰემოფილით დაავადებული ერთადერთი ბავშვია, რომელსაც განსაკუთრებული მზრუნველობა ესაჭიროება, მის მამას ნამდვილად უნდა ჰქონდეს ნორმალური სამსახური, თუმცა ჩვენი მიზანი ხალხით მანიპულირება არ იყო. ჩემს კოლეგას მადლობას ვუხდით პრინციპულობისთვის.

ამ ზამთარს ჩოხატაურის აგრარული ბაზარი ვერ გადაიტანს, ჩამოინგრევა და თავის ფუნქციას დაკარგავს. ბაზარს თავისი ფუნქცია დიდი ხანია დაკარგული აქვს – „აქ გლეხის ნაწარმიც იყიდება“. ჩოხატაურელები 13 წელი უშედეგოდ ელოდებიან აგრარულ ბაზარში ელემენტარული პირობების გაუმჯობესებას.

### როგორ აცხოვრებთ საქაპურს ასეთ ანტიანტიტარულ პირობებში?

– შვილი, როგორ მოვიქცე, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა მაქვს, წამლის თანხა რომ ვიშოვო, ასე ვწვალა, დღის ბოლოს აქ ვიკეთებ ინსულინის ნემსს. ასე მთავრობა რომ შეიცვალოს, ჩვენზე არავინ ზრუნავს, ყველა თავისი სკამისთვის ფიქრობს, გაჭირვებული ხალხი ვის ედარდება. გამგებლები ჩვენ ხარჯზე მოულოდნელ ფულს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქონების მართვის სააგენტომ აგრარული ბაზარი მუნიციპალიტეტს უკვე გადასცა, იმედს ვიტოვებთ, ბაზარში მსგავს ფოტორეპორტაჟს არ მოვამზადებ, რომლის დაბეჭდვა არც ჩემთვის იყო სასურველი, მაგრამ შელამაზებული სიმართლის თქმა და შემოთავაზებულ რეკლამაზე ჩვენი თანხმობა, ჟურნალისტის პროფესიას ხდის უსტატუსოს.



ანა თოხაძე

ჩოხატაურელებს სასმელად უვარგის წყალს გვანვდიან, ისიც 20 დღეში ერთხელ, ეს ტერიტორია წყალს მიაქვს, რატომ უნდა დადგან ავზი აღმართში, თან ფილტრები და წყლის საქაჩი შუა მდინარეში ჩააგდეს, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოებს ადგილობრივები მუდმივად განიხილავენ, თავიანთ სახლებთან დამონტაჟებულ წყლის მრიცხველებს უშედეგოდ უყურებენ, 24-საათიანი სუფთა და გაფილტრული წყლის მოლოდინის პარალელურად უშედეგოდ დახარჯულ მილიონებზე საუბრობენ.

– შე, დალოცვილო, მილიონებს რომ ხარჯავ, ათი ათასი მინც მოახმარე საქმის ნორმალურ დაწყებას.

გორთაფონის სათავე-ნაგებობასთან ჩვენი ალპინისტური ტური შედეგის მომტანი აღმოჩნდა. მდინარე სუფსის ნაპირზე, ჩოხატაურიდან ოზურგეთისკენ მიმავალ გზაზე ახალი სათავე-ნაგებობა მოეწყობა, პროექტი ითვალისწინებს სამ კილომეტრამდე მაგისტრალის მომზადებას, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ 700 ათასი ლარი გამოყო და სულ მალე საბოლოო სახეს მიიღებს.

ხუთი წლის წინ დაუჯერებელი ისტორია მოვისმინე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო სურებში 10 წლის ბავშვს ანთებული ნათურა არასდროს უნახავს, 25 წელი სოფელი ელექტროენერჯის გარეშეა დარჩენილი, ადგილობრივებისთვის სინათლე „ნატურის თვალი“ გახდა და ხელოსუფლების ცვლილების კვალდაკვალ უშედეგოდ ეძებენ. დღეს, ზემო სურები ჩაბნელებულია, ახალგაზრდები თურქეთში მუშაობენ, საჯარო სკოლა გაუქმების პირას არის მისული, გაჩეხილია ტყეები, ერთი საუკუნეა ხალხი იმედის თვალით შეჰყურებს

სოფლებიდან მუნიციპალიტეტში და-  
მაკავშირებელ 17 კილომეტრიან გზას.

ჟურნალ გურია REGION-ის, ენერ-  
გო-პრო-ჯორჯიას საზოგადოებასთან  
ურთიერთობის სამსახურის უფროსის,  
ავთო დვალისძის და საინიციატი-  
ვო ჯგუფის ძალისხევით ზემო სურებს  
ელექტროენერჯია მიენდება. მისიერ  
რეაგირებაში თავისი წვლილი შეიტანა  
ენერჯეტიკის მინისტრმა, კახი კალაძემ,  
ზემო სურების მკვიდრები მას მადლო-  
ბას უხდინა. ასევე დაეხმარნენ მუნიცი-  
პალიტეტის გამგებელი ირაკლი კუჭავა,  
გოჩა შათირიშვილი და ვანო ჭარბაძე.  
ახლა ყველა საზრუნავი გზის რეაბი-  
ლიტაციაა, რადგან სასწრაფო დახმა-  
რების მანქანა ვერ მიდის და ავადმყოფი  
ბედის ანაბარა დარჩენილი.

ჯანმრთელობა 2000-ის ორგანი-  
ზაციამ „ადითისათვის“ ერთი ქოლ-  
გის ქვეშ მოაქცია საქართველოს 8  
მუნიციპალიტეტის – ლანჩხუთის,  
ჩოხატაურის, ვანის, ხარაგაულის, ას-  
პინძის, ლენტეხის, ქარელისა და დე-  
დოფლისწყაროს საავადმყოფოები.  
უძრავი ქონებების მეპატრონე ებრა-  
ელი ქალბატონი ლენა გახდა. მან  
გაუჩინარებამდე ქონება ბანკში იპო-  
თეკით დატვირთა და ფული გამოიტა-

ნა. არაოფიციალური ინფორმაციით  
„ადითმა“, რომლის უკან მაშინდელი  
თავდაცვის მინისტრი დავით კეზე-  
რაშვილი იდგა, ქონებების გასხვისე-  
ბა თითო ლარად მოახერხა, „ადითის“  
მფლობელობაში საავადმყოფოები  
არც გარემონტდა, არც თანამედროვე  
აპარატურით აღიჭრვა, მედპერსო-  
ნალი სახელფასო დავალიანების გამო  
ხშირად გაფიცვას აწყობდა. სახელ-  
მწიფომ 8 საავადმყოფოს მართვის  
უფლება რეგიონალური ჯანდაცვის  
ცენტრს გადასცა, თუმცა მაქინაციით  
მითვისებული ქონების განკარგვას  
და საკუთრების უფლების აღდგენას  
დღემდე უშედეგოდ ცდილობდა.

აშშ-დან ჩამოსულ ნიკა ყიფშიძეს  
თბილისის რესპუბლიკურ საავადმყო-  
ფოში პომპეზური წარდგენა მოუწყ-  
ვეს, საუნივერსიტეტო კლინად გარ-  
დაქმნის იდეა გაცხადდა. ბიზნესმენმა  
ბიძინა ივანიშვილმა რესპუბლიკურის  
რეაბილიტაციისთვის 60 მილიონი გა-  
მოყო. დაიხარჯა თუ არა თანხა მიზნო-  
ბრივად? – პირველ სართულს რადიო-  
ლოგიური განყოფილება დააშენეს,  
მესამეზე საოპერაციო ბლოკები მო-  
ანწყვეს, მეოთხე სართულის შემდეგ  
დანგრეულია პალატები, გადათხრილ

კორიდორებში სპილენძის მავთულე-  
ბი მოიპარეს, სამედიცინო აპარატურა  
პირველ სართულზე არის დაყრილი.  
ბიზნესმენმა დაფინანსება შეუწყვიტა.  
რატომ არ ფლობენ რესპუბლიკურის  
მედპერსონალი შენობის გაყიდვის  
შესახებ ინფორმაციას? 2011 წლის 4  
აგვისტოს პრეზიდენტის ბრძანებუ-  
ლებით №04/08/03 პირდაპირი მიყიდ-  
ვის ფორმით კანადურ ფირმას Interhe-  
alth Canada-ს გადაეცა. ნასყიდობის  
ხელშეკრულებას ყოფილი ეკონომი-  
კის მინისტრი ვერა ქობალია და ნიკა  
ყიფშიძე აწერენ ხელს. ერთადერთი  
ლანჩხუთელი აკადემიკოსის, ლელი  
ქერქაძის შვილმა, თემურ მახარაძემ  
ეს ფაქტი ჩვენგან შეიტყო.

ჟურნალ გურია REGION-ის 11 ნო-  
მერი უკვე გამოვიდა. მართალია, საა-  
ხალწლო განწყობას რთულ თემებზე  
საუბარი არ შეეფერება, მაგრამ ეს  
ჩვენი რეალობაა, ამიტომ თვალს ვერ  
დავხუჭავთ. გურიის სამივე მუნიცი-  
პალიტეტს წინსვლას, წარმატებას და  
ეკონომიკურ სიძლიერეს ვუსურვებთ,  
თქვენს გვერდით ვიქნებით, ყველა  
სიხარულს და დარდს ერთად გავი-  
ზიარებთ. ბედნიერების მომტანი იყოს  
ახალი 2015 წელი.

ლელა სურმავა

# შიესით საქუთაჯ თაჟს ჯადნიეჯჟის უფღჟა

როგორ დავგემოთ 2015 წელი, როგორ  
მოვიზიდოთ წარმატება და ავისრულოთ  
სურვილები. ამ ყველაფერზე „სამასმერთე  
მილიონერის“ ავტორი, თამარ საგინაშვილი  
მოგიხსნის, ადამიანი, რომლის რჩევებსაც  
ბევრისთვის მოაქვს წარმატება. კოუჩი, რო-  
მელიც პოზიტიურ აზროვნებას ასწავლის მის  
ირგვლივ შემოკრებილებს და ამით სასწაუ-  
ლებს ახდენს.



მამ ასე პირველი რაც უნდა გააკეთოთ  
თამარ საგინაშვილი: დაბრძანდით და  
დანერეთ, თუ როგორი წელი გინდათ, როგორ  
ფიქრობთ, რო-  
გორი იქნება ეს წელი თქვენთვის? ოღონდ  
ტრადიციული „გა-  
ხარებული-გამრავლებული“ და ასეთი  
შაბლონებით ნუ დაახა-  
სიათებთ, ის დანერეთ, რასაც ნამდვილად  
ფიქრობთ.

გულწრფელად კითხეთ საკუთარ თავს: რას  
ველი მე მომა-  
ვალი წლისგან?

ლოგიკურად კი არ მოიგონოთ „ჭკვიანური“  
პასუხები, მოუსმინეთ საკუთარ თავს. აზრები  
თავისით მოგივით. რაც უნდა სულელურად  
და შეუსაბამოდ მოგეჩვენოთ, ჩაიწერეთ.

ეს არის ის, რასაც თქვენ ნამდვილად  
მოელთ ახალი  
წლისგან და სავარაუდოდ, მიიღებთ კიდევ.

გადახედეთ თქვენს პასუხებს. ყველა  
წინადადება და სიტყ-  
ვა, რომელსაც ნეგატიური შინაარსი აქვს  
ნაშაღეთ და შეცვა-  
ლეთ პოზიტიურით. ყველა მინდა, იქნებ,  
თუ, ვეცდები, ალ-  
ბათ, მოსალოდნელია, შესაძლებელია,  
საჭიროა და ასე შემდეგ  
შეცვალეთ მტკიცე რწმენით, იმის  
შესახებ, რომ მომავალი  
წელი ნამდვილად საუკეთესოა  
თქვენს ცხოვრებაში.

მიუხედავად იმისა, გსმენიათ თუ არა  
რაიმე პოზიტიურ  
აზროვნების სასწაულების შესახებ,  
გჯერათ თუ არ გჯერათ, რომ  
თქვენი ცხოვრების სცენარს თავად  
წერთ, ეს მაინც ასეა.

ამიტომ გამოსცადეთ!  
მე არ მინდა, რომ მომავალ წელსაც  
უმუშავარი ვიყოს ნაც-  
ვლად, ჩაუთქვით: 2015 წელს მე  
მაქვს საუკეთესო სამსახური.  
არ მინდა მომავალ წელსაც ვიავადმყოფო  
კი არა, რა უნდა  
გავაკეთო იმისთვის, რომ  
გამოვჯანმრთელდე.  
არ მიმართლებს კი არა, მე  
ვცვლი ჩემს ცხოვრებას უკე-  
თესობისკენ!

და მაშინ ყველა საჭირო ამბავი,  
რესურსი, ადამიანი გამოჩ-  
ნდება თქვენს ცხოვრებაში,  
რათა დაგეხმაროთ იმის  
ახდენაში, რაც თქვენ  
ახალ წელს ჩაუთქვით.

სიყვარულით და ხალისით  
მოემზადეთ ახალი წლისთვის.  
რაც გაქვთ იმით ისიამოვნეთ  
და იყავით მადლიერი უფლის  
ყოველი წამისთვის, ყოველი  
დღისთვის და ყოველი წლისთვის.  
მაშინ კიდევ უფრო მეტი  
რამ მოვა თქვენთან, რისთვისაც  
შეი-  
ძლება იყოს მადლიერი.

ბედნიერ ახალ წელს, სიყვარულის  
ნიჭს, პატიების უნარს  
და გულწრფელ სიხარულს  
გისურვებთ!

მიეცით საკუთარ თავს  
ბედნიერების უფლება და  
ბედნიერება აღარსად  
გადაუხვევს. ის პირდაპირ  
თქვენ მოგიკაკუნებთ  
კარზე!



# წინასახალწლო საფაღისი ბურიაში

ახალი წლის მოახლოებასთან ერთად, მუნიციპალიტეტებმა დღესასწაულის მთავარი ატრიბუტის მორთვაზე დაიწყეს ზრუნვა, ოზურგეთში, ლანჩხუთსა და ჩოხატაურში ნაძვის ხეები უკვე განყობილია და ახალი წლის დადგომას ელოდება.

ოზურგეთში, საახალწლოდ 16 მეტრიანი ნაძვის ხე მოეწყო, რომელიც შარშანდელთან შედარებით ორჯერ მეტი ნათურით და სათამაშოებით მოირთვება. ნაძვის ხე 18 ათასი ნათურით განათდება.

მთლიანად ქუჩის განათებისთვის და ნაძვის ხის მოსაწყობად, რაც ფოიერვერკსაც გულისხმობს, 30 ათასი ლარია გამოყოფილი – გვიტხრა კომპანიის ხელმძღვანელმა ლევან მიქაძემ.

ოზურგეთელები წელსაც, ახალ წელს, როგორც წინა წლებში და იმავე რკინის კონსტრუქციაზე აწყობილ და მორთულ ნაძვის ხესთან შეხვდებიან, ხელოვნური ნაძვის ხე ძვირი სიაომოვნებაა და 35 ათასი ლარის გადახდა შეუძლებელი იყო. სხვა მუნიციპალიტეტისგან განსხვავებით, ოზურგეთის ნაძვის ხეს ერთი დიდი პლიუსიც ჰქონია, კონსტრუქციაზე ბუნებრივი ნაძვის ტოტები იქნება მიმაგრებული და არა ხელოვნური.

როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელი ამბობს, ჩოხატაურში ახალ 2015 წელს განსხვავებულად შეხვდებიან. შეხვედრის ადგილი, ანუ საახალწლო ღონისძიების ადგილი შეცვლილია და ის ამჯერად ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართება.

რაც შეეხება ნაძვის ხეს, როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ირაკლი კუჭავამ განმარტა, წელს ხელოვნური ნაძვი არ მოეწყობა. ტერიტორიაზე, სადაც საახალწლო ღონისძიებები იგეგმება 16 მეტრიანი ბუნებრივი ნაძვს მორთავენ, იქნება ფოიერვერკი.

როგორც გამგებელი აღნიშნავს, მუნიციპალიტეტი ამისთვის 15 ათას ლარს გამოყოფს, რაც ბიუჯეტს საგრძნობლად დაზოგავს, მისივე განმარტებით, კონცერტშიც მხოლოდ ადგილობრივები მიიღებენ მონაწილეობას.

როგორც ქალაქ ოზურგეთის მერიის განათების, კულტურის და გენდერული თანასწორობის სამსახურის უფროსმა მარინა ჯაფარიძემ გვიტხრა, საახალწლო ღონისძიებები



25 დეკემბრიდან იგეგმება, რისთვისაც 10 ათასი ლარია გამოყოფილი. რაც შეეხება კულტურის სამინისტროს ეგიდით დაფინანსებულ მომღერლებს, სპეციალურად ოზურგეთელებისთვის ახალი წლის ღამეს „ნიკოლშოუ“ იმღერებს:

„პირველი კონცერტი, რომელიც დრამატულ თეატრში გაიმართება, მიეძღვნება წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოებას, 29 დეკემბერს სოციალურად შეჭირვებული ფენისათვის საახალწლო კონცერტი იგეგმება, სადაც მოხდება საოჯახო პაკეტების გადაცემა, 31 დეკემბერს იქნება ტრადიციული კონცერტი, თუმცა წელს განსხვავება იქნება ის, რომ ორ ბლოკად გაიყოფა, პირველ ბლოკში ადგილობრივი ძალები მიიღებენ მონაწილეობას, მეორე ბლოკს გააგრძელებენ კულტურის სამინისტროს ეგიდით დაფინანსებული მომღერლები, განსაკუთრებულად სასიმაოვნოა, რომ აქ მონაწილეობას მიიღებს „ნიკოლშოუ“, რაც ძალიან გაახარებს ჩვენს ახალგაზრდებს, წამყვანები იქნებიან გიორგი გურგულია, ასევე იქნება დავით ნეფარიძე, კონცერტში საინტერესო მომღერლები მიიღებენ მონაწილეობას.

მთლიანად ღონისძიებისთვის ქალაქის მერიაში 10 ათასი ლარია გამოყოფილი. 1 იანვრიდან ქალაქი განსხვავებულ ფორმატშია წარმოდგენილი, მონყობილი ბავშვებისთვის, სადაც ორი კვირის განმავლობაში იქნება თოვლის ბაბუა, რომელთანაც მათ საშუალება ექნებათ ფოტოები გადაიღონ, ასევე მცირედ საჩუქრებს მიიღებენ – გვიტხრა ჯაფარიძემ.

რაც შეეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, საახალწლო ღონისძიებებისათვის გაცილებით მცირე თანხაა გამოყოფილი, როგორც პრესსამსახურმა განაცხადა, 10 000 ლარი.

პრეს-სამსახურის ინფორმაციით წინასახალწლო დღეებში მოირთვება ქალაქის ცენტრი, ხოლო 31 დეკემბერს ფოიერვერკები მოეწყობა. ასევე 31 დეკემბერს, საზეიმო-სადღესასწაულო კონცერტი გაიმართება, ლანჩხუთის კულტურის ცენტრში.





# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გავგეოგეი 2015 წლის ბიუჯეტი გიხვლით სხლოგეი დიიგეი



საკრებულოს მიერ მუნიციპალიტეტის მთავარ საფინანსო დოკუმენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემდეგ ადგილობრივი ბიუჯეტი 7 მილიონ 14 ათასი ლარით განისაზღვრა.

2015 წლის ბიუჯეტის პროექტი მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებმა დაბა ურეკის კულტურის სახლში, რიგგარეშე სხდომაზე დამტკიცეს.

პროექტის პრეზენტაციას, რომელიც გამჭვირვალობის პრინციპით, სლად ფორმატით მუნიციპალიტეტის ისტორიაში პირველად მოეწყო, გურიის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი, ქეთი მოისწრაფეშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი, მერაბ ჭანუყვაძე, აღმასრულებელი რგოლის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა დიესწრო.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელმა, გიი მამაკიშვილმა მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებისა და მიმართულებების შესახებ დეტალური მიმოხილვა წარმოადგინა. როგორც პრეზენტატორმა აღნიშნა, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელ პირობას ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება წარმოადგენს, ამიტომ 2015 წლის ბიუჯეტის პირობებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას მოიცავს.

მომავალი წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურული პროექტებზე 1 177,5 ათასი ლარი დიხარჯება. იგეგმება მერია-კონჭკათის ადგილობრივი მნიშვნელობის გზის რეაბილიტაცია. (მე-2 ეტაპი. გარდამავალი პროექტი), სილაურის ადმინისტრაციული შენობის რემონტი. ოზურგეთი-შემოქმედი-გომისმთის გზის მშენებლობა, დვებუ-ცხემლისხიდი-ვაკიჯვრის ადგილობრივი მნიშვნელობის გზის რეაბილიტაცია, მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინის რემონტი უსახლკართო განთავსებისთვის, სოფელ ოზურგეთი-მელექერდური – დვებუზს საავტომობი-

ლო გზის რეაბილიტაცია (მე-3 ეტაპი), სოფელ ჯუმათში სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა-მონყობა. (1-ლი ეტაპი), ცხემლისხიდის, ბახვისა და ჭანიეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, კურორტ გომისმთის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა პროექტირების ჩათვლით, დაბა ურეკში, წვერმალის ტერიტორიაზე ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მონყობა, კურორტ გომისმთის განაშენიანების გენ-გეგმის შექმნა.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვაზე 115 ათასი, დასუფთავების ღონისძიებებზე – 390 000, კომუნალურ მომსახურებაზე – 320 ათასი, კეთილმონყობის სამუშაოებზე – 50 ათასი, გარე განათების მონყობაზე – 120 ათასი, ხოლო ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრის შექმნაზე – 182,5 ათასი ლარია გათვალისწინებული.

მამაკიშვილის განმარტებით, მთავარ პრიორიტეტებში მოხვდა ზოგადი განათლებისა და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა. პროგრამის მიზანი საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სადმზრდელი გარემოს შექმნა და მატერიალურ-ტექნიკური პირობების გაუმჯობესებაა. რაც შეეხება ზოგად განათლებას, ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დანესებულებების რეაბილიტაციაზე ჯამში 41 000 ლარი დიხარჯება. იგეგმება წარმატებული მოსწავლეების სწავლის დაფინანსებაც. ასევე, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დხმარება, მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობა, ვეტერანების და დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფა, სპორტისა და ტურიზმის განვითარება, ტურისტებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

სოფლის მეურნეობის მიმართულებით იგეგმება ჩაის კულტურის რეაბილიტაციისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სამელიორაციო სამუშაოების განხორციელება; მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოება, ხილსაცავების მონყობა, სასათბურე მეურნეობების განვითარება.

მუნიციპალიტეტის გამგებლის, მერაბ ჭანუყვაძის განცხადებით წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი იდეალურისგან შორსაა, თუმცა გამგეობისა და საკრებულოს კომპლექსური მუშაობის შედეგად მომავალ წელს გაცილებით მეტი საინტერესო და მოსახლეობისთვის აუცილებელი სოციალური პროექტი განხორციელდება.

პრეზენტაციის დასასრულს დაბა ურეკის კულტურის სახლში ადგილობრივი ქორეოგრაფიული ანსამბლის კონცერტი გაიმართა. ანსამბლის წვერებს მუნიციპალიტეტის გამგეობისგან წინსაახალწლო სასაჩუქრე პაკეტები გადაეცათ.

ნინო ონიანი

# ლანჩხუთის საკრებულო 2015 წლის ბიუჯეტი დააგვიცა

რაგომ უნოდეს ბიუჯეტს „ნაციონალური“?

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტი რამდენიმე დეპუტატის წინააღმდეგობის მიუხედავად, 25 დეკემბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე მაინც დამტკიცდა. ლანჩხუთის მთავარი ფინანსისტის, როლანდ ლაშხიას განმარტებით, 2015 წლის საშემოსავლო ნაწილი განსაზღვრულია 7 960 100 ლარით. მათ შორის, შემოსავლები 7 489 100 ლარით, არაფინანსური აქტივების კლება 471 000 ლარით, გადასახადები შეადგენს 800 000 ლარს. გრანტები – 6 101 100 ლარს, აქედან გათანაბრებით ტრანსფერი – 5 881 100 ლარი. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 220 000 ლარით განისაზღვრა, ხოლო შესაბამისად 7 943 300 ლარით – ხარჯები. შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 1 586 400 ლარი. საქონელი და მომსახურება – 844 340 ლარი. სუბსიდიებზე – 4 683 800 ლარი. გრანტებმა კი 305 360 ლარი შეადგინა. სანამ ამ ციფრებს მუხლობრივად ბოლომდე ჩაიკითხავდა ლაშხია, მანამდე კამათი, ხელების ქნევა, თუ ერთმანეთის მიმართ წამოსროლილი რეპლიკები დეპუტატებს შორის „ნუ გვაბოლებთო“ მაინც გაიმართა, რაც ძირითადად 2015 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს შეეხო. მიუხედავად იმისა, რომ როგორც საკრებულოს სხდომაზე ითქვა, მომავალი წლის ბიუჯეტში გარკვეული ცვლილებები შევიდა, დეპუტატებს (უმცირესობას) მიაჩნდათ, რომ ლანჩხუთის საკრებულომ „დიდ შარში“ ჩაიგდო თავი, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის რამდენიმე მუხლი დაირღვა და ეს პირველ რიგში საჯაროობაა.

ლანჩხუთის ექს გამგებელმა გია გოგუაძემ განმარტა, რომ ის ვერ აიღებს ამ პასუხისმგებლობას და ამ ბიუჯეტს მხარს არ დაუჭერდა.

„ჩვენც გვიმუშავია როლანდ ლაშხიასთან და ყველამ ვიცით, მასზე ძლიერი ფინანსიტი ლანჩხუთში არაა, მაგრამ „ქართული ოცნების“ დანაპირები ამ ბიუჯეტში 1% არაა ასახული. ვიცით, ბიუჯეტის დამტკიცებას ელოდება არასამთავრობო ორგანიზაციები და ისინი ჩვენს ბიუჯეტს შეიტანენ სასამართლოში. მერე კი დაბრუნებული და დაუნებული ბიუჯეტის, მე მართლა შემრცხვებოდა. თვითმმართველობის კოდექსიდან დარღვეულია რამდენიმე მუხლი და ეს საკმარისია იმისთვის, რომ სასამართლომ უკან დააბრუნოს ეს ბიუჯეტი. გარდა ამისა, ექს გამგებელ-



მა საბიუჯეტო გამჭვირვალობაც დაუნუნა უმრავლესობას და განაცხდა – გაზეთებში პროექტი რატომ არ გამოაქვეყნეთ, რადგან ლანჩხუთის ოფიციალურ ვებგვერდს ჩვენი მოსახლეობის მცირე პროცენტი კითხულობსო. ამიტომ მე ვერ ავიღებ პასუხისმგებლობას, რომ ასეთ ბიუჯეტს მხარი დაუჭირო“ – დასძინა გოგუაძემ.

თანაგუნდელის მსგავსად, კახა ასკურავამ განმარტა, რომ არც ის დაუჭერდა მხარს 2015 წლის ბიუჯეტის პროექტს. მამათის მაჟორიტარმა დეპუტატმა და გამგებლის ძმამ, კახა ურუშაძემ მიუგო, რომ კონკრეტულ პირებს არაფერს ერჩოდა, თუმცა პასუხისმგებლობის აღება მომავალი წლის ბიუჯეტზე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებთან ერთად არ სურდა. დღეს, თუ დააკვირდით ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით ბევრი შეკითხვა არ ყოფილა, რადგან შეიძლება ჩვენს მიერ თითოეული პუნქტი კარგადაა დამუშავებული. აქედან გამომდინარე შეკითხვებიც ნაკლები იყო. სიმართლე გითხრათ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერას არ ველოდი და გახარებულიც ვარ, რომ მათ მხარი არ დაუჭირეს. არანაირი პასუხისმგებლობის გადანაწილება მათთან ერთად არ მინდა. კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ, რომ ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ბიუჯეტზე და მოვუნოდებ კოლეგებს, ამ ბიუჯეტს მხარი დაუჭირონ“ – თქვა მან.

„პატრიოტული ალიანსიდან“ დარეჯან ბურჭულაძემ საქციელი არ მოუნონა კოლეგას და განმარტა, მიუხედავად იმისა, თითონ მხარს უჭერდა ახალ ბიუჯეტს, რადგან ძირითადი შენიშვნები გათვალისწინებულიაო, უკეთესი იყო ეს ბიუჯეტი „ნაციონალურსაც“ მონონებოდათო. მან აქვე დადო პირობა, რომ ბიუროსა თუ კომისიაზე მისი შეფასებები ძალიან კრიტიკული და მწვავე იქნება. მისივე განცხადებით, ის ბალებში ხელფასების გაზრდას ითხოვდა. რაზეც უმრავლესობის ლიდერის ია ჩხაიძის განმარტება მოყვა, რომ ეს საკითხი მოგვარებულია და პედაგოგებს 50-50 ლარი მოემატებათ ხელფასი, ხოლო ტექნიკურ პერსონალს, – ძიძებს, მზარეულებსა და მომვლელებს 45-45 ლარით გაეზრდებათ ხელფასი.

თავის მხრივ, დეპუტატებმა უმრა-





ვლესობიდან აღნიშნეს, რომ არ არსებობდა ბიუჯეტი, რომელიც ყველასთვის მოსანონი იქნება და ამდენად მხარს დაუჭერდნენ.

ინტერესთა კონფლიქტის საკითხი მაშინ დადგა იმ დეპუტატებისთვის, ვინც პარალელურად ა(ა) იპ-ებში მუშაობდა, როცა კითხვა დაისვა, ჰქონდათ თუ არ ამ დეპუტატებს ხმის უფლება. ამ საკითხის ირგვლივ ალბათ შეხლა-შემოხლა დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ არა საკრებულოს თავმჯდომრის გოგი ხელაძის ჩარევა, მან დეპუტატებს სიმშვიდისკენ მოუწოდა. ხოლო რომან ბინაძემ დარბაზი დემონსტრაციულად დატოვა, რადგან წინადადება, რომელიც მან დააყენა, რომ მიეღოთ ბიუჯეტის მიღებისთვის საჭირო რაოდენობის ხმების მოგროვება, ნამდვილად გაჭირდებოდა. განსაკუთრებული ემოციური იყო აკეთის მაჯორიტარის გოგი მორჩილაძის გამოსვლა, მან დღის წერიგის მეოთხე საკითხი გააპროტესტა, როცა საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015-2017 წლების სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებას შეეხო, გგონიათ, კითხვა არ ვიცით თუ გვატყუებთ? ჩაგენერათ, რომ ცნობის სახით უნდა მივიღოთო. აქ პირდაპირაა განმარტებული, რომ დასამტკიცებლად შემოიტანეთ – ვერ მალავდა ემოციებს აკეთის მაჯორიტარი. რაზედაც საკრებულოს თავმჯდომრის მხრიდან მკაცრი შენიშვნა მიიღო – „ხელების ქნევას შეეშვი და დამშვიდდით“. კოლეგას მხარი აუბა დარეჯან ბურჭულაძემ და მორჩილაძეს გამოესარჩლა. „ვიცით, ბატონო, რომ ამ შენობაში ზოგადად თაბახის ფურცელის და კატრიჯის პრობლემა დგას, მაგრამ ორი სიტყვის შეცვლა ხომ შეიძლება. თუ

ცნობის სახით გვანვდით, კენჭისყრაზე რატომ აყენებთო? – ამ ხმაურის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ პოზიციები დათმო. თუმცა გოგი მორჩილაძემ მაინც უთხრა – „გვეკაიფებინაო“.

ყველაზე მთავარი მაინც საკრებულოს სხდომის დასასრულს იყო, როცა საკრებულოს თავმჯდომრის მოადგილე გელა კილაძემ კოლეგებს, საჯაროობის საკითხთან დაკავშირებით შეეხმინა. მისი თქმით, ბიუჯეტის პროექტის განხილვა მანამდე არაერთხელ მომხდარა.

„წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს მსურს, ვკითხო მათი ხელმძღვანელობის დროს, ამ დოზით ბიუჯეტის განხილვა მოხდა? თუ მომხდარა, ისე რომ ბიუჯეტი უკან გაბრუნებულიყო? ამ დოზით შეტანილი იყო ცვლილებები, რაც ჩვენ შევიტანეთ? მე მსგავსი რამ არ მახსოვს, ეს იყო მოჩვენებითი და არ მახსოვს რომელიმე დეპუტატს რაიმე წინააღმდეგობა გაენია. ისინი ხმასაც ვერ იღებდნენ, დეპუტატებმა ამ განცხადების ავტორი შეურაცხყოფაში დაადანაშაულეს. ხოლო გია გოგუაძემ ლანჩხუთის მთავარ ფინანსისტს იმის გახსენება თხოვა, რამდენჯერ დაუბრუნა საკრებულოს უკან ბიუჯეტი. რომან ბინაძემ კი თავისი პოზიციის გამოხატვის არც ახლა „შეეშინდა“ და აღნიშნა, რომ ბიუჯეტისთვის მხარი არასდროს დამიჭერიაო. უფრო მეტიც, მისივე თქმით, დღევანდელი ბიუჯეტიც „ნაციონალური“ და რა მნიშვნელობა აქვს დარბაზში „ნაციონალები“ უფრო მეტნი იქნებიან თუ უმცირესობაშიო. არც გიორგი ჩახვაძეს „მოერიდა“ თავისი შეხედულების მკაფიოდ გამოხატვა და დასძინა, რომ „ხმის ამოღების“ არც მას ეშინოდა.

ნინო ონიანი

# ჩოხატაურის საკრებულოს სხდომა

2014 წლის 5 დეკემბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განიხილეს ხუთი საკითხი, აქედან „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014წ.21. სექტემბრის №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ,“ საკრებულოსა და გამგეობის თანამდებობის პირთა და მომსახურეთა პრემიების ოდენობის განსაზღვრის და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ – საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე – განმარტება გააკეთა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ მარინე ბერაძემ.

„პროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ პრემიის გაცემა მოხდეს დასაბუთებულად და მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესით.

კანონპროექტის მიღება იწვევს ფინანსურ ცვლილებებს სახელმწიფო ბიუჯეტში. პრემიის ანაზღაურება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

რაც შეეხება მეორე საკითხს, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა – დადგენილების პროექტის მიღების მიზეზია ცვლილების აუცილებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულებაში, კერძოდ გასაუქმებელია დამტკიცებული დებულების დანართი №2, №3, №4. აღნიშნულ ფორმებს ამტკიცებს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

საკითხებზე – „საკრებულოს 2013 წ. 27 დეკემბრის №33 დადგენილებაში „მუნიციპალიტეტის 2014 წ. ბიუჯეტის შესახებ“ ცვლილების შეტანის და დამატების თაობაზე, „მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო მუნიციპალური შესყიდვების

სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ და „საკრებულოს 2013 წ. 27 დეკემბრის №72 განკარგულებაში – „2014 წ. სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ – ცვლილების შეტანის თაობაზე – განმარტება გააკეთა საფინანსო სამსახურის უფროსმა, გელა ლომინიევიძემ.

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014წ. ბიუჯეტის საერთო მოცულობა უნდა გაიზარდოს სულ 762,8 ათასი ლარით, მათ შორის: „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ 12,0 ათასი ლარით. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ 696,1 ლარით. უნდა გაიზარდოს ადგილობრივი შემოსავლის გეგმა 54,7 ათასი ლარით. ბიუჯეტის მოცულობა გახდება 12679,9 ათასი ლარი.

ადგილობრივი შემოსავლების გაზრდის შედეგად მიღებული თანხა 54,7 ათასი ლარი მიიმართოს შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებაზე:

- ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანებას სუბსიდია – 2,9 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ კულტურის ცენტრს სუბსიდია – 11,0 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი სუბსიდია-3,0 ათასი ლარი.
- საფენბურთო კლუბი „ბახმარო 2009“ – სუბსიდია – 10,5 ათასი ლარი.
- ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანებას სუბსიდია – 3,3 ათასი ლარი.

აუცილებლობიდან გამომდინარე უნდა შემცირდეს საკრებულოს ოფისის ხარჯებში, არაძირითადი საქმიანობის ხარჯები – 4,5 ათასი ლარით და მიიმართოს ოფისის ხარჯში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული.

ირინა რამიშვილი



# ჩვენ ერთი გუნდი ვართ, გადაწყვეტილებებს ერთად ვიღებთ...



მინდია შალვაშვილი

ჩვენი რუბრიკა „შეგიძლიათ გვიპასუხოთ?“ მოიცავს შერეული სახის კითხვებს, რომლებიც შეეხება, როგორც სამსახურებრივ, ასევე ცხოვრებისეულს, პოლიტიკურს თუ შემეცნებითს.

ჩვენი კითხვებით დღეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს მინდია შალვაშვილს მივმართეთ.

- შეგიძლიათ გვიპასუხოთ? თქვენი ავტობიოგრაფია.
- მინდია შალვაშვილი ტარიელის-ძე დაიბადა 1983წ. 1 იანვარს ჩოხატაურში. ჩოხატაურის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ვმუშაობდი სახალხო და საქართველოს ბანკში. 2014წ.11. აგვისტოდან ვმუშაობ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ... მყავს მეუღლე და ერთი შვილი.
- კმაყოფილი ხართ თქვენი ამჟამინდელი მდგომარეობით, თუ ფიქრობთ, რომ უფრო მეტს იმსახურებთ, უფრო მეტი შეგიძლიათ თუ პირიქით?
- ადამიანის შესაძლებლობებზე ზღვარის გავლება ცოტა რთულია, მაგრამ ჩემს ამჟამინდელ პოზიციაზე ძალიან ბევრი კარგი საქმის გაკეთება შესაძლებელია, ასე რომ ჯერ ძალიან ბევრი სამუშაო, მაქვს იმისთვის, რომ ამ პოზიციაზე გავაკეთო ის საქმეები, რაც მიზნად გვაქვს დასახული.
- როგორ გესახებათ სამუშაო გეგმა, გარდა იმისა, რაც თქვენ სამსახურებრივ გეგმებში შედის. რას დაამატებდით ან რით შეცვლიდით?
- ჯერ ის გეგმები უნდა მივიყვანოთ ბოლომდე, რაც მიზნად გვაქვს დასახული და დამატებაზე შემდეგ ვიფიქრობთ.
- გადაწყვეტილებებს ერთად იღებთ?
- ჩვენ ერთი გუნდი ვართ და გადაწყვეტილებებს ერთად ვიღებთ.
- ფიქრობთ, რომ ბევრი ღირსეული ადამიანია დაუსაქმებელი, რომლის ადგილი უკაცრავად და ნაკლები ღირსების მქონემ შეცვალა?
- სხვის ღირსებებზე საუბარი ცოტა უხერხულად მი-

მანია, მაგრამ უმუშევრობის დონე ქვეყანაში ჯერ კიდევ მაღალია, ბუნებრივია, ჯერჯერობით ბევრი ადამიანია დაუსაქმებელი.

- როგორ ფიქრობთ, უნდა ხვდებოდეს თუ არა ადამიანი სამსახურში მხოლოდ პარტიული ნიშნით?
- თუ ადამიანი პროფესიონალია პატიოსანი და თავისი ქვეყნის პატრიოტია, პოლიტიკურ პლატფორმას, ჩემი აზრით არ აქვს მნიშვნელობა, სხვანაირად დემოკრატია ვერ განვითარდება.
- შეგიძლიათ გვიპასუხოთ, თქვენს ირგვლივ არიან ისეთები, რომლებიც პარტიული ნიშნით შეარჩიეს და მათ სამსახურისთვის შესაფერისი არც ცოდნა აქვთ და არც გამოცდილება?
- არა, არ ვთვლი, რომ ჩემს ირგვლივ ასეთი ადამიანები არიან.
- ცოტაც გონივრული სავარჯიშო, რამდენი მდინარეა იამაიკაზე?
- იამაიკაზე დაახლოებით 120-მდე მდინარეა.
- დაასახელეთ მსოფლიოს უდიდესი ყვავილი, რომელიც 7კვ. ინონის.
- რაფლესია.
- თქვენი აზრით მუნიციპალიტეტში ცოდნის კონკურენცია არსებობს, თუ არ არის მცდელობა, ერთმანეთს ცოდნის კონკურენცია გაუწიონ.
- მუნიციპალიტეტში ცოდნის კონკურენცია არის, რაც კონკურსმაც გამოავლინა.
- მაღალი თანამდებობის პირს სჭირდება მასზე ჭკვიანი და ნიჭიერი კადრი, რომელიც შენიშვნებს მისცემს, ჭკუასაც დაარიგებს, მიუთითებს და შეწინააღმდეგება კიდევ?
- ჭკვიანი და ნიჭიერი კადრი ყველას სჭირდება.
- თუ ჩათვლით საჭიროდ შეწინააღმდეგებით თქვენს ზემდგომს?
- თუ მე განსხვავებული პოზიცია მექნება, ჩემს აზრს დავაფიქსირებ.
- გჯერათ ოდესმე ქვეყანაში ცოდნა იზიარებ?
- რა თქმა უნდა.
- შეგიძლიათ გვიპასუხოთ... რა გამორჩეული თვისებებით ხასიათდებიან ყვავები?
- არიან ბუნების სანიტრები.
- შ.გ. - ყვავებს ახასიათებთ ჯავრის გულში ჩადება და ადამიანთა სახეების გარჩევა.
- რაიმე ჰობით ხართ გატაცებული?
- ცურვა.
- თქვენი მუშაობის პერიოდში იქნება თუ არა გამახვილებული აქცენტი ხალხის მოთხოვნებზე?
- ჩვენი საქმიანობა ხალხის მოთხოვნების დაკმაყოფილებაა.
- შეგიძლიათ მიმართოთ თქვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.
- ჩემო ჩოხატაურელებო, გეფერებით და გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს. ხვალი და ბარაქა არ მოგაკლოთ უფალმა. ერთად ვიზრუნოთ ჩვენი მუნიციპალიტეტის და ქვეყნის წინსვლისთვის.

ირინა რამიშვილი

# ხელოვნური გათოვლიანება გუდაურში



ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი 18 დეკემბერს სამთო-სათხილამურო კურორტ გუდაურში ჩავიდა და ადგილზე დაათვალიერა დასრულებული და მიმდინარე სამუშაო პროცესი – რა ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩატარდა და როგორ ემზადება კურორტი ზამთრის სეზონის გახსნისთვის. გიორგი კვირიკაშვილი ასევე დეტალურად გაეცნო ხელოვნური გათოვლიანების სისტემის მუშაობის პროცესს, რომელიც საქართველოში წელს პირველად დამონტაჟდა. მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ხელოვნური გათოვლიანების პროცესი ღამის საათებში შედგა.

ხელოვნური გათოვლიანების პროცესი კურორტს საშუალებას აძლევს, აღარ იყოს დამოკიდებული ბუნებრივ კლიმატურ პირობებზე და ყოველწლიურად, წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში, გახსნას სათხილამურო სეზონი. აღნიშნული სისტემის მშენებლობას მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი იტალიურ-ავსტრიული კომპანია „დე-მაკლენკო“ ახორციელებს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად მთის კურორტების განვითარების კომპანიამ სარემონტო სამუშაოები გუდაურში სექტემბერში დაიწყო. კურორტზე დამონტაჟდა 29 თოვლის საფრქვევი აპარატი ეგრეთ წოდებული „თოვლის თოფი“, რომელთა საშუალებითაც ხდება 1100 მეტრიანი ტრასის გათოვლიანება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გუდაურის პირველი


ტრასის გათოვლიანება. ასევე დასრულებულია წყლის სისტემის დამონტაჟება და სატუმბო-საკომპრესორო ნაგებობების მშენებლობა. 2015 წლიდან კი ხელოვნური გათოვლიანების მეორე ფაზა დაიწყება და 4 კილომეტრის მანძილზე მთლიანად გათოვლიანდება გუდაურის მეორე სათხილამურო ტრასა, ასევე აშენდება წყლის რეზერვუარი, ეგრეთ წოდებული ხელოვნური ტბა, რაც ხელოვნური გათოვლიანების ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

ხელოვნური გათოვლიანება – ეს არის სისტემა, როდესაც მაღალი წნევის მილებით წყალი მიენოდება უშუალოდ აგრეგატს, ასევე მიენოდება გაციებული ჰაერის ნაკადი, რომელიც კომბინაციაში მაღალი წნევის გამოფრქვევის შედეგად ჰაერშივე გარდაიქმნება თოვლად. ხელოვნური ტბა ზაფხულში დამატებით ტურისტულ ატრაქციად იქცევა.

გათოვლიანების სისტემის გარდა, კურორტზე განხორციელდა რიგი მოსამზადებელი სამუშაოები: საბაგიროების გეგმიური რემონტი, არსებული ტრასების ქვებისგან განმწმენდა-გაფართოება, დამონტაჟდა საინფორმაციო მონიტორები. დამონტაჟდა ღამის განათებები, რაც მოთხილამურეებს საშუალებას მისცემს, ღამითაც ისრიალონ. დამონტაჟებულია მსოფლიოში ლიდერი ავსტრიული კომპანია „სკიდატას“ თანამედროვე უკონტაქტო გამშვები პუნქტები. ასევე, წელს პირველად, სათხილამურო სპორტის მოყვარულები შეძლებენ საბაგიროს აბონემენტის განვადებით შეძენას. გუდაურსა და ბაკურიანში ერთიანი სააბონემენტო სისტემა დაინერგა.







ადამიანები ბრალს სდებენ გარემოებებს. მე არ მჯერა გარემოებათა ძალეზის. წარმატებას ამ ქვეყანაზე აღწევს ის, ვინც ეძებს საჭირო პირობებს და თუ ვერ პოულობს, თვითონ ქმნის მას.

ბერნარდ შოუ

ყველა ეპოქასა და თაობაში იყვნენ, არიან და იქნებიან ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებული „გამართლებულობით“, „ბედით“, „წარმატებით“ გამოირჩევიან. თითქოს სამყაროს ძალები მობილიზებულია მათ მიერ დასახული მიზნების შესრულებაზე. თანამედროვე პირობებში ასეთი ადამიანების წარმატებები განსაკუთრებით გამოკვეთილად ჩანს ტელევიზიისა და ინტერნეტის საშუალებით. ისინი გვევლინებიან გმირებად, რომელთა მიზანძვის სურვილი უჩნდება მილიონობით „ჩვეულებრივ“ ადამიანს.

– რა კონკრეტულ ფაქტორზეა დამოკიდებული ადამიანის წარმატება?

– რა ხდება ადამიანის ტვინში, როცა ის წარმატებული და ბედნიერია?

– რა არის ის პოზიტივი, რაც ადამიანებს წინსვლასა და წარმატებაში ეხმარება?

– წარმატება თანდაყოლილი ნიჭია, თუ შესაძლებელია მისი, როგორც რიგითი უნარის გამომუშავება?

– აქვს თუ არა პიროვნებას ისეთი მენტალური რესურსი, ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია, შეცვალოს მისი ცხოვრება და ასე შემდეგ.

აღნიშნულ კითხვებზე ამომწურავი პასუხები ჯერჯერობით არ არსებობს. კვლევები დღემდე მიმდინარეობს, თუმცა საესეებით გარკვეულია, რომ პიროვნების სწრაფვას წარმატებისაკენ განსაზღვრავს მრავალი ფაქტორი, მათ შორის; ბიოლოგიური, ფსიქო-

# არის წარმატება ბედნიერება?!

ლოგიური, სოციალური, კულტურით ნაკარნახევი და სხვა.

მეცნიერებაში დღემდე არ არსებობს ერთიანი შეხედულება იმის შესახებაც, წარმატებისაკენ სწრაფვა ადამიანის თანდაყოლილი, ბუნებრივი მოთხოვნილებაა, თუ შესაძლებელია მისი, როგორც რიგითი უნარის გამომუშავება?

ჩნდება კითხვა: რა ეხმარება ადამიანს მთელი ცხოვრება იაროს წინ და მიაღწიოს წარმატებას? რა აძლევს ზოგიერთს ძალასა და ენერგიას, ხოლო სხვებს ტოვებს პასიურად? საიდან აქვს მას უნარი პრობლემათა ხლართებში დაინახოს პერსპექტივა და უფრო მეტიც, მიაღწიოს იმას, რაზეც ოცნებობდა, მაშინ, როცა სხვები, მიუხედავად თავგანწირული ძალისხმევისა, მაინც ვერაფერს აღწევენ? რა არის საჭირო იმისთვის, რომ ადამიანი იყოს წარმატებული?

ადამიანის ფსიქიკური და ემოციური სამყარო ისეა მოწყობილი, რომ წარმატებულად შესრულებული საქმე იწვევს სიხარულის, ბედნიერების, კმაყოფილების განცდას. ადამიანი შეიგრძნობს ენთუზიაზმს, ენერგიას, რადგან ის გამარჯვებულია. ამ შეგრძნებების ფიზიოლოგიური ახსნა შემდეგში მდგომარეობს: ადამიანის ორგანიზმში მსგავს შემთხვევაში გამოიყოფა სიხარულის ჰორმონი, სახელწოდებით ენდორფინი. სწორედ, ენდორფინი აძლევს ადამიანებს წინსვლისა და სიამაყის შეგრძნებას თავიანთი მიღწევების გამო. აქ იმალება წარმატების ფსიქო-ფიზიოლოგიური საიდუმლო. ადამიანი ამ შეგრძნებისკენ ინსტიქტურად მიისწრაფვის. თუ მან ერთხელ მაინც შეიგრძნო წარმატების მიღწევით განცდილი სიამოვნება, ყველანაირად ეცდება კვლავ განიცადოს ეს „მომაჯადოებელი“ გრძნობა. აქ უკვე ერთგვარი საშიშროებაც იჩენს თავს. გადაჭარბებული სწრაფვა წარმატებისაკენ შეიძლება შევადაროთ კოლოს ნაკბენისგან გამომწვეულ ქავილს. რაც მეტს ვიქავევთ, მით მეტად გვექავევა, სანამ ნაკბენი წყლულად არ გადაიქცევა.

წარმატების დასავლური და პროამერიკული გაგება ეგრეთ ნოდებულ „მწვერვალების დაპყრობისაკენ“ მოგვინოდებს. „ჰოლივუდური მითი“

გემოდღვრავს, რომ სხვებს არ ჩამოვრჩეთ. ამერიკელი ფსიქოლოგი რიჩარდ გრინი ამბობს: „არავის შეუძლია მოგაყენოთ უფრო მეტი ზიანი, ვიდრე ყველაზე სუსტ კონკურენტს. ბედს მადლობა უთხარით ძლიერი კონკურენტის გამო, მაგრამ როცა შეჯიბრი ნორმის ფარგლებს სცდება, ისიც ისეთივე პათოლოგიას ემსგავსება, როგორც სიხარბე და მომხვეჭელობა. კოლეჯის სტუდენტებს ასეთი კითხვით მიმართეს – გამოიყენებთ ქიმიურ პრეპარატებს, თუ გეცოდინებოდათ, რომ შეჯიბრში პირველ ადგილს აიღებდით, ან რომელიმე გუნდში აგიყვანდნენ, მაგრამ ხუთი წლის შემდეგ დაავადდებოდით? – თითქმის ყველას პასუხი დადებითი იყო. შემდეგ კითხვა ასე დაუსვეს – მაინც გამოიყენებდით პრეპარატებს, თუ გეცოდინებოდათ, რომ ხუთ წელიწადში მოკვდებოდით? – 65%-მა ისევ დადებითად უპასუხა.



ამრიგად, სწრაფვა წარმატებისკენ ადამიანის თანდაყოლილი, ბუნებრივი მოთხოვნილებაა, თუმცა ადამიანები წარმატებულად არ იბადებიან, წარმატებულები ხდებიან, რაც მიიღწევა მხოლოდ და მხოლოდ სათანადო პირობებისა და ძალისხმევის შედეგად.

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ინგა სიჭინავა



# 2008 წლის ომის დროს გოგა ასკურავას საქართველოს დავისთვის უნოდებდნენ



## – არსებობს უფრო ოპერატიული პროფესია, როცა 2 წამში იღებ გადაწყვეტილებას?

– გოგა ასკურავას კონტრ შეკითხვით დავინტერესდი და მისი საქმიანობა უფრო ახლოს დავინახე. სწორედ, წამებში იმპროვიზირებულად იმ ადამიანად გარდასახა, რომლის სიტყვას სინქრონული თარგმნით დამაჯერებლობა შემატა. შეიძლება ხშირად მას გარეგნულად ვერ ხედავენ, ის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების გამოსვლებს სინქრონულად თარგმნის, მათ ემოციებსაც გადმოსცემს, რაც ამ პროფესიისთვის არის დამახასიათებელი. გოგა მსახიობი არ არის, არც თამაშობს, ყოველთვის კონკრეტულ მოვალეობას ასრულებს... ეს მოვალეობა სინქრონისტი-თარჯიმანის საქმიანობაა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთ პავილიონში წამყვანს ევროკავშირის ელჩი იანოშ ჰერმანი ჰყავდა მინვეული, საუბრის თემა იყო ჟურნალისტების პროფესიული განვითარება, თუ რა მნიშვნელობა აქვს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ მიუკერძოებელი მედიის საქმიანობას, ჩვენ ინტერვიუერს ტელეეკრანზე ვერ ვხედავდით, თუმცა გოგამ შეძლო მისი საუბარის ემოციურად და ზუსტად თარგმნა. ის ჰერმანს განასახიერებდა და ჟურნალისტების პროფესიული განვითარების საკითხებზე ესაუბრებოდა მაყურებლებს.

ჩვენი დაკვირვება და ინტერესი სატელევიზიო ფორმატში ერთი გამომსვლელის თარგმნით არ დასრულდა. სასტუმრო „Rooms“-ის დარბაზში საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ცნობილი პოლიტიკოსები საარჩევნო საკითხებზე მსჯელობდნენ, დისკუსიაში ოცდაათზე მეტი მონაწილე იყო, თარჯიმნის პატარა კაბინაში მუშაობა თითქმის 2 საათი, შესვენების გარეშე გაგრძელდა (ევროპული სტანდარტი 15 წუთია, შესვენების გარეშე).

**ვინ არის გოგა ასკურავა, ახასიათებს მას სწოებით?**  
რა თქმა უნდა, არა. ქართული მედიის დამსახურებით საზოგადოება კარგად იცნობს მომღერლების, მსახიობე-

ბის, ექიმების და იურისტების მოღვაწეობას და პირად ცხოვრებას, ისინი ყოველთვის ყურადღების ცენტრში არიან, ხოლო ურთულესი პროფესიის წარმომადგენლები, სადაც სტრესული სიტუაციები რამდენჯერმე აღემატება ზემოთ აღნიშნულ პროფესიებს, დაუმსახურებლად ჩრდილში იმყოფებიან. ჩვენი რესპონდენტი ბევრს არ ითხოვს, განსაკუთრებით ომის დროს ოდნავი მაღლიერების არარსებობას უჩივის უმძიმესი სამუშაოსთვის... მას, ხომ... საქართველოს ლევიტანს უნოდებდნენ...

## – როგორ დაინყო გოგა შენი საქმიანობა?

– საბჭოთა კავშირის დროს, ტელეეკრანიდან მხოლოდ საბჭოთა პროპაგანდა ისმოდა – ჟღერდა მარშები ლენინზე, კომკავშირზე... ნაწილობრივ არალეგალურად, მუსიკა რკინის ფარდის მეორე მხრიდან, გაოგნებული დავრჩი, თურმე ეს სხვა სამყაროა, საბჭოთა ნეობილემების დროს იატაკქვეშედან შემოსული ულამაზესი ინგლისური ენაზე შესრულებული როკ და პოპ კომპოზიციებს ვუსმენდი. სწორედ, ამ ენის სილამაზემ მომხიბლა და დღემდე ასე გრძელდება. 1986 წელს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტის სტუდენტი გახვდი, რომელიც წარჩინებით დავამთავრე. მიუხედავად იმისა, რომ სწორედ იქ იყო ჩემი ადგილი, საბჭოთა კავშირის ნეობილემების დროს უმუშევრობის კანდიდატად ვითვლებოდი, ინგლისური არავის სჭირდებოდა.

## – ოცი წელი ქვეყანაში გარდამავალი პერიოდი იყო, ბევრმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ პრობლემებს თავი აარიდა და უცხოეთში წავიდა, გოგა, შენ საქართველოში დარჩი.

– ბორჯომში საქართველოსთვის უნიკალურ ხის სასტუმროში ვისვენებდი, ამ შენობაში ნიკოლოზ მეორეს ადმინისტრაცია ცხოვრობდა, სასურსათო მაღაზიაში ლუდი ამსტელი მოვითხოვე, გამყიდველს სხვათაშორის ვუთხარი – ჰოლანდიაში, ამსტელში, სადაც ლუდს ასხამდნენ, იქ ვცხოვრობდი. გაკვირვებულმა შემომხედა და მკითხა – მერე იქ რატომ არ დარჩი? თუ ოდნავ ყურადღებას ვიმსახურებ, ახალგაზრდებს ვთხოვ, მომისმინონ – მართალია, იქ ჩვენზე მაღალი ხელფასები და პენსიებია, მაგრამ ფასებიც იმდენად მაღალია, ისინი ანაზღაურებას, შეიძლება ითქვას მუსრს ავლებენ, გარ-





თობის, შოპინგის და სხვა ინფრასტრუქტურით ევროპას ნამდვილად არ ჩამოუვარდები. იქ არ არის ოქროს სანაპიროები, არც ვერცხლის მდინარეები მოედინება. 30 ქვეყანაში ვარ ნამყოფი, საუბარი მქონია იმ ადამიანებთან, რომლებმაც 60-ზე მეტ ქვეყანაშიც კი იმოგზაურეს და თითქმის ერთხმად აცხადებენ – საქართველო ყველაზე ლამაზია...

**– როგორ დაინყე პრაქტიკული საქმიანობა?**

– თბილისის სამოქალაქო ომის დროს 1992-1993 წლებში სასტუმრო მერატონში ვმუშაობდი, სადაც შეიარაღებული მხედრონელები შემოდოდნენ, ტყვიების ქარცეცხლში ვიყავით გახვეული. ინგლისურ ენასთან პირველი სერიოზული შეხება 1997 წელს შედგა, შემდეგ დაინყო პროფესიული ზრდა და დღემდე გრძელდება.

**– რა განასხვავს გოგას სხვა თარჯიმანებისგან?**

– მსურს, ვიყო ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი, მაგრამ როცა ბევრს მიაღწევ და წამყვან პოზიციებს დაიკავე, მოტივაციის პრობლემა იქმნება. მაგალითად ზინედინ ზიდანმა მაქსიმუმს მიაღწია და რაღაც ეტაპზე მას მოტივაცია შეერყა, თუმცა გადალახა, მეც ვცდილობ, ასე მოვიქცე... სამწუხაროდ, საზოგადოებაში დანერგილი სტერეოტიპების გამო, ჩვენი პროფესია არ არის დაფასებული, თვლიან, ინგლისურ ენაზე თარგმნა ადვილია, ყველას შეუძლია, თუმცა სტატისტიკურად თბილისში 10%-მა კარგად, ხოლო 30%-მა კი საშუალოდ თუ იცის ინგლისური, საქართველოს მასშტაბით ეს ციფრი მხოლოდ 5%-ია და ამ ფონზე ჩვენ ურთულეს

სამუშაოს ვასრულებთ, ეს საოცარი ხელოვნებაა, მის მნიშვნელობას და სირთულეს ძირითადად განათლებული ხალხი აფასებს.

**– სამედიცინო ტერმინოლოგია სპეციფიურია, ხშირად მომზადებისთვის წინასწარ ითხოვ მოხსენებებს.**


– დიახ, მაგრამ გაუთვალისწინებელ შემთხვევებსაც აქვს ადგილი, როცა მასალა არ გავაჩნია მოსამზადებლად, მაგრამ მე, რაც ყველაზე საამაყოა ჩემი მოსწავლეებიც საკმაოდ მაღალ დონეზე ვასრულებთ სამუშაოს. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ დარბაზში მსოფლიო დონის ექიმები ისხდნენ.

**– გოგა, 2007 წლის აგვისტოს ომი, ყველაზე დიდი სტრესი შენს ცხოვრებაში.**

– დაბომბილი გორის უმძიმესი კადრები პირველბმა ვნახეთ, თბილისში საგარეო საქმეთა სამინისტროში ვმუშაობდი, ფინეთის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების გამოსვლებს ვთარგმნიდი. შეხვედრამდე ოთახში შემოვიდნენ და გვითხრეს კარგად მახსოვს ჟარგონი – გორი დაადულესო. აგვისტოს ომი 5-6 დღე გაგრძელდა, მე 29 დღე საგანგებო რეჟიმში ვმუშაობდი, საზოგადოებრივ მაუნყებელში, ყველაზე კრიტიკულ მომენტში, როცა რუსული ტანკები თბილისიდან 35 კილომეტრზე იდგნენ, თარგმნის დროს ჩემ თავზე ნაწილობრივ დავკარგე კონტროლი, ეს პროფესიონალს არ შეეფერება, მაგრამ თბილისის ალების საშიშროება იყო, ტელევიზიაში ყველა ტირილამდე მივიდა – თავისუფალი საქართველო ბოლო დღეებს ითვლისო, ამბობდნენ და







ამ დროს გამოდის აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და თავდაცვის მინისტრი განცხადებით – საქართველოში ვაგზავნი ამერიკის სამხედრო, საზღვაო და საჰაერო შეიარაღებული ძალების ჰუმანიტარულ მისიას, არავის ვურჩევთ მათ მისიის შესრულების დროს დაუპირისპირდნენ. სტუდიაში 30-მდე ადამიანი იყო, გახარებული ყვიროდნენ და ერთმანეთს ეხვეოდნენ. მეორე დღეს გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი – ჯორჯ ბუშის განცხადების შემდეგ რუსული ტანკები კასპში გაჩერდნენო. ეს იყო ომის ყველაზე მძიმე ეპიზოდი. ამის შემდეგ ნახევარი წელი, როცა საზოგადოებრივ მაუწყებელს ჩაუფელიდი, სტრესისაგან ვკანკალებდი.

**– როგორი ურთიერთობა გქონდათ ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან?**

– ამას ურთიერთობას ვერ დავარქმევ. 2007 წელს ერთ-ერთ ღონისძიებაზე მივედი და ვუთხარი, ბატონო პრეზიდენტო თქვენი ყველა საერთაშორისო თარგმანის ავტორი მე ვარ. მიპასუხა – დიდი მადლობა, ბოლო დროს საკმაოდ გაუმჯობესდაო.

**– როგორ ფიქრობ, რატომ გითხრა ეს?**

– ალტკინებული იყო, თვლიდა, ქვეყანა წინ მიიწეოდა, ალბათ თარგმანიც შევარდნაძეს დროს შეადარა და მექანიკურად წინსვლა აღნიშნა, მე ყოველთვის მაღალ პროფესიულ დონეზე ვთარგმნიდი, საინტერესოა, მისი ექსპანსიურობის მიუხედავად, აუჩქარებლად მესაუბრებოდა და ყურადღებით მისმენდა.

**– თუმცა მისი მხრიდან კაზუსიც მოხდა?**

– 2013 წელს ნატოს გენერალური მდივანი ანდრეს ფოგ რასმუსენი საქართველოში ჩამოვიდა და საზო-

გადობასა და ასევე ვაზიანში შეიარაღებულ ძალებს შეხვდა, მე ვთარგმნე რამდენიმე ადგილას მისი გამოსვლა, მეორე დღით ბათუმში საგარეო საქმეთა სამინისტროს კონფერენცია მქონდა სათარგმნი, სანამ წავიდი, ელექტრონული ფოსტა დავათვალიერე, ყველა საინფორმაციო ახალ ამბებში პირველ გვერდზე ეწერა – თარჯიმიანმა განზრახ შეარბილა რასმუსენის ნათქვამი. მაშინვე ჩანანერი შევამოწმე, მე შემოფოტებული ვარ საქართველოში მიმდინარე პროცესებით – ზუსტად ისე ვთარგმნე, როგორც ნატოს გენერალურმა მდივანმა თქვა, იყო აქ რაიმე შერბილებული?

**– მაღალი თანამდებობის პირები მითითებებს თუ გაძლევენ?**

– თითქმის არასდროს, მაგრამ თუ მაღალი დონის პროფესიონალი ხარ, შენ უარი უნდა უთხრა რადგან ასეთი ქცევა თარჯიმნის ეთიკის ნორმებს არღვევს, ქვეყანას ვინც არ უნდა მართავდეს, ითარგმნება ზუსტად ისე, როგორც ითქვა და არა რომელიმე მხარის სურვილის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ არც წინა ხელისუფლების დროს და თავისთავად ახლა რაიმე ფორმით ზემოქმედებას ადგილი არ ჰქონია.

**– განსაკუთრებით მოგწონთ პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ლარიბაშვილის გამოსვლის მანერა.**

– ახალგაზრდა პრემიერი წინადადებას ამბობს და ჩერდება, მაძლევს თარგმნის საშუალებას, ის მსოფლიო დონის ლიდერებს უტოლდება გამოსვლის ამგვარი მანერით, რითიც ბევრი სხვა უმაღლესი რანგის მოხელე ვერ დაიკვეხნის. იმედს ვიტოვებ, ისინიც პრემიერის გზას დაადგებიან და თარჯიმნებს თარგმნის საშუალებას მოგვცემენ.

პრემიერის ასეთმა გამოსვლის მანერამ საშუალება მომცა უმძიმეს სიტუაციაში უმაღლეს დონეზე მეშუავეა ყაზახეთის პრეზიდენტის, ნურსულთან ნაზარბაევის და ირაკლი ლარიბაშვილის შეხვედრის დროს, როდესაც ყველა ჩემს მიერ თარგმნილი წინადადების დროს ნაზარბაევი მობრუნდებოდა ხოლმე და თვალეში მიყურებდა. ამ მზერას ალბათ სიცოცხლის ბოლომდე ვერ დავივიწყებ.

**– მაღალი თანამდებობის პირების შეხვედრებს ყოველთვის ახლავს არაორდინალური სიტუაციები.**

– იალტის კონფერენციაზე სუფრასთან სხედან სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი, ოფიცინატს მოაქ-







ვს პუდინგი, მან შემთხვევით ფეხი წამოკრა და სტალინის თარჯიმანს, პავლოვს პუდინგი კისერზე დაესხა, ოფიციალტი გაოგნდა, რადგან პავლოვი არც კი შეირხა, აგრძელებდა რა თარგმანს, სტალინი ორ წამის განმავლობაში რასაც იტყოდა, რომ არ გადაეთარგმნა, წარმოიდგინეთ რა დაემართებოდა. უინსტონ ჩერჩილი სასმელის მოყვარული იყო, თერანის კონფერენციის მეორე დღეს სტალინს უთხრა – ნაბახუსევმა შეიძლება ზედმეტი ვთქვიო, სტალინმა უპასუხა – არა უშავს, თარჯიმანი უკვე დახვრეტილია, რა თქმა უნდა, ხუმრობით. დიდი პასუხისმგებლობის მიუხედავად, საოცრად ამაღლებული განცდაა, როცა მაღალი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებების მიღების დროს, შენ ამ პროცესის თანამონაწილე ხდები და წვლილი შეგვაქვს ქვეყნის განვითარებაში.

**– გოგა, თქვენ ცოდნას და გამოცდილებას მომავალ თაობას გადასცემთ, სასწავლო ცენტრში ყოველთვის ბევრი მოსწავლეა.**

– მოსწავლეებს გამოსაცდელად თვალეში ვუყურებ და ვეკითხები – რატომ აირჩიეთ ეს პროფესია? წადით და სხვა სამსახური იპოვეთ. უმეტესობა არ მეთანხმება. ჩვენ ინგლისური ენის ფილოლოგები ვართ, სხვა არაფერი გვანტერესებს – მტკიცედ აცხადებენ. ქალაქ ბათუმში ცენტრის ფილიალი გაიხსნა, ახალი წლის შემდეგ ქალაქ ზუგდიდში გავხსნით, სამომავლოდ ყველა დიდ ქალაქში ვგეგმავთ, სასწავლო პროგრამა, რომელიც სინქრონულ თარგმანს ეფუძნება, ჩემი შედეგნილია და გამოცდა ყველა თანამშრომელმა უნდა ჩააბაროს.

თარჯიმნობა ჩემო მეორე პროფესიაა, თუ შეიძლება ითქვას, პირველადი ინგლისური ენის პედაგოგობაა, სადაც ჩვეულებრივ მოსწავლეებთანაც წარმატებით ვიყენებ სინქრონული თარგმნის უნიკალურ მეთოდს, რომელიც ითვალისწინებს ნებისმიერი დონის მოსწავლის საერთაშორისო ცოდნის დონემდე მიყვანას 4 დან თვემდე, დღეს ჩემი ცენტრის მეშვეობით სწავლობს, ან ცოდნის დონეს იმაღლებს რამდენიმე მოკემედი მინისტრი და ცნობილი ადამიანი, ჩემთან სწავლობდნენ მეცნიერები, ექიმები, შოუ ბიზნესისა და სხვა სფეროს წარმომადგენლები.

**– თქვენი შვილი, ცხრა წლის ალექსანდრე ტარას შვეჩენკოს პოეზიის რესპუბლიკური კონკურსის ორგზის გამარჯვებულია.**

– ჩემი ბებია, ზინაიდა კროხმალი უკრაინელი ქალბატონი იყო. ალექსანდრეს რუსული ენა მოსწონს და

უყვარს, აქცენტის გარეშე საუბრობს. მეც ასევე, როგორც სინქრონისტი, ქართულ-ინგლისურის გარდა, რუსულ-ინგლისური ენებიდანაც ვმუშაობ. რუსულს მეორე მშობლიურ ენად ვთვლი.

**– გოგა ემოციური გურული ხარ.**

– მე თბილისელი ვარ და ამ სახელს სიამაყით ვატარებ. წინაპრების გენებით, რომლებიც ულამაზესი, საოცარი და დღემდე გამოუცნობი გურიიდან იყვნენ, ვუკავშირდები ამ უნიკალურ მხარეს, რომელზეც ამბობენ – შეუძლებელს ეპოტინებაო, თითქოს ჩემი პროფესიაც ამ ნათქვამს ეხმიანება, მუშაობის პროცესში ემოციურობა ძალიან მეხმარება. ძალიან მიყვარს სამეგრელო. იშვიათად, რომელიმე მეგრელმა გამინიოს პაექრობა, ასევე კახეთი, ქართლი, ქუთაისში და ბათუმში უკეთესად ვგრძნობ თავს, ვიდრე ნებისმიერ ევროპულ დედექალაქში. საქართველოს დანარჩენ კუთხეებში მოგზაურობის დროს დედამინაზე ყველაზე ბედნიერი ვარ.

**ლელა სურმავა**



გოგა და ალექსანდრე ასკურსაყემი



# ბახმარო

კურორტი ბახმარო ყველაზე მაღალი კურორტია საქართე-ლოში. კურორტი გაშენებულია მდინარე ბახვისწყლის ორივე სანაპიროზე. შემოფარგლულია მაღალი მთებით, რომელიც იცავს ქარებისაგან, მთები დაფარულია ხშირი ტყით (ნაძვისებრთა ოჯახი). მთის მწვერვალებზე არის ალპური საძოვრები.

**საზღვრები:** აღმოსავლეთი – განდრეკილის მთა (ზ.დ. 2722მ.), დასავლეთი – საყორნიის მთა (ზ.დ. 2752მ), ჩრდილოეთი – ეგრეთ წოდებული ბახვისთავი (ზ.დ. 2752მ), სამხრეთი – ფაფარას მთა (ზ.დ. 2616მ).

მთლიანი ფართობი შეადგენს 2651 კვ. კმ. დაბის ცენტრიდან დაშორებულია 50 კმ-ით.

რესპუბლიკური მნიშვნელობის მაღალმთიანი კლიმატური კურორტი ჩოხატაურის რაიონში, მესხეთის ქედზე, მდინარე ბახვისწყლის ხეობაში, ტყის ზონის ზემო ნაწილში. ზ.დ. 1926-2000მ, შავი ზღვის სანაპიროდან პირდაპირი ხაზით 50 კმ. უახლოესი რკინიგზის სადგურ სამტრედიიდან 80 კმ. კლიმატური თავისებურებები: ზღვისა და მთის მასების შერწყმა, მზის რადიაციის, განსაკუთრებით ულტრაიისფერი გამოსხივების, მაღალი ინტენსივობა. სუსტი უმეტესად ზღვიური ქარები. ზამთარი ზომიერად რბილი, ზაფხული ზომიერად გრილი, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1869 მმ. მზის ნათების ხანგრძლივობა 1975 სთ. წელიწადში, შეფარდებითი სინოტივე 73%. სამედიცინო ჩვენება: სუნთქვის ორგანოთა არატუბერკულოზური დაავადებები, სისხლნაკლებობა, ნევრასთენია, ლიმფადენტი (თბ. 1977წ, გვ. 254).

ბახმაროს სააგარაკო ადგილს, როგორც თ. სახოკიას კვლევებიდან ჩანს დაახლოებით 1879 წლიდან მიაქციეს ყურადღება (თ. სახოკია; 127; 1985).

ცნობები „ბახმაროს“ სახელწოდების წარმოშობაზე საისტორიო ლიტერატურაში არ მოიპოვება. მასალა ფოლკლორზე დაყრდნობით ტყვეთა გატაცების პერიოდს უკავშირდება. გარეშე მტერი, ტყვეთა მტაცებლობითაც გვავიწროებდა. პროცესმა ფართო ხასიათი XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში მიიღო. ოსმალო დამპყრობლებისაგან აღმოსავლეთ გურიის (ჩოხატაურის) მთიანი ნაწილი უფრო მეტად ზარალდებოდა. მტერი შემოდიოდა მდინარეების – სუფსისა და გუბაზეულის ხეობებით. იტაცებდნენ ახალგაზრდა ქალ-ვაჟებს და ჰყიდდნენ ოსმალეთში, უმეტესად სტამბოლის ბაზარზე. სხვადასხვა რაიონებიდან უამრავი შესყიდული და მოტაცებული ტყვე მიჰყავდათ ოსმალეთში. ქართველების გაყვანა სამშობლოდან ზღვით იყო მოსახერხებელი, ამიტომაც ტყვეთა ტაცების სიმძიმე მეტად იგრძნობოდა გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთში.

ქურდულად, თუ აშკარად შემოსულ მტრული ძალების წინააღმდეგ ბრძოლა ხორციელდებოდა ყველაზე მამაცი და გაბედული გლეხების ხელმძღვანელობით. გლეხობის წრიდან გამოსულ სახალხო გმირთაგან ზოგი მოხსენიებულია ისტორიულ წყაროებში, ზოგიც დღემდე ცოცხლობს ხალხურ გადმოცემებში. ზეპირსიტყვიერებით შემონახული მასალა უკავშირდება კურორტის სახელწოდებას და ვფიქრობ, სიმართლეს არ უნდა იყოს მოკლებული.

ჩოხატაურში ერთ-ერთი ასეთი სახალხო გმირი გახლდათ ბულარა მამალაძე. მკვლევართა ნაშრომებსა და ზეპირგადმოცემებში მოთხრობილია რამდენიმე გმირული ეპიზოდი ბულარა მამალაძის ცხოვრებიდან. ბულარა მამალაძე ცხოვრობდა სოფელ ხევში არც თუ ისე შორს ბახმაროდან და სინამდვილეს არ იქნება მოკლებული ლეგენდის შინაარსი, რომელიც ბახმაროს სახელწოდებას უკავშირდება. ბულარას ჰყავდა ძმები,



რომლებიც ბულარასთან ერთად თავგამეტებით იბრძოდნენ მტრების წინააღმდეგ. ტყვეთა გამტაცებლები გურიაში მალულად შედიოდნენ ან სავაჭროდ. სავაჭროდ შესულები უფრო მეტად საშიში იყვნენ, ისინი სწავლობდნენ ყველა ოჯახს, სოფლიდან და ხევებიდან გასასვლელებს და ემზადებოდნენ საუკეთესო შემთხვევისათვის დაგეგმილი გატაცება სშირად მტრის გამარჯვებით მთავრდებოდა.

**გავიხსენოთ ლეგენდა კურორტის სახელის წარმოშობაზე:** – თათრებს გაუტაციათ ლაშაში ქალი სახელად მარო, ქალის პატრონმა გამტაცებლებს მდევრები დაადევნა. გამტაცებლები მიხვდნენ მდევარი ფეხდაფეხ რომ მიყვებოდა, ქალის დაკარგვის საშიშროება იგრძნეს. მოკლეს მარო, საკინძე გაუხიეს და მკერდზე დაანერეს თავისივე სისხლით „ბახ-მარო“. ქარულად „ნახე-მარო“ („ბახ“-ნახე, ოსმალურიდან ასე ითარგმნება). მდევარმა იყვრა ნახე მოუკლავთ მარო. ხალხმაც უდანაშაულო ქალის საპატივცემულოდ ადგილს ბახმარო შეარქვა. ლეგენდა დღესაც არ დავიწყებიათ და პოპულარობით სარგებლობს საზოგადოებაში. ისტორიკოსები გატაცებულის სიკვდილით დასჯას იმით ხსნიან, რომ გამტაცებლებში ოჯახის ახლობლებიც იყვნენ ჩარეული და საიდუმლოს გამჟღავნების კვალს დატყვევებულის სიკვდილით მალავდნენ.

მეორე ვერსია ბახმაროს სახელწოდების წარმოშობაზე სვანურ დიალექტს უკავშირდება. „ბახ“ – გადასასვლელი, „მარ“ – კაცი. ესე იგი კაცის გადასასვლელი. ბახმაროს ტერიტორია, სწორედ, ზემო აჭარისა და აღმოსავლეთ გურიის სასაზღვრო ზოლში მდებარეობს. აქედან გადაჰყავდათ ოსმალეთისათვის განკუთვნილი ტყვეები და გადაჰყონდათ ნადავლი. სიტყვა „ბახ“-ი ძველი ქართველური (სვანურ) სიტყვა ულელტყნისის (გადასასვლელის), აღმნიშვნელია (ი. სიხარულიძე; გვ.5; 1998).

ბახმაროს იალაღები განთქმული იყო გურიაში თავისი საზაფხულო ალპური საძოვრებითა და მდიდარი ტყეებით. მთელი ეს სიმდიდრე იყო გურიის ერისთავების გვარად შერვაშიძეების საკუთრება, რომლებიც ცხოვრობდნენ სოფელ გორაბერეჟოულში. აფხაზეთის თავადების გურიაში გაერისთავებასაც საინტერესო შინაარსის ლეგენდა უდევს საფუძვლად. გურიის თავადებს გურიელებს (გვარად ვარდანძე) ტყვეთა გატაცების პერიოდში შვილი მოსტაცეს, გურიელი ყველგან დაეტებდა შვილს, ამბავი აფხაზეთამდე ჩავიდა. აფხაზეთის თავადმა ბავშვი ერთ-ერთ გემზე იპოვა. ტყვეების ზღვით გადაყვანა მარტივი ხერხი იყო, თავადმა ბავშვი თავის ძეს გამოატანა მამასთან. გახარებულმა მშობელმა სტუმარს თავისი ასულის ხელი შესთავაზა და პირობა დაუდო თუ გურიაში დარჩებოდა

ზემო გურიის (ჩოხატაურის) ტერიტორიას მისცემდა სათავადო და ერისთავობასაც უბოძებდა.

ერისთავებისათვის იალაღები შემოსავლის დიდ წყაროს წარმოადგენდა და მოდავეც არავინ ჰყავდათ. ბახმაროს პოპულარობა თანდათან იზრდებოდა (უნდა აღინიშნოს რომ ამ პერიოდში აგარაკზე ფიქრი არ იყო, მხოლოდ საძოვარი) და ხალხშიც სწრაფად ვრცელდებოდა, ამდენად ხაზინა დაინტერესდა ბახმაროს შემოსავლით. ერთ ზამთარს ადგილობრივმა მეტყვევებმა ექვსი თვის განმავლობაში თავისი ხალხი ჩააყენა ბახმაროში. ერისთავები სერიოზულად არ მოჰკიდებინ საქმეს. დავა სასამართლომდე მივიდა და ერისთავებმა ტერიტორია დაკარგეს. ამ საკითხს თ. სახოკიაც გადმოგვცემს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბახმაროს მთის მწვერვალებზე არის ალპური საძოვრები, სადაც კოლხეთის დაბლობიდან მწყემსები ადიოდნენ ზაფხულის განმავლობაში და აჰყავდათ საქონელი, ისტორიულ წყაროებიდან ჩანს XIX საუკუნის დასაწყისიდანვე უკვე იყო მიმოსვლა საზაფხულო იალაღებზე. ბახმაროში გზა ადიოდა ოზურგეთის მხრიდან სოფელ ვაკიჯვრის გავლით და ჩოხატაურიდან. ორივე გზა მიუვალი იყო. ვამბობთ გზა, თორემ ეს იყო ვიწრო დაკიდული ბილიკები. მწყემსები ცდილობდნენ მოენახათ მათთვის სასურველი ადგილი საქონლის გამოსაკვებად. მთებში ნაკვები საქონლიდან მიღებული პროდუქტი საკმაოდ ხარისხიანი და კალორიული იყო. მწყემსების მიერ აღმოჩენილი მაღალმთიანი მუდმივი საძოვრები ბახმაროს მიდამოებში იქცა მეტად საინტერესო შემთხვევის შემდეგ აგარაკად.

პირველი მოგზაური ბახმაროში 1896 წელს ავიდა ბატონი თედო სახოკია, რომელიც წერს – „გზა ტყე-ტყე მიდის, რცხილა, ნიფელი, ნაბლი, ლეკუხა ერთმანეთშია არეული. ყველას კი ნიფელი სჭარბობს. ტყე მდიდარია, მაგრამ ადამიანი ვერ სარგებლობს უგზობის გამო. მხოლოდ თავად მ. ნაკაშიძეს დაუწყია საკასრე მასალების ჭრა, რომელიც ჩალავარდებით ჩააქვს ძირს. **სხვა მასალას აქედან ვერ ჩაიტანს კაცი, რადგან აქაურ საცალღებო გზაზე მარტო ცხენი თუ გაივლის და ისიც გაჭირვებით, თორემ ურეში ვერასგზით ვერ მიუღდება აქაურ რაზმს. ამდენი სიმდიდრე მუქთადა ლპება და ოხრდება ტყეში. იგივე ითქმის იმ ძვირფას ნაძვენარზე, რომლითაც დაფარულია აქაური მთების მაღალი ადგილები.**

ალაგ-ალაგ სულ ვიწროვდება, სული ეხუთება გზას, ორ კედელს შუა მოქცეულს. თუ ცხენით შიგ შეხვედით, უკან დაბრუნება არ შეგიძლიათ. თუ წინ ცხენი შემოგხვდათ, გზას ვერ აუქცევთ ერთმანეთს. განსაკუთრებით გასაჭირია ამ ალაგას გავლა, როცა ჯოგს მიერეკებიან. მწყემსებმა და საქონლის პატრონებმა ეს იციან და სათოფრეზედ ყვირილს მიჰყვებიან. ამ ყვირილით წინიდან მიმავალ მგზავრს აფრთხილებენ“ (თ. სახოკია; გვ.123; 1985). თ. სახოკია, როგორც მისი ნაამბობიდან ჩანს ბახმაროში სოფელ ვაკიჯვრიდან ასულა).

უკვე აღვნიშნეთ ბახმაროს აღმომჩენი ხალხია კერძოდ მწყემსები სავარაუდოდ და ჩვენდა გასაკვირად მეგრელი მწყემსები, რაშიც თედო სახოკიასაც შეეპარა ეჭვი და ვარაუდს გამოთქვამს – „ბახმაროში საზაფხულოდ მეგრელი მწყემსები მიერეკებიან ჯოგს, განსაკუთრებით ძროხას. პირველად გამიკვირდა სად გურია და სად მეგრელი მწყემსები მეთქი! საქმე ის გახლავთ, რომ გურულს მწყემსობა სათაკილო ხელობად მიაჩნია, გურულმა რომ ძროხა მოწველოს, ესე იგი სადედაკაცო საქმე რომ გააკეთოს ყველასგან ყბადასაღები გახდება. ჯოგის უკან დევნა, მეჯოგეობა გურულის აზრით სააუგო ხელობაა. ამის გარდა მეჯოგის უზრდელობა ცნობილია. სიტყვა „მეჯოგე“ ლანძღვის სიტყვად არის ქცეული. საზოგადოდ გურიაში საქონელი იმდენი ჰყავთ, რომ ოჯახში საჭიროებისთვის ეყოთ. გასაყიდად საქონელს არ აშენებენ და არც იალაღებზე ადიან. ასე და ამგვარად მწყემსობა აქაურ მთებზედ მეგრულე-

ბის მონოპოლიად გამდხარა“. (თ. სახოკია; გვ.131; 1985).

გ. ცეცხლაძე თავის ნაშრომებში აღნიშნავს, რომ მიწათმოქმედებასთან შედარებით გურიაში მესაქონლეობა ნაკლებად იყო განვითარებული. მიუხედავად ამისა აქ მისდევდნენ, როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა საქონლის მოშენებას. მსხვილფეხა საქონელს ორმაგი დანიშნულებისათვის იყენებენ, სარძევე და გამწვევ ძალად. გამწვევი ძალის გარეშე მიწათმოქმედების განვითარება შეუძლებელი იყო.

ნაშრომის ავტორის დაკვირვებით, ჩოხატაურის რაიონის მაღალმთიან სოფლებში უფრო მეტად იყო მესაქონლეობა განვითარებული, გურიის სხვა სოფლებში, ხვედრითი წონა მიწათმოქმედებასთან შედარებით აქაც საგრძნობლად დაბალი იყო. ამ გარემოებას სწორედ ბახმაროს იალაღებს უკავშირებს და აღნიშნავს – ბახმაროში სამეგრელოს, ზემო აჭარისა და გურიის მოსახლეობის ერთად ყოფნამ განაპირობა გურიაში მესაქონლეობის განვითარება (გ. ცეცხლაძე; გვ 48; 1991).

დღეს, ბახმაროს იალაღებს იყენებენ ზემო აჭარის – ლორჯომისა და ჭვანის ხეობისა და ზემო გურიის სოფლების ჩხაკაურასა და ქვაბლის მოსახლეობა. სოფელ ქვაბლის ნაწილი და მთლიანად სოფელ ჩხაკაურის ტერიტორია დასახლებულია ზემო აჭარიდან გადმოსული მიგრანტებით.

ოზურგეთის მაზრაში იყო ექიმი გვარად დავიდიანიცი, რომელსაც სხვადასხვა სახის დაავადებულებს შორის, ტუბერკულოზით დაავადებულებიც მიმართავდნენ, ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს ექიმმა ავადმყოფებს მაღალ მთაზე წასვლა ურჩია, მათ არ ჰქონდათ საშუალება სადმე ცნობილ აგარაკზე წასულიყვნენ და გაჰყვნენ მწყემსებს და ზაფხული გაატარეს ბახმაროს რაიონში. სეზონის ბოლოს ეჩვენენ ექიმს. ექიმი გააოცა

საოცარმა ცვლილებამ, რაც ავადმყოფთა ფილტვებში ჰაერის გავლენით მომხდარიყო. კარგად გამოჰკითხა სად იყვნენ და როგორც მაზრის ექიმმა, მოსთხოვა მაზრის უფროსს ჩაფები და გაემგზავრა აღნიშნული ადგილის მოსაძებნად. გაჭირვებით მიაგნო ბახმაროს, პირველად თქვა, როგორც ექიმმა აქ უნდა განვითარდეს აგარაკიო. პირველი სახლი აქ მან ააშენა. ადგილმა შემდეგ ხალხის ყურადღება მიიპყრო და დიდი ნდობაც დაიმსახურა (გ. მჭავანაძე; გვ 3; 1926).

გ. მჭავანაძემ, როგორც ჩანს არ იცოდა ძმები ქარცივაძეების ისტორია, რომელსაც თ. სახოკიასა და სხვადასხვა ადგილობრივ მკვლევართა ჩანაწერებში ვკითხულობთ, რომ ბახმაროში ზაფხულობით მიმავალ მეგრულ მწყემსებს ნაჰყავა სოფელ გურიანთას მცხოვრებ ძმათა ქარცივაძეთაგან ერთ-ერთი „საჰაეროდ“, გურიანთის ციებისაგან განსაკურნებლად. მთის ჰაერმა და წყალმა თავისი ზეგავლენა იქონია „მოჰაერებზე“, ციებისაგან შვება-მოცემული ჩავიდა ბარად. მეორე წელს ქარცივაძეს ძმა წაუყვანია ახლობლებისთვისაც ურჩევია დასვენება. პიონერებად ქარცივაძეები ითვლებიან, ბახმაროში საკურორტოდ პირველი სახლი ნიკიფორე ქარცივაძემ ააგო. ასე რომ პირველი სახლის ამგები ბახმაროში გურული ძმები ქარცივაძეები ითვლებიან. ძმებს უკვე ნაცადი ჰქონდათ აგარაკი.

ეს რაც შეეხებათ სააგარაკო სახლებს მწყემსების კარვები და საქონლის სადგომი ბინები მრავლად იყო. თანდათან შეემატა მოჰაერეთა ქოხები. მოჰაერეები მწყემსებს საზღვრების დაცვას სთხოვდნენ ესე იგი საქონლისათვის ჩიხების გაკეთებას. მწყემსებს შემოსავალი გაუჩნდათ, ყიდდნენ რძის პროდუქტებს. ნელ-ნელა იზრდებოდა სახლების რაოდენობა ბახმაროში. **პატარა ქოხები სააგარაკო ოდა სახლებმა შეცვალა. თ. სახოკიას გადმოცემით 1895 წელს 1 000 მეტი დამსვენებელი იყო აგარაკზე. გაჩნდა სავაჭრო დუქნები, მოეწყო პატარა ბაზარი, პირველად მოხმარებისათვის საგნები და რძის პროდუქტები საკმაოდ ძვირი იყო.**

მწყემსის კარვები და სააგარაკო სახლები ერთმანეთისაგან



განსხვავდებოდა შიგა ინტერიერის გარდა საცხოვრებელი პირობებით. კარვები მიწური იყო, ირგვლივ ჰქონდა ნარები (ხის სანოლები), ძირითადად ამენებული იყო ხის პატარა მორები-საგან, ერთი შუაცეცხლი. საქონელს საღამოობით ბოგაზე არ აბამდნენ, ჩიხში ჰყავდათ, დილით ერთი მწყემსი წაყვებოდა საქონელს, ერთიც ხბოებს მწყემსავდა, დედა ძროხა ხბოებს რომ არ შეერთებოდა. მწყემსებმა მოაგარაკეთა სახლებს, როცა შეხედეს, მათაც მიაშენეს თავიანთ კარვებს ძელებზე შედგმული საძინებელი ოთახები, დააგეს იატაკი და დაინყეს ცოლ-შვილის ამოყვანა საჰაეროდ.

სააგარაკო სახლები გათლილი ფიცრებისაგან მზადდებოდა, სახლში აუცილებლად აკეთებდნენ ბუხარს. იხურებოდა ყავართი, სახლების ასამენებლად აჭარელი დურგლები კარგ ფულს შოულობდნენ.

დასასვენებლად ასულ გურულს დროის გასაყვანად გასართობი სხვა არაფერი ჰქონდა და სახალხო თამაშობებს მიმართავდა ეს იყო ბურთაობა, (ლელი). თ. სახოკიაც ადასტურებს მოსაზრებას – „მოაგარეკათავის აქ გასართობი ჯერ არაფერია, ანუ უკეთ თავისებური გურული გასართობია, სახელდობრ ყოველ საღამოს ბურთაობა იმართება, რომელშიაც ბანოვანნიც იღებენ მონაწილეობას. რა სიმარტივეა ჩვეულებათა!.. სიმღერა, ფერხული, ლეკური ისეა გამართული, როგორც გურიის რომელიმე სოფელში დღეობის დროს. ერთმა მასწავლებელმა კეგლი გააკეთა და ბუზივით ეხვეოდნენ ქალი თუ კაცი. დიდი პატივია ნარდისა და ქალაღის თამაში“. (თ. სახოკია; გვ.129; 1985).

**ბახმაროს სახელი ნელა-ნელა მოედო არა მარტო გურიას, არამედ დასავლეთ საქართველოს და უფრო შორსაც.**

ყოველწლიურად ბახმაროში თანდათან იზრდებოდა მოაგარაკეთა რიცხვი და შეიქმნა საჭიროება გახსნილიყო ბიბლიოთეკა-სამკითხველო და 1898 წელს ეს საქმე დასრულდა. შეგროვდა 63 მანეთი დამატა შემოწირულობები კერძო პირებიდან თუ სოფლებიდან.

1919 წლის ბახმაროს სურათს ასე აღმოგვცემს მოსე გოგიბერიძე – „ამ წელს ბახმაროში თავი მოეყარა თითქმის უმრავლესობას, ვინც კი იმ დროინდელ საქართველოში საუკეთესონი იყვნენ. ენერგიით და სიცოცხლით საგსე იყო ქვეყანა, ყველას რაღაც უხაროდა, ყველა უკეთესს მოელოდა, ყველას სწამდა ეს უკეთესი მომავალი, დიდი რუსთაველის მაღალი მეტაფორა რომ გამოეთქვათ – მუსიკობდა მთელი ქვეყანა. ეს მომხიბლავი მუსიკა ბახმაროს მაღალი მთებიდან უსასრულო აკორდებდა ქცეულ იდეად და აზრად მიდიოდა საქართველოს ყველა კუთხისაკენ. **ბახმაროში იყო არა მარტო სუფთა და მაცოცხლებელი ჰაერი, არამედ თავისუფლების ჰავაც „(მ. გოგიბერიძე; გვ. 337; 1978).**

ორ რაიონს – ოზურგეთსა და ჩოხატაურს გაუჩნდა პრეტენზია გარკვეულიყო, რომელი რაიონის ტერიტორია ეჭირა კურორტს და რომლის მმართველობის ქვეშ უნდა შესულიყო. ვინრო და ციცაბო ბილიკები ორივე რაიონის სოფლების გავლით ადიოდა ბახმაროში, გადაუღებელი წვიმების დროს კი ასულა ჭირდა. ცხენები ღრმა „ლოფოში“ ნელამდე ეფლობოდნენ. ჩვილბავშვიან ქალებს უფრო უჭირდათ ასვლა, მაგრამ თავს არ ზოგავდნენ ოლონდ ბახმაროში საჰაეროდ აყვანათ ბავშვები, გვარდებში ჩასვამდნენ ბავშვებს თითონ კი ფეხით მიყვებოდნენ ცხენებს უკან. გამცილებლები დიდ ფულს იღებდნენ მგზავრების გადაყვანაში. მათ ვინც გზა იცოდა და კარგი ცხენიც ჰყავდა სეზონისათვის ემზადებოდა ფულის საშოვნელად.

დავა ორ რაიონს შორის სეზონის ყოველ მოახლოებაზე უფრო მძაფრდებოდა. შეთანხმებას მიაღწიეს, საკითხს გადაწყვეტდა ერთი მეტად საინტერესო ფაქტი. ბახმარო იქნებოდა იმ რაიონის, ვინც პირველად აიყვანდა საზოგადოებრივ ტრანს-

პორტს კერძოდ ეტლს კურორტის ცენტრში. ეტლები ერთი და იგივე დროს უნდა გასულიყო რაიონების ცენტრებიდან.

**დაინყო ბრძოლა, დიდი სურვილის მიუხედავად XIX საუკუნის 20-იან წლებში პრიმიტიული სამუშაო იარაღებით ძნელი იყო მიზნის მიღწევა. ჩოხატაურში გამოჩნდა კაცი სოფელ ხევის მცხოვრები ლადიკო გლახუნას ძე ჟღენტი, რომელმაც თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა. 1917 წელს დაინყო გზის გაყვანა ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე. ლადიკო სოფლიდან სოფელში გადადიოდა, ხალხს აგროვებდა, თხოვდა დახმარებას, მცირე გასამრჯელოსაც აძლევდა, სადილი ხშირად სახლიდან მიჰქონდა, მისი კუთხის სიყვარული სოფლისადმი ყურადღებაში იხატებოდა. ზრუნავდა სოფელ ხევში სკოლის დაარსებაზე, მალაზიის გახსნაზე და ბევრ სასიკეთო მიზნებით იყო ორიენტირებული.**

1922 წელს ბახმარო რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტად გამოცხადდა და „ბრძოლის“ ჟინმა კულმინაციას მიაღწია. ლადიკო არ ჩერდებოდა, შოულობდა ასაფეთქებელ ნივთიერებებს, რომელსაც ეკონომიურად და ყაირათიანად ხარჯავდა. 1929 წლის 10 აგვისტოს, ბახმაროში პირველი ეტლი ავიდა, რომელსაც ერმილე გიორგის ძე დოლიძე მართავდა. ოზურგეთელები ედავებოდნენ, ლადიკომ ეტლი დაშლილი აიტანა ბახმაროში და იქ აანყო, მაგრამ დადასტურდა ყველაფერი, გაზეთი დიდ მადლობას უხდოდა ლადიკოს სამშვილშილო საქმის წარმატებით დასრულებაში, მას მინიჭეს თვითნასწავლი ინჟინრის წოდება, გადასცეს მედალი და ფულადი ჯილდო. უნდა აღინიშნოს, რომ ლადიკო ჟღენტის მიერ გაყვანილ გზაზე, რეკონსტრუქციის შემდეგ არავითარი ცვლილება არ მოხდა, გარდა გაფართოებისა.

ერმილე გიორგის ძე დოლიძეს თან ახლდნენ სოფელ ხევის მცხოვრებლები – ივლიანე ანთიძე, ანდრო ჩანტლაძე, უშანგი და იაკინთე მამალაძეები. ცხენებით მიჰყვებოდნენ სოფლის მომღერალთა გუნდი, რომლებმაც სიხარული გურულ სიმღერით გამოხატეს.

ლადიკო მუდამ ათვალიერებდა ბახმაროში მიმავალ გზას, ცდილობდა ჩამოშლილი გზა სწრაფად გაენმინდა, რომ დამსვენებლებს შეფერხება არ ჰქონოდათ. ერთ-ერთი ასეთი შემოვლის დროს ლადიკომ გზაზე დიდი ლოდი შენიშნა, მგზავრებს ხელი რომ არ შეშლოდათ, ლადიკომ მუშებთან ერთად სცადა ლოდის გადაგორება, ლოდი გადაგორეს, თავად კი მუცლის არეში მწვავე ტკივილით სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა.

კურორტ ბახმაროს ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალები პოპულარობით სარგებლობს პერიოდული გამომცემლობის სტატიებში, ერთ-ერთი მათგანი გაზეთი „კვალი“. ამ ბოლო დროს ბახმაროს სააგარაკომ სახელი გაითქვა თავისი შესანიშნავი ჰავით, რის გამოც ზაფხულობით აქ საკმაოდ დიდი საზოგადოება იყრის თავს. უფრო კი გურიიდან და ახლო-მახლო მდებარე ქალაქებიდან. ბახმაროსთვის აუცილებელი შეიქმნა წიგნთსაცავი. სამკითხველო, რომელიც ს. ყაჭვიშვილმა დააკმაყოფილა. მან, როგორც ასკანის წიგნთსაცავის მმართველმა 1898 წ. აქ გახსნა წიგნთ-საცავის განყოფილება. ამ უკანასკნელის სასარგებლოდ ბახმაროში ხელისმომწერით შეგროვდა 62 მან 30 კაპ. მას დამატა სხვადასხვა შემოწირულობები კერძო პირებიდან თუ სოფლებიდან და მშენიერი წიგნთსაცავი გააკეთეს ბახმაროში („კვალი“; 1900).

1899-1900 წწ. აგებულ იქნა სახალხო სახლი და თეატრი. პირველი წარმოდგენა ალ. წუნუნავას ხელმძღვანელობით გაიმართა. 1905 წელს აღნიშნული თეატრის შენობა დაინვა, 1913 წელს კვლავ ააგეს ახალი შენობა (ა. შალიკაძე; 23; 1940).

**რედაქციისგან: ბახმაროს ისტორიამ მკითხველებში დიდი ინტერესი გამოიწვია, ამიტომ ხელმოკრედ გთავაზობთ.**

ნათია კალანდაძე

# უკრაინაში გაზრდილი ლეილა ნაკაშიძის ისტორია



ბახჩისარაიაში მცხოვრები პატარა გოგონა სიზმარში ხედავდა, მამას როგორ მიჰქონდა საჩუქრად ლამაზი, გრძელთმიანი თოჯინა. სინამდვილეში საბავშვო ბაღში ზეიმზე მის თანატოლებთან მამები თოჯინებით მიდიოდნენ, მასაც სურდა მამა მისულიყო. ლეილას ბავშვობიდან გაღვიძების დროს ერთი ხელი მუჭად ჰქონდა შეკრული. 36 წლის ასაკში ქალბატონს მამამ, ელგუჯა ნაკაშიძემ თოჯინა აჩუქა, მან გულში ჩაიკრა და ატირდა, ყველა სასწაულთან ერთად, სიზმარიც აუხდა. მისი ისტორია ზღაპარს ჰგავს, როგორ ჩამოვიდა საქართველოში და ოჯახი იპოვა. დაუფრებელი ამბავი ლეილას ძმამ, ლაშა ნაკაშიძემ გვიამბო.

– როგორ მოხვდით გურული ნაკაშიძეები სურამში?

– ჩემი წინაპრები ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ ილემში ცხოვრობდნენ. ბაბუა გოგი ნაკაშიძე პროფესიით პედაგოგი, ისტორიის მასწავლებელი იყო. ის სურამში განაწილეს, სადაც ბებია, მარიამი გაიცნო, შეუღლდნენ და იქ დამკვიდრდნენ. ბაბუა, 50 წლის ასაკში გარდაიცვალა, ბებია 84 წლის არის და მხნედ გამოიყურება. ამჟამად, სურამში ნაკაშიძეების სამი ოჯახი ცხოვრობს, ბიძა, გიორგი, ჩემი ძმა და ჩვენ. მამა პროფესიით იურისტი, 28 წელი გაიში იმუშავა, ახლა პენსიონერია, თუმცა ისევ აქტიურ ცხოვრებას ეწევა. მყავს და-ძმა – ვეფხვია და შორენა. მე და ნინო ჩადუნელი თანაკლასელები ვართ, გვყავს სამი შვილი – უფროსი ელგუჯა ბაბუას მოსახელეა, შუათანა მათე და პატარა ქეთევანი. ნინო სურამის №2 საჯარო სკოლაში დანყებითი კლასის მასწავლებელია.

– როგორ დაიწყო საინტერესო ისტორია?

– მამა უკრაინაში დაბა ბახჩისარაიაში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს, სადაც მედდად ტატიანა კარპუზოვა მუშაობდა, მათ ერთმანეთი შეუყვარდათ,

ტატიანა დაფეხმძიდა, მამას სურდა საქართველოში წამოეყვანა, მაგრამ ქალბატონმა უარი უთხრა, მას თხოვა დარჩენა, ელგუჯა არ დათანხმდა და სამშობლოში დაბრუნდა, მას ძალიან უყვარდა სახელი ლეილა, ასე მიმართავდა ტატიანას, ამიტომ დედამ ახალშობილს ლეილა დაარქვა. მამა რამდენიმე წლის შემდეგ დაქორწინდა, სახლში მისულ დედას, ლამარას პატარა ბავშვის სურათები ნახა, მეუღლემ არ დაუმალა და უთხრა – ჩემი შვილი არის.

– ელგუჯას აღარ ჰქონდა ტატიანასთან ურთიერთობა?

– რამდენიმე წერილი და ფოტო გამოუგზავნა, მაგრამ ბავშვს არ ანახებდა, მამის ვინაობაც არ გაუმხილა – არ არის აუცილებელი, მას მეუღლე და შვილები ჰყავსო. ლეილა 10 წლის იყო, როცა ტატიანა გათხოვდა, ორი შვილი შეეძინა. გოგონას მეზობელმა ქალმა წამოაძახა – შენ მისი ნამდვილი შვილი არ ხარ, სხვა მამა გყავსო. მას შემდეგ ლეილა თავის მამას ეძებდა.

– როგორ ეძებდა, მისი სახელი და გვარი არ იცოდა?

– ასეთი ტელეგადაცემა არის „მელოდე მე“, რამდენიმე წერილი გააგზავნა. დედამ უთხრა – მამა საქართველოში ცხოვრობს. მან კარგად იცოდა შვილის ხასიათი, ლეილა რომ გამოეშვა, აღარ დაბრუნდებოდა.

– ვინ უთხრა მამის გვარი?

– ლეილამ ბებიასთან მამის გაგზავნილი წერილები იპოვა, იქ მას ვალერით იცნობდნენ. ასე გაიგო მან ჩვენი გვარი. მითითებულ მისამართზე წერილებს გვიგზავნიდა, სადაც სახლი დაკეტილი იყო და არავინ ცხოვრობდა, მეზობელმა 18 წერილი შეინახა, მამის ბიძამ, გაიოზმა როცა წერილები გახსნა, მიხვდა, ვინ იყო ადრესატი. 2009 წლის 4 აპრილს მამის დაბადების დღეზე მოგვიტანა. შემდეგ ჩვენც გავაგზავნეთ წერილი, ტელეფონით ვისაუბრეთ და მამის თვეში ლეილა ჩვენთან იყო.



**- როგორ შეხვდნენ მამა-შვილი ერთმანეთს?**

- მე მამას თვალეზე არასდროს მინახავს ცრემლი, როცა ლეილა გულში ჩაიკრა, მხოლოდ მაშინ დავინახე. აეროპორტში ოჯახის წევრები, ნათესავები და მეგობრები დავხვდით.

**- როგორ დარწმუნდა, მისი მამა რომ იყო?**

- ლეილა და ელგუჯა ძალიან გვანან ერთმანეთს, მან თქვა - მთელი ცხოვრების ნატვრა ავისრულეო. შემდეგ შვილებთან - კატასთან და რუსლანთან ერთად ჩამოვიდა.

**- დღეს, ის ქართველად თვლის თავს?**

- საბუთები მოანესრიგა, მამა ჩავიდა უკრაინაში და მისი ხელმოწერის შემდეგ ნაკაშიძის გვარი მიიღო.

**- ზრდასრულ ასაკში როცა დას შეიძენ, ეს ზღაპარს უფრო ჰგავს?**

- მთელი ბავშვობა დედა გვახსენებდა - თქვენ გყავთ უფროსი და, რომელსაც აუცილებლად იპოვით. ამიტომ მოულოდნელი არ იყო. ლეილა ამბობს - უკრაინაში მეუღლის და შვილების გამო ვბრუნდები, ჩემი ნამდვილი ოჯახი აქ არის.

**- გსურთ, საქართველოში იცხოვროს?**

- რა თქმა უნდა, ის ძალიან გონიერი და წინდახედული ქალბატონია, ბევრ კარგ თვისებას შემმატებს, წინოს და ლეილას განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ. ამ თემაზე მქონდა საუბარი. ის გაჩუმდა, ლეილა არასდროს ჩუმდება, ან ამბობს, ან არა. დარწმუნებული ვარ, ჩვენთან დაბრუნდება. უკრაინაში მცხოვრები ქალბატონი სუპერქართველია, მებრძოლი, ვაჟკაცური, ბუნებით ძალიან ჰგავს მამას. ერთმანეთს ყოველდღე ტელეფონით ესაუბრებიან. როცა ლეილა ჩამოვიდა, ტატიანამ არ იცოდა, ჩვენგან დაეღაპარაკა და მამას მიანოდა ტელეფონი, 36 წლის შემდეგ მოისმინა თუ არა ხმა, მაშინვე იცნო. შვილს კი ბოდიში მოუხადა და წარმატება უსურვა. გაზაფხულზე მივდივარ უკრაინაში. ლეილას ჟურნალ გურია REGION-ს უნდა ჩავუტანო. მკითხველისთვის, მართლაც, საინტერესო ისტორიაა. მაღლობთ, ყურადღებისთვის.

*ლელა სურმავა*



# პავლე ინგოროყვაძე ქველი ქართული სანოზო სისტემაზე გაუიფრა

პავლე ინგოროყვაძე დაიბადა 1893 წლის 1 ნოემბერს ქალაქ ფოთში. აქვე დაამთავრა რამდენიმე კლასიანი სასწავლებელი. მამა – იესე უბრალო გლეხი გახლდათ და თავს ხან დურგლობით, ხან კი მეთევზეობით ირჩენდა.

ნიგნი ბავშვობიდანვე თავდავიწყებით შეუყვარდა. მამა სთხოვდა, ამდენ კითხვას თავი დაანებე და ცოტა მომეხმარეო. ხელი რომ არავის შეეშალა, პატარა პავლე სახლიდან იპარებოდა, გავიდოდა ნავით პალისტომში, ნიჩბებს ხელს უშვებდა და მზის ჩასვლამდე კითხულობდა ხოლმე.

1912 წელს, 19 წლის ასაკში იგი საქართველოდან გაემგზავრა და გეზი პეტერბურგისკენ აიღო. ამავე წელს მან პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა.

სტუდენტობის დროს, 1913 წელს, გამოაქვეყნა თავისი პირველი ნაშრომი „ძველ-ქართული სასულიერო პოეზია“. 1914 წელს კი, პირველად გამოჩნდა ქართული გაზეთების ფურცლებზე მისი სტატია „თარგმანება ფსალმუნთა ნიგნისა“.

პავლე ინგოროყვაძე პეტერბურგის უნივერსიტეტი დაასრულა 1916-ში (დიპლომი არ აუღია). სამშობლოში დაბრუნებულმა მეცნიერმა მუშაობა ჩვეული რითმით განაგრძო.


1916 წელს მან გამოსცა თამარ მეფის სამადლობელი საგალობელი „გალობანი ვარძიისანი“.

1917 წლიდან იგი მეგობრებთან ერთად აქტიურად ჩაება საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1917-1919 წლებში ინგოროყვაძე იყო „საქართველოს ეროვნული საბჭო“-ს (პარლამენტის) წევრი სოციალ-ფედერალისტთა პარტიიდან.

1918 წლის 26 მაისს მან, ექვთიმე თაყაიშვილთან და სხვა დიდებულ მამულიშვილებთან ერთად, ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს. ჯერ კიდევ სტუდენტური ქუდი ეხურა, მენშევიკებს რუკაზე საქართველოს საზღვრებს რომ უხაზავდა და აჩვენებდა, სად იყო კახეთი.

1919 წლამდე იგი რჩებოდა ერვნული საბჭოს წევრად. ამავე წელს, იგი გახლდათ საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და გამგეობის წევრი.

1923 წლამდე მისი სტატიები აქტიურად იბეჭდებოდა ქართულ პრესაში. 1924 წელს კი დააფუძნა ჟურნალი „კავკასიონი“. ამ პერიოდულ გამოცემაში იბეჭდებოდა სტატიები, რომლებიც ძირითადად მეცნიერულ ხასიათს ატარებდნენ, მაგრამ აქვე ვხვდებით პოლიტიკური შინაარსის წერილებსაც. ამ სტატიებმა, საბჭოთა ხელისუფლების უკმაყოფილება გამოიწვიეს. შესაბამისად,



არც შედეგმა დააყოვნა და 1925 წელს პავლე ინგოროყვას გაზეთი აკრძალეს. ბოლშევიკური რუსეთის მიერ სუვერენული საქართველოს ოკუპაცია-ანექსიისადმი პროტესტის ნიშნად, 1921-1923 წლებში, პავლე ინგოროყვაძე იყო „შაჰრუხიანთა ჯგუფი“-ს წევრი.

პავლე ინგოროყვას თაოსნობით 1925 წელს დაარსდა გამომცემლობა „ქართული ნიგნი“. „ქართული ნიგნის“ პირველი მნიშვნელოვანი გამოცემა გახლდათ ილია ჭავჭავაძის მრავალტომეული, რომელიც პავლე ინგოროყვას რედაქციით დაისტამბა 1926-

1928 წლებში. სწორედ ეს მრავალტომეული და ეროვნული ხასიათის სხვა გამოცემები გახდა მიზეზი იმისა, რომ 1933 წელს „ქართული ნიგნი“ დაიხურა.

ამავე პერიოდში, 1924-1928 წლებში მან დაიწყო აქტიური მუშაობა ვეფხისტყაოსნისა და რუსთაველის თემებზე, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე არ შეუწყვეტია.

1929 წელს იგი დაინიშნა სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების გამგედ. ინგოროყვას ეს თანამდებობა 10 წლის განმავლობაში ეკავა, რამაც, დიდი გავლენა მოახდინა მის შემდგომ სამეცნიერო მოღვაწეობაზე.

1936-1938 წლებში იგი გახლდათ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ პირველი რედაქციის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე. პროექტი არ განხორციელდა და რედაქცია დაიხურა სწორედ იმის გამო, რომ სარედაქციო კოლეგიის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი ემსხვერპლა 1937 წლის პოლიტიკურ რეპრესიებს.

სამწუხაროდ, ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ იმსხვერპლა მისი მეუღლე, ქეთევან ბაქრაძე, რომელიც გადასახლებულ ძმაზე ნერვიულობას გადაყვა.

პ. ინგოროყვაძე თავისი მოღვაწეობის არც თუ ისე უმნიშვნელო ნაწილი დაუთმო შოთა რუსთაველის და „ვეფხისტყაოსნის“ კვლევას. რის შედეგადაც შექმნა უამრავი ნაშრომი: „რუსთაველიანა“ 1926, „რუსთაველიანაზე“ 1927, „რუსთაველი და მისი პოემა“ 1937, „რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა“ 1940-1941, „შოთა რუსთაველი“ 1937, „ვეფხისტყაოსნის ტექსტი“ 1953, ამასთანავე ინგოროყვაძე ორჯერ გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ 1953 და 1971 წლებში.

1937 წელს თითქმის ოცწლიანი შრომის შედეგად, უძველესი ხელნაწერების საფუძველზე, პ. ინგოროყვაძე დაასახელა შოთა რუსთაველის დაბადების წელი. ამავე წელს ლიტერატურის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის თაოსნობით, რომელსაც სათავეში თვითონ ედგა. მისი თაოსნობითვე გაიმართა შოთა რუსთაველის 750







წლის იუბილე.

მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაშრომია „გიორგი მერჩულე“, რომელზეც იგი, თითქმის მთელი სიცოცხლეს განმავლობაში მუშაობდა. 1954 წელს გამოცემულ ამ ნაშრომში, ფაქტობრივად, განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ სასულიერო პოეზია, გამოაშკარავებული და გამოქვეყნებულია მანამდე უცნობი პოეტ-ჰიმნოგრაფების თხზულებანი. ამავე ნაშრომის საშუალებით აღმოაჩინა რიტმული პოეზიის მაგალითები და სცადა ძველი ქართული სანოტო სისტემის გაშიფრვა.

ძველი სანოტო სისტემის გაშიფრვას, მკვლევარმა ცალკე ნაშრომი უძღვნა, სადაც დეტალურად აღწერა ქართული მუსიკალური დამწერლობა. 1941 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი, არა მარტო ჩვენში აღიარეს, არამედ უცხოეთშიც. კერძოდ 1962 წლის 22 აგვისტოს ამ აღმოჩენას პარიზიდან, მიეძღვნა რადიო რეპორტაჟი და ძველი ქართული მუსიკა მსოფლიოს გასაგონად აჟღერდა. პავლე ინგოროყვამ, სულ მოიძია 31 ჰიმნი და 1200-მდე საგალობელი.

განსაკუთრებული ხმაური მოჰყვა 1954 წელს გამოცემულ მონოგრაფიას. პირველი ნაწილის მეოთხე თავი ეძღვნებოდა „აფხაზეთის სამეფოს“. ყველა ისტორიული წყაროსა და ტოპონიმის შესწავლის შედეგად დაადგინა: დასავლეთ საქართველოს ის ნაწილი, რომელიც აფხაზეთის სახელით იყო ცნობილი, მოიცავდა ტერიტორიას კელასურის კედლიდან ვიდრე ძველ ლაზიკამდე და ის ძირძველი ქართული მიწა იყო. იქ სახლობდა ქართველთა სამი შტო: მესხები (იგივე აფხაზები), კოლხები (მეგრელ-ლაზები) და სვანები. ასეთმა დასკვნამ ოფიციალური გააღიზიანა, ისტორიკოსებიც დაუპირისპირდნენ. საბოლოოდ წიგნი აკრძალეს.

პავლე ინგოროყვამ დიდი ყურადღება დაუთმო უდიდეს ქართველ მწერლებსა და პოეტებს. 1938, 1940, 1951 წელს გამოსცა მონოგრაფიები: ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე და ნიკოლოზ ბარათაშვილზე.

1955 წლის 29 ივნისს ოთხმა აკადემიკოსმა: გოგლა ლეონიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, გალაკტიონ ტაბიძემ და იოსებ გრიშაშვილმა მისი დაუზოგავი შრომის დასაფასებლად, მწერალთა კავშირს წარუდგინეს წერილი პავლეს სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. მეგობრებს სურდათ, ის წარედგინათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრად. აფხაზეთზე მონოგ-

რაფიის გამო უარი ეთქვა.

პავლე ინგოროყვა ფლობდა — ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ, ძველ ბერძნულ, ლათინურ და იტალიურ ენებს, რომლებსაც აქტიურად იყენებდა კვლევების წარმოებისას.

პავლე ინგოროყვა გარდაიცვალა 1983 წლის 20 ნოემბერს.

ქართველმა ერმა, გრანდიოზული სამგლოვიარო ცერემონიალით დაკრძალა, უდიდესი მეცნიერი და მწერალი. ქაშვეთის ეკლესიასთან დასვენებული მისი ცხედარი ტაძრის ზარების რეკვით დაიტირა ერმა. რუსთაველის პროსპექტს უამრავი ხალხი მოაწყდა. პროცესიის მონაწილეებმა, რომელსაც პავლეს მეგობრის შვილი, ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობდა, სცადეს მისი ცხედრის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადასვენება, მაგრამ ხელისუფლებასა და კომპარტიის ცკ-ს თითქოს გარდაცვლილი ინგოროყვასიც ეშინოდათ. მათ ქართული ცოდნის ტაძრისკენ მიმავალი გზა გადაკეტეს. ახალგაზრდების ბრძოლის მიუხედავად ათასობით ადამიანმა ვერ შეძლო კორდონის გარღვევა, მათ გეზი დიდუბის პანთეონისკენ აიღეს. საბოლოოდ კი, იგი პანთეონის ეზოში შაოსანმა ქალებმა შეასვენეს. ასე რომ, ქართველმა ერმა თავისი საამაყო შვილი ღირსეულად გააცილა უკანასკნელ გზაზე.

შთამომავლობამ მისი ღვაწლი ვერ დააფასა. საქართველოში მხოლოდ რამდენიმე ლიტერატურულ საზოგადოებას ერქვა მისი სახელი.

ერთადერთი რაც გაკეთდა – იმ ქუჩას სადაც დიდი მეცნიერი თითქმის ყოველ დღე, თავისი უშველებელი პორტფელით დადიოდა, მისი სახელი ეწოდა.



ვახტანგ კოტეტიშვილი (მარცხნივ), კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი. 1924 წელი, აჯანყება ჩახობილია და პანა ეროვნულზეც მაშინვე ხვრეტენ...



# საქართველო - ჩაბიონული და ავრახიული ცანტარი

ლეგენდის მიხედვით, როცა უფალმა პლანეტაზე სიმღირეები გადაანანილა, ბოლოს მუჭში დარჩენილი მარგალიტები საქართველოში მიმოაბნია. ეს განძი 103 კურორტი და 185 საკურორტო ადგილია. მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა ასეთი ბუნებრივი შესაძლებლობებით – უნიკალური კლიმატი, მინისქვეშა მინერალური და თერმული წყლები, არაჩვეულებრივი ლანდშაფტი, კასტული მღვიმეები, სხვადასხვა კლიმატური ზონები, მყინვარები, მდინარეები, სამკურნალო ტალახი, მაგნეტიტური ქვიშები. ეს სიმღირეები დაახლოებით ქვეყნის 70 ათას კვ.კილომეტრზეა განლაგებული. სამედიცინო ტურიზმი და კურორტოლოგია სწრაფ რეანიმირებას საჭიროებს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფუნქციან საკურორტო ზონებში ინფრასტრუქტურის აღდგენა და ინვესტიციების მოზიდვა. სფერო, რომელიც ყოველთვის ტრადიციული იყო, ამ მიმართულებით ექიმების დასაქმების საკითხს მოაგვარებს და ქართული ეკონომიკა განვითარების ახალ საფეხურზე გადავა.

ორი წლის წინ ქალაქ ბათუმში გამართულ შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო კონფერენციაზე კლინიკა „ოჯახის მკურნაღის“ დირექტორი თორნიკე ალაშვილი მოხსენებით გამოვიდა – აუტიზმის მკურნაღობა საქართველოში. სანკტ-პეტერბურგის ბავშვთა ცერებრული დამბლის და აუტიზმის ასოციაციამ ურეკის კურორტზე მოაწყო – ფსიქოთერაპიული, მანუალური, ჰომეოპათიური, დელფინოთერაპიული და მუსიკოთერაპიული კომპლექსური მკურნაღობა. მათ არა მარტო რუსეთიდან, სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოჰყავდათ აუტიზმით და ბავშვთა ცერებრული დამბლით დაავადებული ბავშვები. კლინიკა „ოჯახის მკურნაღი“ პროგრამაში ორი წელი მონაწილეობდა.

– თქვენთან უამრავი პაციენტი ჩამოდის ინგლისიდან, კიპრიდან, საბერძნეთიდან, ბულგარეთიდან და სხვა ქვეყნებიდან, ასევე ინტერნეტის საშუალებით კომუნიკაცია გაქვთ ჩვენს დიასპორასთან. სამედიცინო ტურიზმის განვითარება მუდმივად შეფერხებულია, შეიძლება ითქვას, ქვეყანა თავის რესურსს სათანადოდ ვერ იყენებს.

– ჩვენ ურეკის კურორტზე გვექონდა მოლაპარაკება, იქ მოგვეწყო ხერხემლით დაავადებულთა რეაბილიტაციის



ცენტრი, ურეკში დაბალი ზღვაა, პაციენტს შეუძლია მაგნეტიტურ ქვიშაში იაროს. ასევე ქართული ტრადიციული მედიცინა, მასაჟები, მანუალური და ჰომეოპათიური მკურნაღობა დადებით შედეგს მოგვცემდა, ასეთი კომპლექსური მიდგომა ყოველთვის მსოფლიო საზოგადოების ინტერესს იწვევს.

– თქვენ ისაუბრეთ აუტიზმით დაავადებულების მკურნაღობაზე. რა შედეგი მოყვა ამ პროგრამას?

– პროგრამა, მართლაც, საინტერესოდ განვითარდა, მისი მონაწილეები კმაყოფილი იყვნენ, მაგრამ ამ წამოწყებაში ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა, ფასებთან დაკავშირებით ბათუმის დელფინარიუმთან პრობლემები შეიქმნა, 50 ლარის საფასურის შემდეგ მომსახურება გააძვირეს, კვიპროსიდან ჩამოსული პაციენტები ერევნის და ოდესის დელფინარიუმებში წავიდნენ, სადაც მკურნაღობაში სამჯერ იაფი გადაიხადეს, ვიდრე ბათუმში. სამედიცინო თვალსაზრისით ძალიან საინტერესო პროექტი იყო, მაგრამ მომსახურების სერვისის კუთხით დახვენას მოითხოვს, თუ სწორად არ დაიგეგმა, რაც განვასხორციელებთ, ისიც დაიკარგება.

– დავით ნარმანიას წინასაარჩევნო კამპანიის დროს მერობის კანდიდატის მხარდამჭერთა დარბაზში მოხსენებით გამოხვედით.

– მერობის კანდიდატის პროგრამაში – თბილისი გახდეს რეგიონული, ეკონომიკური, კულტურული და ტურიზმის ცენტრი. მოხსენებით დავამტკიცეთ, თუ ჩვენთან იქნება იბერიულ-კოლხური მედიცინის უნივერსიტეტი, ტრადიციული მედიცინის ცენტრი, მათ შორის სანატორიუმები-სა და კურორტების ბაზაზე, ასევე გაიხსნება ევროპისა და



ურეკის ზღვა





# ბიუროკრატიის ბნელ ღარეფნეზში...

ასე დაასათაურა თავისი სტატია ჟურნალისტმა როლანდ ჯალაღანიამ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2014 წლის 6 მაისს გამოქვეყნებულ წერილში, რომელიც სახალხო მკურნალ დომენტი გაგნიძეს შეეხო, სათაური შემთხვევითი არ არის. დიახ! მკურნალს მიესაღაგება და ლოგიკურია. აბლაბუდა ბიუროკრატიულ, ამოუცნობ ლაბირინთებად ცნობილ დერეფნებში უხილავ მავანთა უკონტროლო, აღვირახსნილი ქმედებითა და პირადი დაინტერესების წყალობით დაინერა დომენტი გაგნიძის ბედისწერა, განაჩენი იმ უბედო, რომლის ალლო და შემოქმედებითი უნარი ადამიანთა კეთილდღეობის, სიცოცხლის შენარჩუნების და ჯანმრთელობის გაუმჯობესებისკენ იყო მიმართული.

## რაშია საქმე, რა სიურპრიზები მოუმზადეს მას?

უბრალო თელაველი კაცი, დომენტი გაგნიძე თავისი ინტუიციითა და ალლოს მეშვეობით, უფლის შთაგონებით და წყალობით გახდა სახალხო მკურნალი. უნიკალური სამკურნალო პრეპარატები აღმოაჩინა, რომლებიც 21-ე საუკუნის პანაცეად უნდა მივიჩნიოთ. ბალახეული ინგრედიენტებისაგან ნაზავი პროდუქტით, ყოველგვარი ქიმიური ნივთიერების შერევის გარეშე, შექმნა პარასამკურნალო პრეპარატები – **გაგენოლი და დომენტოლი**.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მას კურთხევა მისცა, ხალხის სამსახურში განეული ღვანლისთვის გზა დაულოცა. დალოცა იმიტომ, რომ საზოგადოებას გაეგო დომენტოლისა და გაგენოლის სასწაულმოქმედი ეფექტი და შედეგი ისეთ მძიმე, თანამედროვე კლასიკური მედიცინისათვის ჯერ კიდევ განუკურნებელი დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, როგორც არის მძიმე ონკოლოგიური დაავადებები – გაფანტული სკლეროზი, შაქრიანი დიაბეტი, პარკინსონი და სხვა.

სწორედ, ამ ბალახეული პროდუქტებით ასეულობით ადამიანი გამოჯანმრთელდა, გაუხანგრძლივდა სიცოცხლე და მდგომარეობა გაუმჯობესდა. სახალხო მკურნალმა ბევრი ლოგინს მივაჭყული პაციენტი საწოლიდან წამოაყენა, გადაადგებინა ინვალიდის ეტლი და ყავარჯენი.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს დომენტი გაგნიძის ღირსება, მასთან მისულ პაციენტს უკან არ აბრუნებს და მკურნალობს, იმ ავადმყოფებს, რომლებსაც კლასიკური მედიცინა ვერ შევლის, საავადმყოფოდან მშვიდი სახითა და ცივი გონებით იმედგადაწურულებს სახლში უშვებენ, მხოლოდ ის დარჩათ, დომენტი გაგნიძეს მიაკითხონ და ტკივილით გათანგულები მოახლოებულ სიკვდილს დაელოდებიან.

მკურნალი ამ ავადმყოფებს თუ სრულად ვერ განკურნავს, სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს და ტკივილს უყუჩებს, ამას ადასტურებს მის არქივში არსებული ასობით და ათასობით სამადლობელი წერილი და მის მიმართ მიძღვნილი ლექსები.

ამ წარმატებისთვის დომენტი გაგნიძე სათანადოდ დააფასა სამეცნიერო წრეებმა. 2010 წელს ის საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად – საპატიო აკადემიკოსად, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად, ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავ-

შირის საპატიო წევრად აირჩიეს, თუმცა ქართველებს გვაქვს ბრძული, ცხოვრებისეული ნამდვილი გამონათქვამი – „კარგის მქნელსაო“... დაულაღვი შრომის მიუხედავად, დომენტის ასე დაემართა, მისი მოღვაწეობა გარკვეული ჯგუფისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, 80 წლის კაცი როგორც მორალურად, ასევე სულიერად და ეკონომიურად გაანადგურეს, თუმცა ბოლომდე ვერ მოასწრეს მისი გასრესა. მის წინააღმდეგ დაირაზმა სამედიცინო ბოზოლა ბოსები, ფარმაკომაფია, ონკოლომაფია, დაიწყეს მის მიმართ ფრონტალური შეტევა.

ტელეკომპანია იმედში ჟურნალისტ ნოდარ მეღაძის პროვოკაციული გადაცემით, მოახერხეს მის წინააღმდეგ შავი ფიარის აგორება. შეეცადეს მკურნალის ავტორიტეტის დისკრედიტაცია, რასაც ნაწილობრივ მიაღწიეს. 2010 წლის 18 იანვარს, შემდეგ იმავე წლის 13 სექტემბერს დომენტი გაგნიძეს აღნიშნული წამლები, როგორც პარასამკურნალო სამედიცინო პრეპარატები სახელმწიფო ეროვნული რეჟიმის ნიშნით დაურეგისტრირა ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ, ერთი წლის შემდეგ 2011 წლის 26 დეკემბერს ბრძანება №2-1428-ით აფსურდული მოტივით

სსწარი ინტრაუმსკულარული ინექციისათვის

# გაგენოლი

იუმონასტიუმულიკაბელი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება

ბათილად ცნო და სარეგისტრაციო მოწმობა გააუქმა. ამ ვანდალურ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ის ფაქტი, თითქოს დომენტი გაგნიძის მიერ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში წარმოდგენილი კლინიკურ-ექსპერიმენტული კვლევის ანგარიშში თსუ-ს ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტში არ იყო შექმნილი. დოკუმენტზე დასმული ბეჭედი არ ეკუთვნის მორფოლოგიის ინსტიტუტს და დოკუმენტზე არსებული ხელმოწერა მისი დირექტორის კორძაიას მიერ არ არის შესრულებული. მკურნალს აცნობეს, რომ სამართლებრივი შეფასებისთვის მასალები მთავარ პროკურატურას გადაეგზავნა.

ამ საკითხზე იურიდიული მსჯელობით საზოგადოებას თავს არ შევანყენო, მაგრამ აღვნიშნავთ, დომენტი გაგნიძეს ეს დოკუმენტი არ გაუყალებია, ვერ შეძლებდა, რადგან მაღალი სამედიცინო ტერმინოლოგიის მქონე დოკუმენტის შედგენის განათლება მას არ აქვს. ყალბი დოკუმენტის თემა ბლეფი იყო, ფარმაკომაფიის მიერ შეთითხნილი და მიზნად ისახავდა მკურნალის ასპარეზიდან ჩამოცილებას.

გაგენოლი და დომენტოლი იყო პარასამკურნალო საშუალება და მას კლინიკურ-ექსპერიმენტული დასკვა არ იყო საჭირო. დომენტი გაგნიძე დაბეჯითებით ამტკიცებს,



მას დოკუმენტი არ გაუყალბებია, თუ ვის შეეძლო სიყალბის ჩადენა, ადრესატად ექიმ დავით მეტრეველს ასახელებს, თუმცა გამოძიებამ საქმეს არ მისცა მსვლელობა, მისი დასჯა სამართალდამცავებს არ აინტერესებდა, ჩვენი ვარაუდით, ის ზომ არ იყო წინასწარ „ჩანერგილი“? ამიტომ გამოძიება ამ ფაქტს შეეშვა. რა საფუძველი დარჩა წამლის რეგისტრაციის გაუქმების გასამართლებლად – წამლის მოქმედებით ვინმესთვის ზიანის მიყენება, შთამომავლობისთვის მძიმე შედეგის ფაქტი, თუ დოკუმენტის სიყალბე? არცერთი. ამიტომ უკანონოდ გაუქმებული წამლის რეგისტრაცია უნდა აღდგეს, რეგისტრაციის აღდგენის მოთხოვნით სასამართლოში შევიტანეთ სარჩელი, წარდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, ნაკლებად სავარაუდოა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი მივიღოთ, იმედია, სასამართლო სათანადო ვერდიქტს გამოიტანს. ჩვენ მოთმინებით და სრული სიმშვიდით ველოდებით საკითხის დადებითად გადაწყვეტას და ადამიანის უსამართლო ჩაგვრას.

შემდეგ დომენტი გაგნიძის მიმართ მოხდა კიდევ ერთი აღმამფოთებული ფაქტი – 2012 წლის 8 თებერვალს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა მკურნალს თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ შულავერში საცხოვრებელ ბინაში ჩხრეკა ჩაუტარა, რის შედეგად მისი პირადი სეიფიდან ამოიღეს წლების განმავლობაში დანაზოგი თანხა 1. 241. 978. 78 ლარი, რომელიც ნივთმტკიცებად დაურთეს მათ დომენტი გაგნიძის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს. ერთი კვირის შემდეგ 2012 წლის 14 თებერვალს ფული ნივთმტკიცებათა სიიდან ამოიღეს და სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხეს, თითქოს დავალიანების დასაფარად.

**როლანდ ჯალალანი**

**რედაქციისგან:** მკურნალმა სამართლოანობის აღდგენის მიზნით საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს, ეკა

სსნარი ინტრამუსკულარული ინექციისთვის

# დომენტი

იმუნომასტიმულირებელი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება

ბესელიას მიმართა. დომენტი გაგნიძე ითხოვს ადრე დაწყებული და დღემდე დაუსრულებელ სისხლის სამართლებრივი დევნის საბოლოოდ დასრულებას საქმეში არსებული დღემდე შეგროვილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, რომ საბოლოოდ პროკურატურამ და გამოძიებამ გადაწყვიტონ, თუ დამნაშავეა, დომენტი გაგნიძე მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ხოლო თუ უდანაშაულოა, მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დასრულდეს, შემდეგ დაუბრუნონ ბიუჯეტში უკანონოდ ჩარიცხული თანხა 1. 241. 978. 78 ლარი. ასევე ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა უძრავ-მოძრავ ქონებაზე ყაღალა მოუხსნას.

ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია მთავარ პროკურორს, გიორგი ბადაშვილს გადაუგზავნა. მათ ერთი თვის ვადაში კომიტეტს და განმცხადებელს გატარებული ღონისძიებების შესახებ უნდა აუწყონ.

განათდება თუ არა ბიუროკრატიის ბნელი დერეფნები... მოვლენების განვითარება გვიჩვენებს, სასონარკვეთილი 80 წლის კაცი ხშირად იმეორებს – თუ დამნაშავე ვარ, დამსაჯონ, რას ელოდებიან?! ჩვენ თვალს მივადევნებთ და მკითხველს გავაცნობთ, როგორი რეაგირება მოჰყვება.

## ორ ქვეყანას შორის კონსულტაციები გრძელდება



24-25 დეკემბერს, ქ. თბილისში გაიმართა ტექნიკური კონსულტაციები საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის საავიაციო ხელისუფლებების შესაბამის წარმომადგენლებს შორის. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს წარმომადგენლები.

ტექნიკური კონსულტაციების დროს განხილულ იქნა ორ ქვეყანას შორის რეგულარულ საჰაერო მიმოსვლასთან დაკავშირებული საკითხები, როგორცაა ფრენის სიხშირეები, დანიშნულების პუნქტების განსაზღვრა და ასე შემდეგ.

გამომდინარე იქიდან, რომ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული საქართველოს მხარის მიერ

დაყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ გაგრძელდეს ტექნიკური კონსულტაციები 2015 წლის დასაწყისში.

საბოლოო შეთანხმების მიღწევამდე კი, ქართულ და რუსულ ავიაკომპანიებს უფლება მიეცათ, რომ პარიტეტის საფუძველზე, 2015 წლის 31 იანვრამდე განახორციელონ რეგულარული ფრენები კვირაში 18/18 სიხშირით, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ავიაკომპანიებს უკვე გაყიდული აქვთ შესაბამისი მგზავრობის ბილეთები.

# დაუპიწყარი საიუბილეო საღამო

ჩოხატაურის კინო სახლში კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლის „ნართის“ დაარსებიდან 5 წლისთავი და ცნობილი ლოტბარისა და მომღერლის, მრავალი ფესტივალისა და კონკურსის ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის ვარდო თოდრიას დაბადებიდან 85 წლის საიუბილეო საღამო გაიმართა. ვარდო თოდრია 60 წელზე მეტია ერთგულად ემსახურება ქართული მრავალხმიანი სიმღერის მოპოვებას, მის შესწავლასა და პოპულარიზაციას. მისი ხელმძღვანელო-

ბით ანსამბლი „ნართი“ სისტემატურად მონაწილეობს რეგიონალურ, საქალაქო და საერთაშორისო ფესტივალებში. ნართის წევრებმა გიორგი ბრეგაძემ, ნინო სიხარულიძემ, გელა ცინცაძემ, ელზა სიხარულიძემ, გაია ხვინჩიაშვილმა, ზვიად ბერძენიშვილმა, ინგა წიტიანიშვილმა, ბაჩო სიხარულიძემ, ბექა ჯინჭარაძემ და დავით თოდრიამ მაყურებლის საყვარელი სიმღერები შეასრულეს. ანსამბლ „ნართს“ და მის ხელმძღვანელს ქალბატონ ვარდოს საიუბილეო თარიღი მიულოცეს: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი კუჭავამ, კულტურის განყოფილების უფროსმა გოჩა გათაშვილმა, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის ხელმძღვანელმა დავით შარაშიძემ, საკრებულოს საფინანსო-საბიუ-



ჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა თავმჯდომარემ მაია პაიჭაძემ, სოციალური კომისიის თანამემნემ ზაურ ოსეფაიშვილმა. ანსამბლებმა „გურია“, „ამაღლება“ ყოფილმა მოსწავლეებმა ჯემალ ნაკაშიძემ, ლეილა კოტრიკაძემ, ვერიკო გოგოლაძემ. ჩვენი ყურნალიც დიდ მადლობას მოახსენებს ქალბატონ ვარდო თოდრიას ნაყოფიერი შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის და ხანგრძლივ სიცოცხლეს და მრავალ შემოქმედებით წარმატებას უსურვებს ღვანლმოსილ ხელოვანს.

ქეთევან კუკულავა



# წარმატებული გამოფენა

ჩოხატაურის სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრებს თბილისში ზაალ სულაკაურის საბავშვო ცენტრმა უმასპინძლა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, ასევე გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები (თექვა, კერამიკა, მაკრამე). მხატვლეთა დიდი მონონება დაიმსახურა – სოფო სიხარულიძის, ლიზი ეზიშვილის, ელენე კალანდაძის, ნოდარ ძნელაძის, თორნიკე მდინარაძის, რობერტ ოსეფაიშვილის, გვანცა და გიორგი გოცაძეების, ხვინჩა უჯმაჯურიძის და სხვა 50-ზე მეტი მოსწავლის ნამუშევრებმა. სკოლის დირექტორმა მზია კვინტრაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა – ზაალ სულაკაურმა პიკასოს სიტყვებით მიმართა ბავშვებს: „მხატვარო ხატე“ და მეც ჩემს მოსწავლეებს ვეტყვი, რომ სხვადასხვა პრობლემების მიუხედავად, მაქსიმალურად ეცადონ, შეინარჩუნონ განწყობა და არ დაკარგონ ხატვის სურვილი. ასევე აღვნიშნავ, რომ ჩვენი მოსწავლეების წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის სამხატვრო სკოლის პედაგოგებს: გიზო გიორგაძეს, თემურ ბერძენიშვილს, ოთარ დოლიძეს, გიორგი ბერძენიშვილს, ირმა ლუტიძეს, გურამ ბერძენიშვილს, ქეთევან მურმანიძეს.

„ზალიკოს ცენტრის“ დირექტორმა დავით მგალობლიშვილმა და დამფუძნებელმა ზაალ სულაკაურმა უსასყიდლოდ დაუთმეს ჩოხატაურელ ბავშვებს საგამოფენო სივრცე და ასევე ისინი სხვადასხვა გასართობებით გახალისდნენ. კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა ელენე გედენიძემ კი აღნიშნა, ჩოხატაურის სამხატვრო



სკოლა სისტემატურად ატარებს თბილისში გამოფენებს, რომლის მსგავსი პრეცედენტი სხვა რეგიონალურ სკოლებში არ არის. გამოფენას ასევე დაესწრნენ ცნობილი მხატვრები, კრიტიკოსები, სამხატვრო აკადემიის სტუდენტები და კურსდამთავრებულები. სამხატვრო სკოლის მოსწავლეები შთაბეჭდილებებით, ახალი იდეებითა და სიხარულით აღვსილი დაბრუნდნენ ჩოხატაურში.

ქეთევან კუკულავა



# ფილოსოფია პუბლიკი ახლის ძიება

ანა თავართქილაძე დაიბადა 1994 წლის 25 ივლისს. დაამთავრა ჩოხატაურის სამრევლო სკოლა. სკოლის პერიოდში სისტემატურად მონაწილეობდა შემოქმედებით ღონისძიებებში. პოეზიის კონკურსებში არაერთხელ გაიმარჯვა. სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, ჩააბარა ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (სპეციალობა – ფილოსოფია). ამჟამად, ანა თავართქილაძე უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტია. იგი ასევე არის სტუდენტთა მოყვარული თეატრის წევრი და მის მიერ შესრულებული როლები მაყურებლის დიდ მონონებასაც იმსახურებს.

– ანა, ძალიან პოეტური სულის გოგონა ხარ, რატომ აირჩიე ფილოსოფია?

– ფილოსოფია ძალიან საინტერესო სფეროა. შემძლია ვთქვა, ბევრ კითხვაზე გამცა პასუხი, რაც მე მაინტერესებდა. ფილოსოფია ესაა მუდმივი ახლის ძიება. ყოველთვის იბადება ახალი კითხვები და ჩნდება ახალი პასუხები. ფილოსოფია არის სიბრძნის სიყვარული, სიბრძნის ძიება, რაც თავისთავად ძალიან საინტერესო პროცესია. პლატონი ამბობდა: ღმერთმა ადამიანი მრავალმხრივი სიბრძნით დააჯილდოვა, მაგრამ ყველას არ შეუძლია ამის დანახვა და გამოყენება...

– როგორია შენი ხედვა თანამედროვეობაზე?

– ჩემი აზრით თანამედროვე ადამიანი უნდა იყოს განათლებული, ერუდირებული სხვადასხვა საკითხებში. დღეს უმაღლესი სასწავლებელი ევროპულ განათლებას უნდა აძლევდეს სტუდენტებს. შესაბამისად პედაგოგებიც ევროპული მეთოდებით ასწავლიდნენ. ახლახან საქართველოს მასშტაბით ჩატარდა გამოკითხვა – რამდენი ლექტორი ასწავლის ევროპული მეთოდების მიხედვით. სავალალო შედეგი მიიღეს. გამარჯვებულებიდან ორი ლექტორი ჩვენი უნივერსიტეტიდან იყო, რაც ძალიან მერაბობაა. მე აქ ვიღებ ისეთ განათლებას, რასაც დარწმუნებული ვარ, სხვაგან ვერ ვისწავლი. შესანიშნავი პედაგოგები მყავს, ესენია: გაი მასალკინი, ლალი ანთიძე, ლალი ზაქარაძე, მიხეილ მახარაძე და სხვ.

– ანა, როგორც ვიცი ძალიან გიყვარს ხელოვნება.

– დიახ. ხელოვნება ჩემი ცხოვრებაა. მე ვსუნთქავ ამით. ეს ძალიან დიდი სტიმულია ჩემთვის, შეიძლება 7-8 საათი ვიყო სცენაზე და დაღლა ვერ ვიგრძნო... ძალიან ბედნიერი ვარ, რომ უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური თეატრის სპექტაკლებში ვმონაწილეობ.



– ახლა უნივერსიტეტის სცენაზე ვნახე ლაშა ბულაძის „ნაფტალინი“, რომელშიც შენ ეშმაკის საინტერესო და რთული სახე განასახიერე. მინდა გითხრა, მოვიხიბლე შენი მეტყველებით, პლასტიკითა და შესრულების ბუნებრივი მანერით. მოხარული ვარ, რომ მაყურებელი დიდხანს გიკრავდათ ტაშს მთელ შემოქმედებით ჯგუფს. რას იტყვი ამ სპექტაკლზე, რეჟისორზე და შენს პარტნიორებზე?

– ლაშა ბულაძის პიესები ძალიან მომწონს და კმაყოფილი ვარ, რომ რეჟისორმა როინ დვალმა და მსახიობმა გიორგი ფირცხალაიშვილმა ეს პიესა განახორციელეს ჩვენს უნივერსიტეტში. მე ძალიან ბევრი რამ ვისწავლე მათგან. მათ დამანახეს ჩემი შესაძლებლობები, მაღლიერი ვარ, რომ მომცეს საშუალება ჩემი შემოქმედებითი უნარის გამოვლენისა. ძალიან მიხარია, რომ „ნაფტალინი“ მაყურებელმა გულთბილად მიიღო. მაღლობელი ვარ ჩემი მეგობრების, რომლებიც სცენაზე შესანიშნავ პარტნიორობას მიწვევენ, რამაც განაპირობა, როგორც ჩემი როლის, ასევე მთლიანად სპექტაკლის წარმატება. ჩვენ 3 წელია ვმონაწილეობთ სტუდენტურ ფესტივალებში და ჟიურის დიდ მონონებასაც ვიმსახურებთ. აქვე მინდა ვისარგებო შემთხვევით და თქვენს ჟურნალს დიდი მადლობა გადავუხადო ყურადღებისთვის.

სპექტაკლის შემდეგ გავესაუბრეთ რეჟისორ როინ დვალს. – ორ თვეზე მეტია, რაც ამ სპექტაკლზე ვმუშაობთ. სტუდენტები დიდი სიხარულით, ენთუზიანზითა და სიყვარულით ეკიდებიან ამ საქმეს. დღეს ვარ კმაყოფილი და ბედნიერი, სტუდენტებმა მაქსიმალური შესაძლებლობები გამოავლინეს და მაყურებლის ოვაციებიც დაიმსახურეს. რაც უფრო მეტ ადამიანს ეყვარება თეატრი, მით უფრო მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ თეატრი არა მარტო სასცენო ოსტატობას ასწავლის, არამედ ის ასწავლის ურთიერთობებს საზოგადოებასთან, ასევე კულტურას და ეთიკას. ჩვენს დასში არიან ბავშვები სხვადასხვა რეგიონიდან. მათ შორის არის ანა თავართქილაძე გურიიდან, კერძოდ ჩოხატაურიდან. იგი ძალიან ნიჭიერი გოგონაა. მის მიერ შესრულებული როლები ყოველთვის გამოირჩევა ბუნებრიობითა და უშუალოებით. ჩვენ ვეცდებით ეს სპექტაკლი ჩოხატაურულ მაყურებელს ვაჩვენოთ. ასევე ჩოხატაურის თეატრის სპექტაკლებს ჩვენც ვუმასპინძლებთ. მე ასევე ვმუშაობ ტელევიზიაში, გვაქვს პროექტი, რომლის მიხედვით ხდება რეგიონალური თეატრების სპექტაკლების გადაღება. ახლა ვეგმავთ ოზურგეთში ჩასვლას. ვეცდებით, ჩოხატაურის სახალხო თეატრიც გადავიღოთ. იმედი მაქვს, ჩვენი შემოქმედებითი ურთიერთობა გურიასთან წარმატებული იქნება.



ქეთევან კუკულავა

# სახალხო თეატრები ჩემი ზქივილია

**გვესაუბრება კულტურის სამინისტროს მიმდინარე ღონისძიებების სამართველოს მთავარი სპეციალისტი. მსახიობი – ნანა ხურიითი.**

**– ქალბატონო ნანა, რატომ აირჩიეთ მსახიობის პროფესია?**

– ბავშვობიდან მქონდა ფარული ოცნება, რომ მსახიობი ვიქნებოდი. ძალიან მორცხვი ვიყავი სკოლაში, ლექსიც კი არ წამიკითხავს ღონისძიებებზე. საერთოდ ამ გზისკენ ჩემმა დამ ლილიმ „მიზიძგა“, რომელიც მსახიობია. არ ვიცი რამდენად სწორი არჩევანი გადაკეთე, მაგრამ ფაქტია, რომ გავხდი მსახიობი. ამჟამად ვარ სოხუმის და ახმეტელის თეატრებში. ასევე სხვადასხვა თეატრშიც მიმუშავია.

**– ვის თვლით თქვენს მასწავლებლად?**

– მე გახლავართ ქალბატონ გულსუნდა სიხარულიძის მონაფე. სხვა პედაგოგებიც მასწავლიდნენ, მაგრამ თუ რამე ვიცი, ეს ქალბატონ გულსუნდას დამსახურებაა. დღემდე საუკეთესო ურთიერთობა მაქვს. როცა რაიმე მიჭირს, ყოველთვის მასთან მივდივარ. დღესაც ბევს რამეს ვსწავლობ მისგან, იმიტომ, რომ კვლავ სწავლის პროცესში ვარ. ანუ მონაფე პედაგოგის ურთიერთობა გრძელდება ჩვეულებრივად. გულსუნდა სიხარულიძე გურულია, თავისი თვისებებით ეს კუთხეც შემეყვარა. მინდა გითხრა, რომ გურიისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს.

**– რას იტყვი თქვენს როლებზე?**

– რაც შეეხება ჩემს როლებს, თავიდანვე ვთამაშობდი რომანტიულ გმირებს, შეყვარებული გოგონების როლებს, დადებით პერსონაჟებს, მაგრამ შემდეგ ზოგიერთ სპექტაკლში ჩემი ამაღლუა შეიცვალა, მაგალითად სუმბათაშვილ იუჟინის პიესაში „ღალატი“ ვითამაშე უარყოფითი გმირი – რუქაია. (რეჟ. გოჩა კაპანაძე). შემდეგ კიდევ განსხვავებული როლი ვითამაშე ლადო ასათიანის პოეზიის მიხედვით დაიდგა „ირმის უკანასკნელი ბღაელი“, სადაც შევასრულე პოეტის დედის როლი (რეჟ. ნუგზარ ლოთიფეანიძე). მრავალსერიან სატელევიზიო მხატვრულ ფილმში „ცხელი ძაღლი“ შევასრულე ნარკომანი გოგონას – მეგი სანებლიძის როლი. უარყოფითი გმირია, მაგრამ მაყურებელმა რატომღაც დადებითად აღიქვა. ალბათ რეჟისორმა და სცენარისტმა მაყურებელს ეს გმირი დაანახეს იმ კუთხით, რომ ის შეძლებს ამ მდგომარეობიდან გამოსვლას. მე ასევე ძალიან ბევრი რადიო სპექტაკლი მაქვს ჩანერილი, მახსოვს, ერთხელ სამარშუტო ტაქსში ვიჯექი და გააჩერეთ, მძღოლს ვუთხარი, ამ დროს მგზავრებმა ხრთმანეთს გადაულაპარაკეს – ეს ნანა ხურიითიაო. ძალიან გამიხარდა, რომ ჩემი ხმა იცნეს. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა

ქუჩაში გცნობენ და თბილ სიტყვებს გეუბნებიან.

**– რა თვისებები უნდა ჰქონდეს მსახიობს?**

– საერთოდ, როგორც ყველა პროფესიის ადამიანს, მსახიობს უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობა და რაც მთავარია, მსახიობი ყოველთვის უნდა იყოს



მართალი. მაქსიმალურად ეცადოს, მაყურებელთან იყოს გულწრფელი. მე ძალიან მიყვარს, როცა მსახიობის ადამიანური თვისებები ემთხვევა მის ნიჭს. მიმაჩნია, რომ მსახიობი გამორჩეული, საზოგადოებისთვის სამაგალითო უნდა იყოს. იმიტომ, რომ ის სცენიდან ასე თუ ისე ქადაგებს: სიკეთეზე, სიმართლეზე და ასე შემდეგ მსახიობი აუცილებლად უნდა აკონტროლებდეს საკუთარ თავს, ისე უნდა მოიქცე, როგორც ნარმოუდგენიხარ ხალხს. ჩვენ ინსტიტუტში ისე გავგზარდეს, რომ არ შეიძლებოდა შენობის წინ მხეხუმიხრა მიგვერთვა...

რაც მთავარია, მსახიობი უსამართლობის წინააღმდეგ უნდა იბრძოდეს. ის უნდა ატარებდეს იმ თვისებებს, რა დანიშნულებაც ჰქონდა ადრე. როგორც ცნობილია ტაკიმასხარები, რომლებიც მეფის კარზე მუშაობდნენ, ყოველთვის სიმართლეს ეუბნებოდნენ მეფეს. დიახ, მსახიობმა დღეს აუცილებლად სიმართლე უნდა თქვას, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზეც. თავისი აზრი უნდა ჰქონდეს და შეენიანაღმდეგოს იმას, რაც მის ინდივიდუალიზმს დაანგრევს. მიმაჩნია, რომ მსახიობი უკომპრომისო უნდა იყოს და უკან არ დაიხიოს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, რასაც ჰქვია თავისუფლებისკენ სწრაფვა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა. მე პირადად

„ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ვარ, მაგრამ ის რაც არ მომწონს დღევანდელ პოლიტიკაში, ხმამალა ვსაუბრობ... საზოგადოება უნდა გააქტიურდეს და ხელისუფლებას შეუწყოს ხელი, რომ შეცდომები არ დაუშვან. ბატონი ბიძინა ივანიშვილი ხშირად ამბობდა, რომ ხელისუფლებაში ყოფნა არ არის პრივილეგია, ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა ფაქტობრივად უნდა ვთხოვოთ ადამიანებს, რომ თანამდებობებზე თანხმობა განაცხადონ. ეს არ იყოს საკუთარი კეთილდღეობის განმსაზღვრელი. ხელისუფლების წარმომადგენლებმა უპირველეს ყოვლისა საკუთარ ხალხზე და ქვეყანაზე უნდა იზრუნონ.

**– რას იტყვი საქართველოში არსებულ სახალხო თეატრებზე?**

– სახალხო თეატრები ჩემი ტკივილია. მე მსახიობი ვარ და ვიცი რა მდგომარეობაა საქართველოს სახალხო თეატრებში. მათ ძალიან დიდი ხელშეწყობა სჭირდებათ. მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ რეგიონებში თეატრალური ხელოვნება გაძლიერდეს და განვითარდეს. რეგიონი რომ გაძლიერდება, თბილისიც უფრო კომფორტულად იგრძნობს თავს. ჩვენ თოჯინების თეატრის ფესტივალი ჩავატარეთ ხელვაჩაურში, სოფელ თხილნარში. ასევე გვსურდა სახალხო თეატრების ფესტივალი რომელიმე რეგიონში მოგვეწყო, მაგრამ სამწუხაროდ ეს იდეა ვერ განხორციელდა. ვერ დაფინანსდა სახალხო თეატრების სპექტაკლები, მათ შორის ვერ მოხერხდა ჩოხატაურის თეატრის დაფინანსებაც. სახალხო თეატრების პრობლემებზე ვესაუბრე კულტურის მინისტრს მიხეილ გიორგაძეს და მინისტრის მოადგილეს კახა კანდელაკს, ბევრ საკითხებში მოხდა შეთანხმება, იმედია მალე ყველაფერი მონესრიგდება და კულტურის სამინისტრო სათანადო თანადგომას გაუწევს რეგიონებში არსებულ სახალხო თეატრებს.

ჩოხატაურში პრემიერაზე ვერ ჩამოვედი, მაგრამ ვნახე სპექტაკლის ვიდეო მასალა. ძალიან მომეწონა. მსურს ალენიმწონ, ნოდარ დუმბაძე ჩემი მწერალია. ყოველთვის აქტუალური იყო მისი პროზა. მიხარია, ასე საინტერესოდ და ბუნებრივად რომ იყო მისი გმირები გაცოცხლებული. იმედი მაქვს, ამ სპექტაკლს სცენაზეც ვიხილავ.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა გითხრა რეგიონებში არსებულ სახალხო თეატრების სცენისმოყვარეებს, რომლებიც არასახარბიელო პირობებში მუშაობთ და სათეატრო ხელოვნების პოპულარიზაციას ეწევი. გისურვებთ, სამომავლოდ ჯანსაღ ატმოსფეროში გაგრძელდეს თქვენი შემოქმედებითი პროცესები.

*ქეთევან კუკულავა*





# მკვლელობის შემთხვევა

არსებობდნენ.

– ვინ ოხერი იყო, როგორ შემოგვატყუა თავი, სულერთია ვერსად წაგვივა, – ბობოქრობდნენ ისინი და დაბნეულობისგან ერთმანეთს ეხეთქებოდნენ.

აფორიაქებულ ბექას ვერ გადაეწყვიტა, საიდან აელო გეზი, საითკენ მიეტანა იერიში. იგი ასეთ საკითხში ფრიად გამოუცდელი და მოუმზადებელი აღმოჩნდა. ბიჭი უთავბოლოდ ედებოდა აქეთ-იქეთ, რალაცას იძიებდა, რალაცას იმედოვნებდა...

ისევ განყოფილებაში შევლა არჩია, იქ საქმე თითქმის გახსნილი დახვდა. შეპყრობილმა ბანდიტებმა აღიარეს, რომ მუშლაძე ტყემლაძეს ჰყავდა აყვანილი, მაგრამ სად შეიძლება მათი ამჟამინდელი ადგილმდებარეობის პოვნა, მათთვის გაუგებარი იყო.

ცოტა ხნის შემდეგ ისიც შეიტყვეს, რომ გორის ერთ-ერთ სოფელში, მიტოვებულ ეზო-მიდამოში, ავტომანქანა ჟიგული დგას ბოლო ერთი კვირის განმავლობაში... ერთი კვირაა გასული ამ ამბების შემდეგაც... ეს უკვე რალაცას ნიშნავდა... ოპერმუშაკი ყურმილს დაწვდა, ნომერი აკრიფა, ტყემლაძის ქალიშვილს დაუკავშირდა და საქმის ვითარება აცნო.

– „ეს ადგილები ოდესღაც მამა-პაპათა საკუთრება ყოფილა. პაპაჩემს აქ გაუტარებია თავისი ცხოვრების თითქმის ოთხმოცი წელი. წინათ აქ პატარა სოფელი ყოფილა, ოციოდე კომლი სახლებულა სულ. ახლაგაზრდებს დაუტოვებიათ სოფელი, ქალაქისთვის მიუშურებია და მოხუცების სიკვდილის შემდეგ თავისთავად გავერანებულა ყველაფერი... ასე გამხდარა ნასოფლარი. მიყვარს ხოლმე აქ ამოსვლა, სულიერად ვისვენებ... მოგნონს აქაურობა?“

– მშვენიერია... მართლაც მშვენიერი ადგილებია აქ, – დაუფარავი აღტაცებით წარმოთქვა ვარლამმა.

ეს ერთი კვირაა თევზაობითა და ნადირობით გააქვთ თავი. თბილისში დაბრუნება ახლა ვარლამსაც აშინებდა რატომღაც, რადგან ჯუმბერს აუცილებლად დაიჭერდნენ, არადა როგორი ადამიანი ყოფილა... გულლია... საიმედო. ოღონდ ეს იყო, სხვების გავლენის ქვეშ იყო მოქცეული და ამ დაქცეულ დროში არსებობისა და თავის გატანისათვის სხვების სურვილისამებრ მოქმედებდა, რადგან დრო იყო ისეთი, ადამიანს მგლის სახე უნდა მიეღო, ოჯახი მშვიდი რომ არ ამოწყვეტოდა.

სალამოდ დრო თევზაობით მოკლეს, შემდეგ ცეცხლი დაანთეს, თევზი შეწვეს და გემრიელად შეექცნენ.

– მახსოვს, სკოლაში ერთ ბიჭს აგდებული ვყავდი, არც გაკვეთილზე მქონდა მისგან მოსვენება და არც დასვენების პერიოდში, ხან თავზე წამოშობდა, ხანაც საწინგნეს ჩამარტყამდა თავში. მე გული მებოღმებოდა, შინაგანად ვიტანჯებოდი, სამაგიეროს კი ვერაფრით ვუხდიდი. თავად ძლიერი აგებულების მოსული ბიჭი იყო, მე კი ერთი სუსტი, ფერმკრთალი, ჩია ტანის ვიყავი. აუნერელი იყო აბეზარი ბიჭით გამოწვეული ჩემი გულისწყრომა.

ამ ყოფაში ვყავდი ჩემს მწვალბელს, რომ ერთ დღეს ჩვენზე ორი-სამი წლით უფროსმა ბიჭმა მოგვისწრო... მახსოვს, ისეთი დღე აყარა, არათუ თავზე წამორტყმას, ჩემსკენ გამოხედვასაც კი ერიდებოდა. მერე და არ იკითხავ, ვინ იყო ის ჩემი ცოდვით სავსე?... ძმანაძე. ვახტანგ ძმანაძე, ვისი გამოსობითაც დღეს აქ ორივენი ვიმყოფებით... ის ბიჭი კი... დემურთმა იცის ვინ იყო ის ბიჭი. – ყრუდ ჩაილაპარაკა ჯუმბერმა და დასძინა, – მაინც რამ გამახსენა ეს ამბავი... ამდენი ხნის წინანდელი, თითქმის მივიწყებული ამბავი...

დასაწყისი გურია REGION-ის №10

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ირინა რამიშვილი

ბანდიტთა ბანაკი შემფოთებას მოეცვა, მათ ჯალათი დაუჭრეს. მისი მსგავსის პოვნა თითქმის შეუძლებელი იყო, კი დაპირდა ძმანაძე – დღესვე გამოგიგზავნით შემცვლელსო, მაგრამ ეჭვი ეპარებოდათ, რომ დღესვე იქნებოდა შესაძლებელი ამ საქმის მოგვარება... ისიც მალე გამოჩნდა, მოხერხებულად შეეცვალა გარეგნობა.

იგი სიკვდილმისჯილის კაბინაში შეიყვანეს, დატოვეს მარტო სიკვდილისა და სიკვდილმისჯილის წინაშე, სიკვდილმისჯილი შიშისაგან მოკუნტულიყო, თავი მხრებში ჩაერგო და დროდადრო თავის მტარვალს დამფრთხალი თვალებით მიშტერებოდა.

ლაშამ იარღი დაბლა დაუშვა და შიშისგან დაპატარავებულ კაცს ნდობით აღსავსე მზერა მიაპყრო. – გემინია ძია?

კაცმა ხმა არ გასცა, უფრო სწორად, ვერ შეძლო პასუხის გაცემა, თითქოს დააპირა კიდევ რალაცას თქმა, მაგრამ მის მაგიერ ხმა აუკანკალდა, მხრები აუცახცახდა

– ნუ გემინია ძია, – აღერსიანი ხმით მიმართა ლაშამ.

კაცს მოეყურა ეგონა, ბოლომდე ვერ ირწმუნა ნათქვამი, არანაირი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია მისთვის, რადგან მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

– ნუ გემინია, შენ მე არაფერს გაგნებ, – ამ სიტყვებით ლაშა მიუახლოვდა სიკვდილმისჯილს და თვალებში ჩახედა.

კაცმა უაზროდ მიმოიხედა და მზერა ისევ ლაშას მიაპყრო.

– რა ვქნა... რა ვიფიქრო მე უბედურმა... ყველაფრის იმედი გადანურული მაქვს, მაგრამ... თვალებიც რომ ამას მეუბნება შეილო... იქნებ მეჩვენება?..

– არაფერიც არ გეჩვენება, ახლა მთავარია, აქედან თავი დავიძვინოთ როგორმე.

კაცმა საბოლოოდ ირწმუნა ახალგაზრდის სიტყვები, საბოლოოდ მიენდო, მაგრამ მას ებრალებოდა კეთილთვალება ბიჭი, რომელმაც ამოდენა სიკეთე უყო – წართმეული სიცოცხლე დაუბრუნა. მისი დამქაშები არ აპატიებენ, ოთხში ამოიღებენ... მოკლავენ!..

– თავისი სანუხარი ბიჭსაც გაუზიარა კაცმა.

– შენ ამაზე ნუ იდარდებ, მე ახლა ავტომატს გავისვრი. მისი ხმა და ჩვენი აქედან აორთქლება ერთი უნდა იყოს, რათა ისინი შესრულებული სამუშაოს შესამოწმებლად შემოვლენ. აქედან საიდუმლო გასასვლელი ვიცი, ფონს იოლად გავალთ.

– აკი ვფიქრობდი ქართველი ჯალათები არ არსებობენ თქო, – თითქოს თავისთავს ჩაუღაპარაკა კაცმა.

– აგაშენა ღმერთმა! – ვალმოხდილი კაცის იერით წელში ამაყად გაიმართა ლაშა.

– აბა, მოემზადე ძიაკაცო, – მხიარული სახით წარმოთქვა ლაშამ და ავტომატი დააქუსა.

ორიოდ ნუთის შემდეგ საოცარი სანახაობა დაუდგათ თვალწინ მკვლელთა დინასტიას, არც სიკვდილმისჯილი და არც ახალი ჯალათი ადგილზე არ დახვდათ, თითქოს არც

# სწორ ეჩმომეიშვიდის გომონათქვამები

ხელმოკლე კარი სულმოკლეზე უფრო მდიდარია. ორპირი დანა, ქარი და რეხელი – ყველაფერი საშიშია.

ძუნნი კარი მათხოვარზე უარესია.

ვინც მხოლოდ წარსულით რბოვრობს, მომავალს ვერ შექმნის.

ღმერთს მადლობა უნდა შესწირო, რომ საშუალებას მოგვრა, აკეთო სიკეთე.

ღონიერი რდილობს, კედელი განგრიოს, გონიერი გარს შემოუვლის.

ვინც დროს უქმად კლავს, იგი თვითმკვლელობის ტოლფას დანაშაულს სჩადის.

ფედაშვილობა ყველა სულდგმულის არსებობის საფუძველია.

მთავრობის უპირველესი მოვალეობაა, ადამიანები მტრისგან კია არა, ერთმანეთისგან დაიყვანს.

ღირსეულად ატარო შენი გვარის ტრადიცია – დიდი ტვირთია.

მარტო კარი რუდად დარჯობილ სარს ჰგავს, მისი ნაქრევა იოლია.

თუ შენიშვნას არ მიიღებ, უარს შერდომას დაუშვებ.

ვინც დიდ საქმეს აკეთებს, დიდხანს უნდა ირეხლოს, მაშინ იქნებ უსაქმურებმარ ხელი განძრონ.

ტრადიცია საუკუნის ესტაფეტაა. მამლარი მშიერისთვის ყრუა.

გაჭირვებას ყველაზე მეტად გაჭირვებული გრძნობს.

უმიზნო კარი უსამიზნე თოფს ჰგავს. სხვისი ლანძღვით ქვეყანა არ აშენდება.

ბუნებაში ყველაფერი იყვლება, გარდა სიმართლისა. შენი ღირსება ოცნების დროსაჯ უნდა შეინარჩუნო.

## გურული სუმრობები

მეპატრონეს სახლის მშენებლობის დროს სომეხი ეროვნების პრარაბი, რომა ჰყავდა, როცა ის მასალების მოსატანად მიდიოდა, საქმის შემსრულებლად მეგობარს ტოვებდა, მისი შემცველი ძალიან ავი კაცი იყო, მთელი დღე მეორე სართულზე იდგა და მუშას უყვიროდა. მუშას მობეზრდა პრარაბის ჩხუბი და ქვემოდან დაუძახა – ნუ ყვირი, დაილღები, ენა გამოყავი და მე ნავიკითხავო.



გურიის ერთ-ერთ სოფელს ჭკვიანიც ჰყავდა და გიჟიც, სოფელში კაცი ცხოვრობდა, რომელიც ყრუ, ბრმა და მუნჯი იყო. მას ცოლი გარდაეცვალა, ბირჟაზე სხედან ჭკვიანი ხალხი და ბჭობენ, როგორ გააგებინონ ცოლის გარდაცვალება. ამ დროს ერთმა გიჟმა ჩამოიარა, ჰკითხა – რაზე ბჭობთ ასე შენუხებულო?

- შენ გიჟი ხარ და ვერ გაიგებო.
- მაინც მითხარით.
- ამ ყრუ, მუნჯ და ბრმა კაცს ცოლი გარდაეცვალა და არ ვიცით, როგორ გააგებინოთ.
- სახლში როცა მივა და გვერდით დაუნევა, ცივი რომ იქნება, მიხვდება მკვდარიყო.



კომუნისტების დროს სამტრედიის რაიონის სოფელ ხუნჯულაურში ქათმების ფაბრიკას ცეცხლი წაეკიდა, ერთ-ერთმა თანამშრომელმა, ჯემალ მემიშვილმა სამტრედიის სახანძროში დარეკა – არიქა, ქათმების ფაბრიკა ინვისო. სახანძროს თანამშრომლებმა ჰკითხეს – რა წამოვიდოთ? მემიშვილმა უპასუხა – ტყემალი და ღომი, შემწვარი ქათმები და წინილები აქ დაგხვდებათო.



ბათუმის ერთ-ერთი საჯარო სკოლის გაკვეთილზე ბზიკი შეფრინდა, მეორე კლასელმა გიორგი დოლიძემ შენიშნა და მასწავლებელს უთხრა – მასწავლებლო, ბზიკს ბილაინის ფორმა აცვიაო.



ის დროა, როცა ჩინელები ჩაქვში ჩაის ამრავლებენ, სადაც ზემო შუხუთელი მელიტო გოგუაძე მუშაობდა, მელიტომ ჩინელისგან ფული ისესხა და სახლში წავიდა, როცა ჩაქვში დააგვიანდა, ჩინელმა კითხვა-კითხვით მიაგნო მას სოფელში და ვალი მოთხოვა, მელიტოს ენაკვიმატი ძმა ჰყავდა, მოსე ეუბნება – გამიგია კაცმა მეზობლიდან ისესხოს ფული, შე

კაცო, ჩინეთში ფულის სასესხებლად რამ წაგიყვანაო.



მოსე გოგუაძეს ძალიან გამხდარი ცოლი ჰყავდა, ამიტომ კოლმეურნეობაში არ ამუშავებდა, მოსე კრებაზე დაიბარეს და ჰკითხეს – რატომ არ ამუშავებ?

- მოვიყვან ახლა შუშანას და ორი გრამი სისხლი თუ გადმოუვა, თქვენ ნახავთ – უპასუხა მან.

- არ ქნა მაი, მოსე – იყვირეს კოლმეურნეობის წევრებმა.

